პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

3 ივნისი პარასკევი 2011

№ 128 (13 425) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს წლის მატჩია

ხორვატებისთვის და ჩვენთვისაც

HNS VS GFF

სლავენ ბილიჩი

საქართველოს ნაკრებს 5-6 გოლის გატანა მხოლოდ ანდორისა და სან-მარინოს კარში შეუძლია. ხორვატია ბოლო 7 მატჩში ერთადერთხელ დამარცხდა, ფავორიტები ვართ!

№	გუნდი	თ	მ	ფ	წ	ბურთები ბატ	ბურთები გაშ	ქ
1	საბერძნეთი	5	3	2	0	5	2	11
2	ხორვატია	5	3	1	1	8	2	10
3	ისრაელი	6	3	1	2	8	6	10
4	საქართველო	6	2	3	1	4	3	9
5	ლატვია	5	1	1	3	4	7	4
6	მალტა	5	0	0	5	1	10	0

დღეს, სპლიტში

22:00

↳ 2

თემურ ქეცბაია

ხორვატიამ ფავორიტობა მოედანზე დაგვიმტკიცოს! თამაშის პირობებს მასპინძლები გვიკარნახებენ, წინასწარ ვიცით, ჩვენი მთავარი საქმე - დაცვა და დაცვა

საქართველო მსოფლიოს თასისთვის შეიმართა

↳ 13

მესიზე ხელი აწიეს

მშობლიურ ქალაქ როსარიოში რესტორნიდან გამოსვლისას ლიონელ მესის უცნობი მიუახლოვდა და სახეში ხელი გაარტყა. „ტელამის" ცნობით, ჩემპიონთა ლიგის ფინალის გმირი რესტორან „კლუბ დე მილანესაში" ორ მეგობართან ერთად სადილობდა. გარეთ მას ბავშვების ჯგუფი ელოდა ერთობლივი ფოტოს გადასაღებად, მესიმ მათ უარი ვერ უთხრა და გავიდა. ამ დროს მიეჭრა მას უცნობი შეძახილით: *„ეს შენ „ნიუელსის" ფანობისთვის"*. სხვათა შორის, მესი მშვიდად შეხვდა თავდასხმას და რესტორანში შებრუნდა.

მესი „ნიუელს ოლდ ბოისის" ფანია ბავშვობიდან, მისი კარიერა სწორედ ამ გუნდში დაიწყო, თავდამსხმელი კი ქალაქის მეორე გუნდის, „როსარიო სენტრალის" ფანი გამოდგა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ეროვნული ნაკრები

ქართველებს საიდუმლო არ გვაქვს

თემურ ქეცბაია (მარცხნივ) და ნაკრების პრესატაშე ლაშა დვალიშვილი პრესკონფერენციაზე

საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები სპლიტში ჩარტერული ავირეისით გუშინ დილას გაემგზავრნენ. ფეხბურთელები აეროპორტში ქომაგებმა გააცილეს. ჩვენი ეროვნული ნაკრების თავკაც **თემურ ქეცბაიას** მედიისთვის კომენტარები არც ამჯერად გაუკეთებია, გუნდის ორმა ფეხბურთელმა კი ხორვატიაში გამგზავრების წინ საკუთარი აზრი გამოთქვა.

ალექსანდრე იაშვილი: *"რასაკვირველია, ძალიან მძიმე მატჩი გველის, მაგრამ ბრძოლისთვის მზად ვართ. დარწმუნებული ვარ, მოედანზე მყოფი თითოეული ფეხბურთელი მაქსიმუმს გაიღებს იმისთვის, რომ საქართველოს ნაკრებმა წარმატებას მიაღწიოს".*

დავით კვირკველია: *"ამ თორმეტი დღის განმავლობაში ბევრი ვიშრომეთ იმისთვის, რომ ხორვატიის ნაკრებს ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ. ვიმედოვნებთ, ჩვენი მონდომება უშედეგოდ არ ჩაივლის და ძლიერ მეტოქესთან ამჯერადაც ღირსეულ შედეგს მივაღწევთ".*

ქართველებმა ხორვატიაში მშვიდობით ჩააღწიეს. ახალგაზრდული ნაკრები სპლიტის გარეუბანში მდებარე სასტუმრო "იადრანში" დაბინავდა, ეროვნულმა კი მოშორებით, "რედისონში" დაიდო ბინა. ქეცბაიას გუნდმა რამდენიმე საათი დაისვენა და თბილისის დროით საღამოს 9-ის ნახევარზე სპლიტის "პოლიუდზე" ივარჯიშა. ვარჯიშმა დაახლოებით ერთ საათს გასტანა, წვრთნის პირველი 20 წუთი ღია იყო. გუშინ სპლიტში წამონვიმა, მაგრამ უმეტესად დარი იყო. კარგ ამინდს ელოდებიან დღეისთვისაც.

საბედნიეროდ, გუშინ საღამოს ეროვნულ ნაკრებს აღარავინ გამოჰკლებია – გუნდს **ზურაბ ხიზანიშვილიც** შეუერთდა და 21-ივე ფეხბურთელმა სრული დატვირთვით ივარჯიშა.

ვარჯიშამდე კი თემურ ქეცბაიას პრესკონფერენცია გაიმართა, რომელმაც ხორვატიული მედიის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ქეცბაიას ჰკითხეს, რა არის თქვენი გუნდის წარმატების საიდუმლოო, რაზეც მან მიუგო, განსაკუთრებული საიდუმლო არ გვაქვს, თითოეულ მატჩს მაქსიმალური პასუხისმგებლობით ვუდგებით და წარმატებისთვის ბევრს ვშრომობთო.

ხორვატმა ჟურნალისტებმა ქეცბაიას 1997 წელი გაახსენეს, როცა მან "ნიუკასლის" შემადგენლობაში თამაშისას ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ზაგრების "დინამოს" გადამწყვეტი გოლი გაუტანა. ქეცბაიამ უპასუხა, იმ თამაშის გმირი მართლაც მე ვიყავი და დიდი სურვილი მაქვს, ხვალინდელი მატჩის გმირებიც ქართველები იყვნენო.

"წინ ურთულესი მატჩი გველის, გაცილებით მძიმე, ვიდრე თბილისში, მაგრამ ამ გამოცდისთვის ფსიქოლოგიურადაც და ფიზიკურადაც მზად ვართ. რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლია, მაგრამ საკადრო პრობლემები ხორვატიის ნაკრებსაც აქვს და ამიტომ ამ თემაზე აღარ შევჩერდები. ვიცი, რომ თამაშის პირობებს ხორვატია გვიკარნახებს, მაგრამ ჩვენთვის კარგია ის, რომ წინასწარ ვიცით, რა იქნება ჩვენი მთავარი საქმე – დაცვა და დაცვა. ჩვუნი მიზანი მკაფიოა – გოლი არ უნდა გავუშვათ. მართალია, ხორვატია ჯგუფის საუკეთესო გუნდია, მაგრამ ამას დამტკიცება სჭირდება", – განაცხადა ქეცბაიამ.

ხორვატიისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებების დაპირისპირება დღეს თბილისის დროით 22 საათზე დაინყება და გულშემატკივრებს მისი პირდაპირი ტელერეპორტაჟის ხილვა პირველი არხის ეთერით შეეძლებათ.

ლევან ჯანელიძაშვილი

ჩვენი ნაკრების ციფრული სურათი

თემურ ქეცბაიამ სპლიტში 21-კაციანი შემადგენლობა იახლა. ამათგან დიდი უმრავლესობა ლეგიონერია - 16 (76%), ჩვენი უმაღლესი ლიგიდან მხოლოდ 5 ფეხბურთელია (24%).

ნაკრები 10 ქვეყნის ლიგებში მოთამაშეთაგან არის დაკომპლექტებული. ყველაზე მეტი საქართველოდან და რუსეთიდანაა (5-5), 3 წევრია უკრაინიდან.

გუნდში 10 ქვეყნის 17 კლუბის ფეხბურთელები არიან. ყველაზე მეტი ფეხბურთელით „ზესტაფონი" და „ვოლგაა" წარმოდგენილი - 3-3.

თუ სპლიტში თამაში მოუწევთ, ეს მატჩი სადებიუტო იქნება **როინ კვასხვაძის, გია გრიგალავასა** და **ირაკლი მაისურაძისთვის.**

მონვეულთაგან ყველაზე მეტი თამაში ნაკრებში **კახა კალაძეს** აქვს ჩატარებული - 78, შემდეგ მოდიან **ზურაბ ხიზანიშვილი** - 74 და **ალექსანდრე იაშვილი** - 63.

ალექსანდრე იაშვილი ერთადერთია, რომლის საგოლე მონაგარი ნაკრებში ორნიშნა რიცხვით გამოიხატება - 15. მეორე ადგილზეა **დავით სირაძე** - 8, მესამეზე - **ლადო დვალიშვილი** - 4.

ზემოთ ჩამოთვლილი სამეულის გარდა, ნაკრებში 1-ზე მეტი გოლი მხოლოდ **ჯაბა კანკავამ** გაიტანა (2).

მაისში ყველაზე მეტი მატჩი **გიორგი ლორიამ** ითამაშა, „დინამოს" მეკარემ 5 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, თან 90-90 წუთი.

ლეგიონერთაგან ყველაზე მეტი მაისში **აკაკი ხუბუტიამ** ითამაშა - 4 მატჩი.

მაისში ნაკრებში გამოძახებულებმა მხოლოდ ორი გოლი გაიტანეს. **მურთაზ დაუშვილმა** 8 მაისს ფოთში „კოლხეთს" გაუტანა, 14 მაისს კი ვოლგელმა **მათე ვანაძემ** ნალჩიკში „სპარტაკს" შეუგდო.

მაისში საერთოდ არ უთამაშიათ **დავით კვირკველიასა** და **ჯანო ანანიძეს**. დავაზუსტებთ, ჯანომ დუბლებში ითამაშა, თუმცა ამას ოფიციალურ სტატისტიკაში ვერ ჩავუთვლით, საქართველოს ნაკრების იმედი ტრავმირებული იყო და „სპარტაკის" განაცხადში ორჯერ მოხვდა. კვირკველიას უთამაშებლობას მარტივი მიზეზი აქვს - საბერძნეთის ჩემპიონატი დიდი ხანია დასრულდა, თუმცა 17 აპრილის შემდეგ უთამაშებლობა მაინც დამაფიქრებელია.

ტრავმების გამო მაისში მატჩები გაუცდათ ჯანო ანანიძეს (მთელი თვე), **ალეკო ამისულაშვილს** (2 თამაში) და კახა კალაძეს (1).

დავით სირაძემ სამი მატჩი კი ითამაშა „ნალჩიკში", მაგრამ მოედანზე სულ 100 წუთი დაჰყო. ასევეა **სანდრო გურულიც** - 3 შეხვედრაში მხოლოდ 106 წუთი დაუგროვდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ფეხბურთელი	თამაში	გუნდი	ჩემპიონატი	თამაში (გოლი) მაისში
მეკარეები				
გიორგი ლორია	8 თ	დინამო	უმაღლესი ლიგა	5 თ
როინ კვასხვაძე	დეგ.	ზესტაფონი	უმაღლესი ლიგა	4 თ
მცველები				
კახა კალაძე	78 თ 1 გ	ჯენოა	სერია A	2 თ
ზურაბ ხიზანიშვილი	74 თ 1 გ	რედინგი	ჩემპიონშიპი	3 თ
ლაშა სალუქვაძე	35 თ 1 გ	ვოლგა	რუსეთი	3 თ
ალექსანდრე ამისულაშვილი	19 თ 1 გ	კრასნოდარი	რუსეთი	2 თ
კახა ალადაშვილი	7 თ	ზესტაფონი	უმაღლესი ლიგა	4 თ
გურამ კაშია	6 თ	ვიტესი	ჰოლანდია	2 თ
აკაკი ხუბუტია	4 თ	გაზ-მეთანი	რუმინეთი	4 თ
გია გრიგალავა	დეგ.	ვოლგა	რუსეთი	1 თ
ნახევარმცველები				
დავით კვირკველია	44 თ	პანიონიოსი	საბერძნეთი	-
ჯაბა კანკავა	27 თ 2 გ	კრივბასი	უკრაინა	3 თ
ჯანო ანანიძე	8 თ 1 გ	სპარტაკი	რუსეთი	-
მურთაზ დაუშვილი	8 თ	ზესტაფონი	უმაღლესი ლიგა	4 თ 1 გ
ალექსანდრე გურული	1 თ 1 გ	კარპატი	უკრაინა	3 თ
ჯაბა ლიპარტია	1 თ	ზარია	უკრაინა	4 თ
ირაკლი მაისურაძე	დეგ.	ოლიმპი	უმაღლესი ლიგა	3 თ
თავდამსხმელები				
ალექსანდრე იაშვილი	63 თ 15 გ	კარლსრუე	II გუნდესლიგა	2 თ
დავით სირაძე	26 თ 8 გ	ნალჩიკი	რუსეთი	3 თ
ლადო დვალიშვილი	15 თ 4 გ	მაქაბი	ისრაელი	3 თ
მათე ვაწაძე	4 თ	ვოლგა	რუსეთი	2 თ 1 გ

● ინტერვიუ

გგონიათ, წინ ვთამაშობ?

მოულოდნელი საყრდენი ლიპარტია: უკრაინაზე ლეგენდებით ნუ ვიმსჯელებთ, საქართველოში უფრო მეტს დავრბოდი

საქართველოს ნაკრები გუშინ ხორვატიაში გაემგზავრა, სადაც ევრო 2012-ის შესარჩევი ციკლის შეხვედრას გამართავს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ შეკრებაზე გამოძახებულები რომ გადაახარისხა, გასამგზავრებელთა შორის ლუგანსკის „ზარიას" ნახევარმცველი ჯაბა ლიპარტიაც დაასახელა.

ვინც ნაკრების ბაზაზე 27 მაისს გამართული ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ტესტმატჩი ნახა, დამეთანხმება, რომ ქეცბაიას არჩევანი გასაკვირი არ იყო. ის ეროვნულში ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო იყო, გამოირჩეოდა აქტიური და აზრიანი თამაშით. რაც მთავარია, 23 წლის ნახევარმცველს აშკარად მოუმატებია უკრაინაში წასვლის შემდეგ, მეტს მოძრაობდა, ფეხზე უფრო მყარად იდგა და კარგი გადაცემებით თამაშს ამწვავებდა.

„ვიტ ჯორჯიას" ყოფილი ლიდერი „ლელოს" თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს ახალ კლუბზე, უკრაინის ჩემპიონატსა და მის დონეზე.

- სიმართლე გითხრა, თავიდანვე გამიკვირდა, შენნაირი ტექნიკური ფეხბურთელი უკრაინაში რომ მიიწვიეს. ისინი ხომ ათლეტებს უფრო ენდობიან.

- უკრაინაში ტექნიკური ფეხბურთი ჩვენზე არანაკლებად უყვართ. მიმაჩნია, რომ ქართველ ფეხბურთელს უკრაინაში არ უნდა გაუჭირდეს, თუ ფიზიკურად კარგად მოემზადება.

- არადა, ფიზიკური მომზადება ჩვენი მოთამაშეების აქილევსის ქუსლია.

- მომზადება არ არის შეუძლებელი, შეუძლებელი უნიჭოსგან ხეირის ნახვაა. მთავარია, რომ ქართველები ბურთთან ინტერესდებიან.

- თავიდან არ გაგიჭირდა სხვა სტილთან შეგუება და ბევრად მეტი დატვირთვის ატანა?

- ნაღდად არ გამჭირვებია, რადგან „ზარიაში" ისე კარგად მომამზადეს, ჩემპიონატი რომ დაიწყო, იქაურ ფეხბურთს სწრაფად ავუღე ალღო. თანაც „ვიტ ჯორჯია" საქართველოში ფიზიკურად ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოდ მომზადებული გუნდია და ვერ ვიტყვი, რომ ჩემთვის დიდი დატვირთვები მოულოდნელი იყო, თამაში ამანაც გამიადვილა. თუმცა მთავარი მაინც თავად ფეხბურთელის მიდგომაა, როგორ მოემზადები, როგორ მოინდომებ. თუ თვითონ არ გინდა, სხვა ვერაფერს გიშველის.

სხვათა შორის, უკრაინელების ზებუნებრივ მოთხოვნებზე ლაპარაკი ჩვენებური ლეგენდებია და მეტი არაფერი, არავინ ქანცის გაცლამდე არ გვარბენინებს, ეს მაგარი სისულელეა. ისეთი დატვირთვები ნამდვილად არ არის, კაცმა რომ ვერ გაუძლოს. უბრალოდ, კარგად იციან, როგორ მოგამზადონ. კარგ პირობებში ვემზადებით, ვარჯიშის ნაცადი და გამართლებული მეთოდებით. რაც მთავარია, უკრაინელებს მშვენიერი აღდგენებიც აქვთ. ისე, საქართველოში უფრო მეტს დავრბოდი, ვიდრე უკრაინაში.

- შენ, ეტყობა, ძალიან არაუკრაინულ კლუბში თამაშობ.

- ხუმრობა იქით იყოს და, მთავარი დატვირთვების ხარისხია და არა რაოდენობა. აქ ბევრად მეტ კროსს დავრბოდი, „ზარიაში" ასე არ არის. ყველა ლობანოვსკის მეთოდს კი არ იყენებს.

- რა პოზიციაზე გათამაშებენ?

- საყრდენად და მიკვირს, აქ რატომ წერენ, თავდამსხმელიაო.

- უკრაინაში შენი თამაში არ გვინახავს და, ცხადია, იქაურ კოლეგებს უნდა ვენდოთ.

- მაშინ არასწორად წერენ.

- საკმაოდ უცნაურია – ლიპარტია და საყრდენი ნახევარმცველი?!

- არ არის საყრდენობა ჩემი საქმე, ბურთის წართმევა დამაწყებინეს, ჩემს ამპლუაში არ ვარ, მაგრამ მწვრთნელს ხომ არ ვეტყვი, ჩემს ადგილას მათამაშე-მეთქი?!

- როგორც ჩანს, უკრაინაში საყრდენადაც არ გამოიყურები ცუდად, რადგან ქეცბაიამ ნაკრებში მიგიწვია.

- კარგია უკეთეს ლიგაში მოხვედრა და ძირითადში დამკვიდრება, მაგრამ ჩემი უმთავრესი მიზანი ჩვენი ქვეყნისთვის თამაშია. ბედნიერი კაცი ვარ, ბატონი თემური რომ მენდო.

- ნაკრების ვარჯიშზე რომ დაგაკვირდი, საკმაოდ მოგიმატებია, საყრდენობაც წაგადგა, დაცვაში ბევრს მუშაობ.

- სხვათა შორის, მითხრეს, გახდიო, მაგრამ წონა იგივე მაქვს. ეტყობა, წონა კუნთებში წავიდა და ასე ამიტომ გამოვჩნდი. რაც შეეხება კითხვას, ცხადია, უკრაინაში დაცვაში მეტ მუშაობას მაიძულებენ და ეს საქმე კარგადაც ავითვისე.

- ასეა თუ ისე, შეიძლება ითქვას, რომ კლუბს მოერგე?

- ალბათ, ასეა. უკრაინის ჩემპიონატში ყველა თამაში ძირითადში ჩავატარე, მხოლოდ რამდენჯერმე შემცვალეს და ისიც ჩემი თხოვნით, რადგან ფეხი მეტკინა. მოკლედ, მენდობიან და სჯერათ, რომ რაღაც შემიძლია.

მერაბ მამულაშვილი

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. *ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **lelo1td@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● მეტოქე

ალესილები

სპლიტური გეგმა: გავიტანოთ სწრაფად, წავართვათ ცენტრი

სულ რამდენიმე საათი და გავიგებთ, შეძლო თუ არა ხორვატიის ნაკრებმა "ნლის მატჩის" მოგება. თბილისში განცდილი მოულოდნელი მარცხით გაწბილებულმა ხორვატებმა საქართველოსთან განმეორებითი დაპირისპირება სწორედ ასე მონათლეს.

ამ შეხვედრის ირგვლივ დიდი აჟიოტაჟი კარგა ხანია, დაიწყო, გუშინ და დღეს კი ინტერესმა პიკს მიაღწია. სპლიტის "პოლიუდზე" გასამართავი მატჩის ყველა, 30 ათასივე ბილეთი უკვე გაყიდულია, თამაშის შესახებ კი არამხოლოდ სპორტული, არასპორტული გამოცემებიც ინტენსიურად წერენ.

სლავენ ბილიჩს მედიისთვის ვრცელი ინტერვიუ არ მიუცია, მაგრამ ნაკრების ბანაკში მიმდინარე პროცესებს ყოველდღიურად აჯამებს. ხორვატთა თავკაცმა სიახლეებზე გუშინაც ილაპარაკა. როგორც თქვა, მიკროვტრავმა ჰქონია მიუნხენის "ბაიერნის" მარცხენა მცველ **დანიელ პრანიჩს**, მაგრამ იგი საქართველოსთან თამაშის გამოტოვებას არ აპირებს – თუ ტკივილმა შეაწუხა, გამაყუჩებლით ითამაშებს და ფეხს საზაფხულო არდადეგებზე უმკურნალებს.

ბილიჩს ყოველი შემთხვევისთვის მისი შემცვლელი შეგულებული ჰყავს – თუ პრანიჩმა ვერ ითამაშა, **ვედრან ჩორლუკა** დაცვის ცენტრიდან მარცხენა ფლანგზე გადაინევს.

ხორვატიის ნაკრების შეკრება საქმიანად მიმდინარეობს, მაგრამ ბილიჩი ბიჭებს განტვირთვის საშუალებასაც აძლევს. მწვრთნელმა ფეხბურთელებს ოჯახის წევრების ნახვის უფლება მისცა და ზღვაზე საბანაოდ წაიყვანა, მედიას კი ნაკრების საზღვაო "გასეირნების" გაშუქების საშუალება მიეცა.

ხორვატებს თავდაჯერება არ აკლიათ და გამარჯვებაში ახლაც დარწმუნებულები არიან, მაგრამ ისიც იგრძნობა, რომ საქართველოს ნაკრებს ახლა უფრო აფასებენ, ვიდრე მარტში.

ბილიჩის ბოლო კომენტარი კი ასეთია: *"ვითარებას საღად ვაფასებ – ხორვატიის ნაკრები ობიექტურად საქართველოზე უკეთესი გუნდია. თამაში ჩვენი კარნახით წარიმართება, მაგრამ ეს არაფრის გარანტიას არ გვაძლევს. საქართველოს ნაკრები სპლიტშიც სახიფათო იქნება და მხოლოდ დაცვიდან კი არ ითამაშებს, დროდადრო შეეცდება, შეტევაშიც რამე გაახერხოს. ბოლო ხანებში საქართველოს ნაკრების პროგრესი თვალსაჩინოა, იგი სერიოზულ გუნდად ჩამოყალიბდა. ქართველები თავს კარგად იცავენ და ცდილობენ, შეტევაში სწრაფად გადავიდნენ. ჩვენი მთავარი მიზანია, მეტოქეს მოედნის ცენტრი წავართვათ და ბურთის მიღების საშუალება მოვუსპოთ. ვალდებულნი ვართ, თამაშის სადავეები თავიდანვე ხელთ ვიგდოთ და ჩვენი საქმე მშვიდად და მიზანმიმართულად ვაკეთოთ. თბილისში საშინლად არ გაგვიმართლა და გამორიცხულია, ილბალმა ახლაც ასე უმოწყალოდ შეგვაქციოს ზურგი. სასურველია, სწრაფი გოლი გავიტანოთ, მაგრამ თუ ეს ვერ შევძელით, ტრაგედია არ იქნება, ჩვენი უპირატესობა ადრე თუ გვიან ნაყოფს აუცილებლად გამოიღებს".*

მწვრთნელზე არანაკლებ ოპტიმისტურ განწყობაზეა ხორვატიის ნაკრების კაპიტანი **დარიო სრნა**: *„საქართველოსთან ჩატარებულ პირველ მატჩში დაშვებული შეცდომების გამეორების უფლება არ გვაქვს და ეს თითოეულ ჩვენგანს კარგად აქვს გაცნობიერებული. დარწმუნებული ვარ, ჩვენს საუკეთესო თამაშს ვაჩვენებთ და გულშემატკივრებს ეფექტური გამარჯვებით გავახარებთ. "პოლიუდზე" ისეთი გარემო იქნება შექმნილი, რომ უხარისხოდ თამაშის უფლება არც გვაქვს".*

ხორვატიის ნაკრების წევრებს უნდათ, საქართველოსთან გამარჯვება **დრაგო გაბრიჩს** მიუძღვნან. შეგახსენებთ, ნაკრებში გამოძახებული ახალგაზრდა ნახევარმცველი ავტოავარიაში მოყვა და კვლავაც კრიტიკულ მდგომარეობაშია.

ხორვატიული პრესა ბილიჩის გუნდის სავარაუდო ძირითად შემადგენლობაზეც წერს. თავს ვერ დავდებთ, რომ საქართველოსთან თამაშს ზუსტად ეს თერთმეტეული დაიწყებს, მაგრამ სავარაუდო შემადგენლობას მაინც წარმოგიდგენთ: **რუნიე - სრნა, ჩორლუკა, შიმუნიჩი, პრანიჩი - ვუკოევიჩი, მოდრიჩი - მანჯუკიჩი, ედუარდო, პერიშიჩი - იელავიჩი.**

თუ ბილიჩმა მართლაც ამათზე შეაჩერა არჩევანი, გამოვა, რომ თბილისური მატჩის შემდეგ სასტარტოში ერთბაშად შვიდ ფეხბურთელს შეცვლის. საქართველო-ხორვატიის მატჩში ამ თერთმეტეულიდან ძირითადში მხოლოდ რუნიემ, სრნამ, ჩორლუკამ და მოდრიჩმა ითამაშეს.

ძირითადში ადგილს კი დაკარგავენ **სტრინიჩი, ლოვრენი, დუიმოვიჩი, რაკიტიჩი, პეტრიჩი, კრანჩარი** და **კალინიჩი**. თუმცა ამ შვიდეულიდან ჯანზე მხოლოდ ლოვრენი, დუიმოვიჩი და კალინიჩი არიან. კრანჩარი დისკვალიფიცირებულია, ხოლო სტრინიჩი, რაკიტიჩი და პეტრიჩი ქართველებთან თამაშს ტრავმების გამო ვერ შეძლებენ.

გუშინ საღამოს ხორვატიის ნაკრებმა "პოლიუდზე" ღია ვარჯიში მხურვალე მხარდაჭერის თანხლებით ჩაატარა – სტადიონის ტრიბუნები სანახევროდ შეივსო.

ლევან ჯანეზაშვილი

● ოლიმპი

მინუს ორიც ბოლქვაძე და ჭელიძე

დავით ბოლქვაძე

რუსთაველის "ოლიმპში" საკადრო ცვლილებები გრძელდება. კლუბის პრესატაშე **შოთა შერმადინის** თქმით, გუნდი დატოვეს **გიორგი ჭელიძემ, დავით ბოლქვაძემ, რევაზ ქემოკლიძემ** - მათ კონტრაქტები დაუმთავრდათ, ახალზე კი კლუბთან ვერ შეთანხმდნენ; სავარაუდოდ, **ლუკა რაზმაძე** კარიერას აზერბაიჯანში გააგრძელებს; **სანდრო იაშვილი** და **გიორგი რეხვიაშვილი** თბილისის "დინამოში" გადავიდნენ. წავიდნენ **თორნიკე ბახტაძე** და **ლევან სეთურიძე**.

რუსთაველებმა დაიმატეს მცველები **სერგო ორბელაძე, დავით ლომაია** (ორივე - "სიონი"), **მიხეილ მახვილაძე** ("კოლხეთი"), **კოკა ღაღანიძე** ("ოლიმპი 2") და თავდამსხმელები - **გიორგი მიქაბერიძე** ("სამტრედია") და **ირაკლი ქობალია** ("ბაია").

"ოლიმპმა" გუშინ სეზონისთვის მზადება რუსთავში დაიწყო. შერმადინის თქმით, მთავარმა მწვრთნელმა **თორნიკე მაისურაძემ** სლოვენიაში გასამგზავრებელ ფეხბურთელთა სია უკვე შეადგინა.

მეკარეები: **გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი.**

მცველები: **ლაშა ჯაფარიძე, ილია კანდელაკი, გიორგი მურველაშვილი, ალექსანდრე კვახაძე, კოკა ღაღანიძე, დენის დობროვოლსკი, სერგო ორბელაძე, დავით ლომაია, მიხეილ მახვილაძე.**

ნახევარმცველები: **გიორგი აბურჯანია, გიორგი ქავთარაძე, ვაკო ტყემალაძე, ირაკლი მაისურაძე, რევაზ გეწაძე**

თავდამსხმელები: **ირაკლი მოდებაძე, ილია პავლიაშვილი, ირაკლი ქობალია, გიორგი მიქაბერიძე.**

„ოლიმპი" სლოვენიის ქალაქ მარიბორში 9-დან 21 ივნისამდე მოემზადება და სამ-ოთხ საკონტროლო შეხვედრას გამართავს. ორი მეტოქე უკვე ცნობილია - 18 ივნისს „კოპერს" შეხვდებიან, 20-ში კი - „მარიბორს".

მერაბ მამულაშვილი

● ლეგიონერი

ლეONE

მოლდოვაში საუკეთესო

კორღალიძე

სტიაუას აინტერესებს

გუშინ უეფას ვებგვერდზე მოლდოვის ჩემპიონატი შეაჯამეს. ქართველ გულშემატკივარს გაახარებს ის ამბავი, რომ უეფამ ამ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად კიშინიოვის „დაჩიას" ქართველი ნახევარმცველი, 31 წლის ლევან კორღალიძე დაასახელა.

„საუკეთესო ფეხბურთელი: ლევან კორღალიძე („დაჩია")

ქართველი პლეიმეიკერი „დაჩიას" ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედი იყო. გაიგო რა გამარჯვების გემო ლატვიურ „სკონტოში", კორღალიძემ საკუთარი პოტენციალი მოლდოვაში სრულად გამოავლინა. მისმა 13 გოლმა და კიდევ უფრო მეტმა საგოლე გადაცემამ კიშინიოველებს მრავალი მნიშვნელოვანი ქულა მოუტანა.

თავად ფეხბურთელი სეზონის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად „შერიფთან" ბოლო წუთზე გატანილ გოლს მიიჩნევს (1:1). წაგების შემთხვევაში „დაკეები" („დაჩიას" თიკუნი, მოლდოვის აბორიგენი მოსახლეობის სახელიდან მომდინარეობს) ჩემპიონობის ბედი, შესაძლოა, სხვაგვარად გადაწყვეტილიყო".

კორღალიძე პირველი ქართველი არ არის, რომელიც უცხოეთში საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მაგრამ ასეთების სია არც ისე ვრცელია. ასე რომ, სასიამოვნო ამბავია, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ მოლდოვის ჩემპიონატის დონე ბოლო წლებში საკმაოდ ამაღლდა.

ლევან კორღალიძე შვებულებას თბილისში ატარებს და ინტერვიუ ჩამოვართვით.

- უპირველესად, აღიარებას გილოცავ.

- უეფას ვებგვერდზე წერილი ახლა ვნახე და ძალიან გამიხარდა. მიმაჩნია, რომ კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩავატარე. „დაჩიამ" ჩემპიონატში 66 გოლი გაიტანა, აქედან 18 ქართველების ანგარიშზეა: დავით გამეზარდაშვილმა - 5 გოლი, მე კი 13 დავაგროვე. ამას გარდა, 14 საგოლე გადაცემა გავაკეთე. სხვათა შორის, დათომ ხუთიდან ოთხი გოლი ჩემი გადაცემით გაიტანა.

საერთოდ, გუნდმა სეზონი ძალიან კარგად ჩაატარა, 39 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი წავაგეთ და ისიც „შერიფთან" 0:3. გაგიკვირდებათ, კენტი თამაშები რომ ჩავატარეთ. საქმე ისაა, რომ 14 გუნდი ჩემპიონატს სამ წრედ თამაშობს.

- საკმაოდ ნომქანცველი სეზონი გქონიათ.

- ძალიან! ჩემოპიონატის გარდა, თასზე და ევროპის ლიგაზე ვითამაშეთ და საკმაოდ ხანგრძლივი სეზონი გამოგვივიდა. ბოლოს ისე დავიღალეთ, მოლდოვის თასისთვის აღარ ვიბრძოლეთ, „ოლიმპიასთან" მწვრთნელმა ბავშვები ათამაშა, ჩემპიონატისთვის ძალები რომ შემოგვენახა.

- როგორც ვიცით, მსგავსი წოდება აქამდე არ მოგიპოვებია.

- დიახ, ასეა. 2003 და 2004 წლებში ლატვიაში წლის ყველაზე ვაუკაც ფეხბურთელად და სეზონის ლეგიონერად დამასახელეს, მაგრამ საუკეთესო ფეხბურთელი არასოდეს ვყოფილვარ. მოლდოვაში კი „მარადონა ტროფი" გადმომცეს. ამ თასით მხოლოდ გამორჩეულებს აჯილდოებენ და მისი მფლობელები დღემდე მხოლოდ სამნი ვართ, მე, ჩვენი მწვრთნელი დობროვოლსკი და დონეიკის „შახტარის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი სპირიდონი.

- დაკვირვებული ვარ, ბოლო დროს მოლდოვის ჩემპიონატიდან ფეხბურთელებს საკმაოდ ძლიერ ლიგებში ინვევენ.

- იმიტომ, რომ ჩემპიონატის დონე ამაღლდა. ბოლო ორი წელია ტირასპოლის „შერიფი" ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ხვდება და კიევის „დინამო" და კიდევ რამდენიმე სოლიდური კლუბი დაამარცხა. ჩვენ კი ასეთი ძლიერი გუნდი ჩამოვიტოვეთ. სხვათა შორის, საქართველოს ჩემპიონატის ყველა ლიდერი ერთ გუნდად რომ გააერთიანო, მაინც მეეჭვება, „შერიფს" მოუგოს.

- ასეთი ძლიერი თუ არის, როგორ აჯობეთ?

- ევროპის ლიგაზე გამოსვლის შემდეგ „შერიფის" მიმართ ინტერესი გაიზარდა და ოთხი ლიდერი საკმაოდ ძლიერ ლიგებში გაყიდეს, შედარებით დასუსტდნენ, ევროპის ლიგამაც დიდი ძალები წაართვა და ამით ვისარგებლეთ.

- კითხვას დავუბრუნდეთ: მოლდოვიდან ძლიერ ლიგებში მიდიან და საუკეთესო ფეხბურთელით არავინ ინტერესდება?

- „დაჩიასთან" კონტრაქტი მხოლოდ ორი წლის შემდეგ მიმთავრდება.

- ეს არ ნიშნავს, რომ სხვაგან არ გადახვალ...

- რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. დაინტერესებაც არის. შევიტყვე, რომ ბუქარესტის „სტიაუა" მაკვირდებოდა, მაგრამ ჯერ კონტრაქტზე არაფერი უთქვამთ.

- რუმინელები თავად დაგიკავშირდნენ?

- „სტიაუას" და „დაჩიას" პრეზიდენტები მეგობრობენ და მე არც მეტყვიან, რა მოლაპარაკება დაიწყეს. მაგრამ ჩვენმა პრეზიდენტმა სიტყვა გადამიკრა, დაინტერესდნენო. ცოტა ხნის წინ კიშინიოვში „სტიაუა" გვესტუმრა და ამხანაგურად ვეთამაშეთ, მაგრამ მე მცირე ტრავმა მაწუხებდა და მოედანზე არ გავსულვარ. თურმე მატჩის დროს მიხაიცე სტოიკას უკითხავს, - რატომ არ თამაშობსო. ის ბუქარესტული კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელია და დეტალურად სცოდნია, რამდენი გოლი და საგოლე გადაცემა მქონდა. მერე ბუქარესტიდანაც დარეკა და დაინტერესდა, ვაპირებდი თუ არა „დაჩიაში" დარჩენას, ნაკრებში მქონდა თუ არა ნათამაშები...

საერთოდ, მართლაც ასეა, ბოლო დროს მოლდოვის ჩემპიონატს სელექციონერები დიდ ყურადღებას აქცევენ და როდესაც უეფა სეზონის ფეხბურთელად დაგასახელებს, წარმოუდგენელია, უფრო ძლიერი ლიგის კლუბი არ დაინტერესდეს.

- როგორია მოლდოვური კლუბების ფინანსური მდგომარეობა?

- „შერიფი" მდიდარი გუნდია, უმაღლესი ლიგის ყველა კლუბი მინიმალური პირობებით მაინც არის უზრუნველყოფილი. რაც შეეხება „დაჩიას", მისნაირი პირობები საქართველოში არც ერთ კლუბს არ აქვს, თორემ „ზესტაფონიდან" კი არ წავიდოდი.

- მოლდოვური მედია დავით გამეზარდაშვილსაც ძალიან აქებს.

- მთელი სეზონი შეუცვლელად ჩაატარა, მცველმა ჩემპიონატში ხუთი გოლი გაიტანა და, ცხადია, კარგს დაწერენ. ძალიან საიმედოდ ითამაშა. სამწუხაროდ, ტრავმებმა მამუკა ლომიძე გააწვალა და სეზონის ბოლოს „დაჩიას" კონტრაქტის გაწყვეტაზე შეუთანხმდა.

მერაბ მამულაშვილი

● საკლუბო რეიტინგი

საქართველოს ჩემპიონობამ „ზესტაფონი“ რეიტინგში დაანინაურა

რეიტინგში ორიღა დაგვრჩა

გუშინ ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) მსოფლიოს მორიგი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა. სამწუხაროდ, 400-გუნდიან ჩამონათვალში საქართველოს ორი წარმომადგენელიღა დარჩა. ალბათ გახსოვთ, ბოლო დროს რეიტინგში სამი კლუბი გვყავდა ხოლმე, დროდადრო კი იქ ოთხი ქართული კლუბიც ხვდებოდა.

თბილისის “დინამო” 115-ედან 124-ე საფეხურამდე ჩამოქვეითდა, “ზესტაფონი” კი 170-ედან 161-ე ადგილამდე ავიდა.

რაც შეეხება რეიტინგის სათავეს, ლიდერი, რაღა თქმა უნდა, “ბარსელონაა”, მოწინავეებს შორის კი ყველაზე დიდი ნახტომი არგენტინულმა “ველეს სარსფილდმა” გააკეთა, რომელიც ნინა თვეში 26-ე იყო, ახლა კი ათეულშია.

რეიტინგის საუკეთესო ათეული ასეთია: 1. “ბარსელონა” (ესპანეთი), 2. “რეალი” (ესპანეთი), 3. “პორტუ” (პორტუგალია), 4. “მანჩესტერ იუნაიტედი” (ინგლისი), 5. “მანჩესტერ სიტი” (ინგლისი), 6. “ვილიარეალი” (ესპანეთი), 7. “ინტერი” (იტალია), 8. “დინამო” (უკრაინა), 9. “შალკე” (გერმანია), 10. “ველეს სარსფილდი” (არგენტინა).

ლევან ჯანეზაშვილი

● ბაია

ისევ სიდუხჭირე, ისევ გაურკვევლობა

“ბაიას” თაობაზე კარგს ვერაფერს გეტყვით – გასული სეზონის პრობლემები კვლავაც მოუგვარებელია, არსად ჩანს სპონსორი, გაუსტუმრებელია რამდენიმე თვის დავალიანება და ჯერ არც შეკრების მოწყობაზეა ლაპარაკი. ნესით, ზუგდიდელებს ახალი სეზონისთვის მზადება 15 ივნისს უნდა დაეწყოთ, მაგრამ, ჩვენი ინფორმაციით, ფეხბურთელები დავალიანების გასტუმრებამდე გუნდის განკარგულებაში ყოფნას არ აპირებენ.

– რჩება ერთი გამოსავალი – უმაღლეს ლიგაში ჭაბუკებით თამაში. “ბაიას” ყოველთვის ნიჭიერი თაობები ჰყავს, მაგრამ უმაღლეს ლიგაში სხვა მოთხოვნებია და თუ იქ სრულფასოვანმა გუნდმა ვერ ითამაშა, მის არსებობას დიდი აზრი არ ექნება. ძალიან არ გვინდა, საქართველოს ჩემპიონატისთვის დამახასიაებელი პრეცედენტი კიდევ მოხდეს და რამდენიმე გუნდმა სეზონი მოვალეობის მოხდის მიზნით ჩაამთავროს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის საფრთხე რეალურია – თუ ათგუნდიან უმაღლესში იყვნენ გაჭირვებულები, ვითომ თორმეტიანში არ იქნებიან?!

მოკლედ, ასეთი სავალალო ვითარებაა “ბაიაში” და კაცმა არ იცის, სეზონის დაწყებამდე თუ მისი მსვლელობისას კიდევ რამდენ კლუბს დაუდგება ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ლევან ჯანეზაშვილი

● დიდი სპორტის კარიბჭესთან

გუგა თვარაძე

დაიბადა 1997 წლის პირველ იანვარს, თბილისში

სწავლობს წყნეთის №197-ე საჯარო სკოლაში

საფეხბურთო სკოლა “საბურთალოს” აღსაზრდელი, მცველი

პირველი და ამჟამინდელი მწვრთნელი: **ნოდარ ჭელიძე**

წარმატებები: ხუთჯერ აქვს სხვადასხვა ტურნირი მოგებული. არის საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრების ნევრი. ნაკრებში თამაშის განმავლობაში მწვრთნელმა ნაკრებიდან ორჯერ გაუშვა. მიაჩნია, რომ მაშინ თამაშის ხარისხს მოუკლო.

ჰობი: **არ აქვს**

საყვარელი ფეხბურთელი: **ლიონელ მესი და დანი ალვეში**

ოცნება: **სურს დიდი ფეხბურთი “ბარსელონაში” ითამაშოს.**

● დინამო. ვინ იყო გარსიამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელია დინამოს მწვრთნელობა...

მონატრებული ტიტულ(ებ)ი

ეროვნულ ჩემპიონატში ზედიზედ სამჯერ მეორე ადგილზე გასვლა ნებისმიერი ქართული გუნდისათვის შთამბეჭდავ შედეგად თუ მიიჩნევა, მაგრამ თბილისის „დინამოსთვის“ ასეთი მაჩვენებელი, არც მეტი, არც ნაკლები, ქრონიკულ წარუმატებლობად უნდა შეფასდეს! „დინამო“ რომ ზედიზედ სამი წლის განმავლობაში ჩემპიონი ვერ ხდებოდა, რა თქმა უნდა, უამრავი ობიექტური მიზეზი არსებობდა; უპირველეს ყოვლისა კი, არცთუ სახარბიელო ფინანსური გარემო უნდა აღვნიშნოთ, რის გამოც გუნდის წამყვანი ფეხბურთელების მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი ვადით შენარჩუნება ვერ ხერხდებოდა.

ცალკე საუბრის თემაა კლუბის საატრანსფერო პოლიტიკაც, - სხვადასხვა ქართული გუნდიდან დიდი „ზარ-ზეიმით“ გადმოყვანილ ფეხბურთელთა თითქმის

დავით ყიფიანი

აბსოლუტური უმრავლესობა „დინამოში“ ჩარიცხვის დღიდანვე პროფესიულ ზრდას შეწყვეტდა ხოლმე; ანუ, ადრე („დინამოში“ გადმოსვლამდე) თუ „დაფრინავდნენ“, ჩვენს ყველაზე ტიტულიან კლუბში უკვე ჩვეულებრივ და სხვებისგან არაფრით გამორჩეულ ფეხბურთელებად ყალიბდებოდნენ. უცხოელი ლეგიონერები ხომ, საერთოდ, ბევრად უფრო ვრცელი თემაა: ბოლო 13 წლის განმავლობაში „დინამოში“ რომელი ქვეყნის ნარმომადგენელს არ უასპარეზია, მაგრამ რამდენიმე ათეული იმ უცხოელიდან მხოლოდ ერთეულები (**ნედ ზელიჩი, მილოშ კრმკო, დიდიე ოვონო, კარლოსი, დენი დონდტი**) თუ ამტკიცებდნენ თავიანთ მაღალ კლასს.

... ბოლო 13 წელიწადიც შემთხვევით არ გვიხსენებია: ამ დროის განმავლობაში „დინამო“ ოთხჯერ გავიდა მესამე ადგილზე და ხუთჯერ — მეორეზე. აი, ტიტულებს რაც შეეხება, სამჯერ თასი მოიპოვა და ასევე სამჯერ ჩემპიონობა: 2003 წელს **ივო შუშაკის** ხელმძღვანელობით, 2005 წელს — **კახა ცხადაძის** თავკაცობით და 2008 წელს — **დუშან უჭრინთან** ერთად. არადა, მანამდე (ანუ, 1990-99 წლებში) „დინამომ“ თასი ექვსჯერ მოიპოვა და, რაც მთავარია, ზედიზედ ათჯერ საქართველოს ჩემპიონი გახდა! სხვათა შორის, დიდი ხნის განმავლობაში ეს შედეგი ევროპაში საუკეთესო იყო, ვიდრე ნორვეგიული „რუსენბორგი“ და ლატვიური „სკონტო“ არ გაუუმჯობესებდა. ახლა კი „დინამოს“ ერთგულ ქომაგებს მხოლოდ იმითღა შეუძლიათ იამაყონ, რომ საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში „დინამოა“ ერთადერთი გუნდი, პირველიდან მოყოლებული, ყველა გათამაშებაში რომ მონაწილეობს. და ალბათ იმითაც, რომ მხოლოდ „დინამოა“ ასევე ერთადერთი გუნდი, ჩემპიონატი მესამე ადგილს ქვემოთ რომ არ დაუმთავრებია. თუმცა, ეროვნული ჩემპიონატის დასაწყისიდან (უფრო ზუსტად, 1994 წლიდან) „დინამოში“ ერთობ უცნაური ტენდენციაც დამკვიდრდა: ჩვენს ყველაზე ტიტულიან გუნდში „გადაბმულად“ 2 სეზონი **დავით ყიფიანის** გარდა, სხვა არც ერთ მწვრთნელს არ უმუშავია! ჰოდა, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას: იქნებ „დინამოს“ ახალმა მწვრთნელმა, ესპანელმა **ალექს გარსიამ** დაარღვიოს ეს მართლაც უცნაური „ტრადიცია“...

დატრიალდა ჯარუსელი!

პირველ და მეორე ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოს“ **დავით ყიფიანი** თავკაცობდა და გუნდმა ორივე სეზონი პირველ ადგილზე დაამთავრა. ამის შემდეგ ყიფიანი კარიერის გასაგრძელებლად კვიპროსზე გაემგზავრა და მის ნაცვლად „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად **რევაზ ძოძუაშვილი** დანიშნა - გუნდმა ჩემპიონატი უპრობლემოდ მოიგო. „დინამომ“ მეოთხე ეროვნული ჩემპიონატიც ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო, მაგრამ 1994 წლის გაზაფხულიდან გუნდს უკვე **გივი ნოდია** თავკაცობდა, რომელმაც ის სეზონი ჩაამთავრა და მომდევნოშიც თავიდან ბოლომდე ხელმძღვანელობდა. აი, 1994-95 წლების სეზონი კი „დინამოს“ არსებობის ისტორიაში მართლაც „განსაკუთრებული“ იყო: ერთი, არასრული წლის განმავლობაში გუნდში... 5 სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა! სეზონი გივი ნოდიამ დაიწყო, შემდეგ დროებით გუნდს **თემურ ჩხაიძე** ხელმძღვანელობდა, ვინც მერე **სერგო კუტივაძემ** შეცვალა, თუმცა 1995 წლის დასაწყისში დსთ-ს თასის დამთავრებისთანავე კუტივაძის ნაცვლად ცოტა ხნით **ვაჟა ჟვანია** გახლდათ „დინამოს“ თავკაცი, ვიდრე ოთხწლიანი პაუზის შემდეგ მშობლიურ გუნდს დავით ყიფიანი ჩაიბარებდა! ასეთი სამწვრთნელო „კარუსელის“ მიუხედავად „დინამომ“ ის სეზონი პირველ ადგილზე დაამთავრა, თანაც შედეგიანობის მხრივ, თუ არ ვცდებით, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელიც ჰქონდა: თითო მატჩში საშუალოდ... ოთხ ბურთზე



ივო შუშაკი

მეტი გაჰქონდა! ყიფიანმა ამის შემდეგ „გადაბმულად“ კიდევ 2 სეზონი იმუშავა, 1997-98 წლების ჩემპიონატიც მისი ხელმძღვანელობით დაიწყო „დინამომ“; თუმცა უკვე ფინიშისკენ, ყიფიანი რუსეთში (კერძოდ, იაროსლავლის „შინიკში“) გაემგზავრა და „დინამოს“ ცოტა ხნით **ნოდარ აკობია** წვრთნიდა, ჩემპიონობა კი გუნდმა **მურთაზ ხურცილავას** ხელმძღვანელობით მოიპოვა. აი, ამის შემდეგ კი მართლაც თითზე ჩამოსათვლელი შემთხვევები თუ იყო, როცა რომელიმე მწვრთნელს „დინამოში“ სეზონის სრულად ჩამთავრების საშუალება ეძლეოდა. 1998-99 წლების სეზონი მურთაზ ხურცილავამ დაიწყო, ვინც შემდეგ ჰოლანდიელმა **იოჰან ბოსკამპმა** შეცვალა — პირველმა უცხოელმა მწვრთნელმა „დინამოს“ ისტორიაში (რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის პერიოდს ვგულისხმობთ). სწორედ ამ დროს დასრულდა კიდეც ქართულ საკლუბო ფეხბურთში „დინამოს“ ჰეგემონიის ხანა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლო 13 წლის განმავლობაში გუნდმა მხოლოდ სამჯერ შეძლო ჩემპიონობის მოპოვება...

1999-2000 წლები სეზონის პირველი მატჩი „დინამომ“ იმ დროისათვის 34 წლის სპეციალისტის, **გია გეგუჩაძის** ხელმძღვანელობით ჩაატარა; ამის შემდეგ გუნდს **ოთარ კორღალიძე** წვრთნიდა, სეზონი კი, „დინამომ“ **ჯემალ ჩიმაკაძის** ხელმძღვანელობით ჩაამთავრა და სატურნირო ცხრილში... მესამე ადგილი დაიკავა. ანალოგიური შედეგი ჰქონდა გუნდს მომდევნო ორ ჩემპიონატშიც: 2000-01 წლების სეზონში „დინამოს“ ჯერ **რევაზ არველაძე** ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი **გორა ტყებუჩავა**. მომდევნო სეზონში „დინამოს“ ჯერ გივი ნოდია თავკაცობდა, 2002 წლის დასაწყისიდან კი გუნდის მთავარ მწვრთნელად ხორვატი **ივო შუშაკი** დაინიშნა. სამწლიანი პაუზის მერე ტიტულები მომდევნო სეზონში მოვიდა: შუშაკის ხელმძღვანელობით 2003 წელს „დინამომ“ „დუბლი“ შეასრულა; თუმცა მომდევნო ჩემპიონატში „დინამოში“ კვლავ ორი მწვრთნელი მოღვაწეოდა: 2004 წლის გაზაფხულზე შუშაკის ნაცვლად გია გეგუჩაძე დაინიშნა. საქართველოს თასი და უეფას ჯგუფურ ეტაპზე გასვლა, — აი, ასეთი იყო გეგუჩაძის მონაგარი; თუმცა 2005 წლის გაზაფხულზე „დინამოში“ კვლავ მოხდა სამწვრთნელო გადაადგილება: მცირე ხნით გუნდს **ხვიჩა ქასრაშვილი** ავარჯიშებდა, ორწლიანი პაუზის მერე საჩემპიონო ტიტული კი „დინამოს“ **კახა ცხადაძემ** მოაპოვებინა. 2006 წლის იანვარში კი „დინამოში“ კიდევ ერთი უცხოელი მწვრთნელი დაინიშნა, თუმცა **ანდრეი ჩერნიშოვის** ხელმძღვანელობით გუნდმა მხოლოდ ბრინჯაოს მედლების მოპოვება შეძლო. 2006 წლის ზაფხულში „დინამოში“ მთავარ მწვრთნელად **კახა კაჭარავა** მოვიდა, ვინც რამდენიმე ტურის მერე გუნდის ახალი თავკაცის ასისტენტი გახდა. ახალი თავკაცი კი ცნობილი ჩეხი სპეციალისტი **დუშან უჭრინი** იყო, ვინც მხოლოდ მეორე სეზონში შეძლო ჩემპიონობის მოპოვება. ეს 2008 წელს იყო, თანაც საქმეს არც მწვრთნელების გაუთავებელი ცვლა შველოდა: 2008 წლის ზაფხულში დანიშნულმა გერმანელმა **რაინერ ცობელმა** გუნდში ერთი წელიც ვერ გაძლო და დამსახურებულადაც გააცილეს თბილისის აეროპორტში. ის სეზონი „დინამომ“ კახა კაჭარავას ხელმძღვანელობით ჩაამთავრა და ხუთწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს თასიც მოიპოვა. მომდევნო სეზონში კაჭარავა პირველიდან ბოლო ტურამდე ხელმძღვანელობდა „დინამოს“, XXII ჩემპიონატიც გუნდმა მისი ხელმძღვანელობით დაიწყო, მაგრამ შარშან, კონკრეტულად კი 5 ნოემბრის მატჩის („დინამო“-„ბაია“) შემდეგ თანამდებობა დატოვა. პირველი ეტაპის ბოლომდე „დინამოს“ **თამაზ სამხარაძე** წვრთნიდა, 2011 წლის იანვრიდან კი ისევ კახა კაჭა-

დუშან უჭრინი

რავამ ჩაიბარა ეს ურთულესი და საპასუხისმგებლო პოსტი. აი, დღეიდან კი „დინამოს“ **ალექს გარსია** დამოძღვრავს, - ესპანელმა სპეციალისტმა საქართველოს ყველაზე ტიტულიან გუნდთან სამწლიანი (2+1) კონტრაქტი გააფორმა!

...1990 წლიდან მოყოლებული რამდენიმე მწვრთნელი ორჯერ და სამჯერ მობრუნებულა „დინამოში“; სულ კი დღემდე 22 სპეციალისტს გაუწვრთნია ჩვენი ყველაზე ტიტულიანი გუნდი და ესპანელი ალექს გარსია 23-ე გახლავთ...

გია ტუხაშვილი

ინგლისის ნაკრები

ბენტი ჰარის ეჯიბრება

2009 წლის იანვარში, როდესაც **დარენ ბენტმა** „ტოტენჰემისა“ და „პორტსმუთის“ შეხვედრაში მეტად ხელსაყრელი მომენტით ვერ ისარგებლა, „სფურზის“ გაბრაზებულმა მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** თქვა, ამ გოლს ჩემი ცოლიც კი გაიტანდაო. დღეს, ინგლისისა და შვეიცარიის ნაკრებთა შეხვედრის წინ კი ბრიტანული პრესა წერს, რომ საეჭვოა ჰარი რედნაპის ცოლს (შესაბამისად **ჯეიმი რედნაპის** დედასა და **ფრენკ ლემპარდის** დეიდას) გასულ სეზონში 20 გოლი გაეტანა და **ფაბიო კაპელოს** მისი თამაში ისე მოსწონებოდა, რომ ნაკრებში გამოეძახა.

დარენ ბენტი

რედნაპის ირონიული კომენტარი დღეს უკვე „ასტონ ვილას“ 27 წლის ფორვარდისთვის შესაძლოა გადაულახავ ფსიქოლოგიურ ბარიერად ქცეულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. ბენტი კი არ დაითრგუნა, გაბრაზდა და გადაწყვიტა, ყველასთვის, უპირველეს ყოვლისა კი „სფურზის“ თავკაცისთვის, დაემტკიცებინა, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია.

შარშან ის „ტოტენჰემს“ „სანდერლენდში“ გაექცა. მაშინ მართლა ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ფორვარდის კარიერა დაღმავლობის გზაზე იდგა და თუ რამე არ შეიცვლებოდა, ბენტი თვალსაწიერიდან თანდათანობით გაქრებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. თავდამსხმელს მშველელად „ასტონ ვილა“ მოევლინა. ოთხი თვის წინ ბირმინგემელებმა ის 24 მილიონ ფუნტად იყიდეს (ამ ამბავმა „შავი კატების“ თავკაცი **სტივ ბრუსი** აღაშფოთა, რადგან ბენტის ტრანსფერი ფეხბურთელის გაქცევად აღიქვა) და აი, დღეს კაპელო, რომელმაც ფორვარდი 2010-ში მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ნაიყვანა, მას დისკვალიფიცირებული **უეინ რუნის** არყოფნაში ძირითად შემადგენლობაში ათამაშებს.

ბენტი მწვრთნელებისა და გულშემატკივრების ნდობას გოლებით პასუხობს. ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ ბოლო სამ შეხვედრაში მან სამჯერ გაიტანა და ამბობს, რომ 2009 წლის შემდეგ რედნაპის ცინიზმს უკვე ბევრჯერ გასცა საკადრისი პასუხი.

„ჰარის სიტყვებმა ვერ წამახდინა. მას მერე ძალიან ბევრი გოლი გავიტანე. ვიცი, ჰარი ბევრს უყვარს და მის ნათქვამს ყურს უგდებენ. ამიტომაც მაშინ მართლაც ცუდ დღეში ვიყავი. „ტოტენჰემიდან“ რომ წავედი, ერთი სული მქონდა ფანებისთვის დამემტკიცებინა, რომ სინამდვილეში ძლიერი თავდამსხმელი ვიყავი. საბედნიეროდ, „სანდერლენდში“ მართლაც დავიწყე გოლის გოლზე გატანა. იმ პერიოდში, საღამოობით წამოვწოლილი ვიჯექი ტელევიზორთან, ვუყურებდი ბოლმეს და ვფიქრობდი: მორჩა, უკვე დავამტკიცე, რომ გოლების გატანა შემიძლია. ამიერიდან ჰარიმ რაც უნდა ის თქვას, მნიშვნელობა აღარ ექნება“.

ინგლისში კი ჭორი დადის, რომ გაისად, ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე, კაპელოს სწორედ რედნაპი შეცვლის. ამაზე ბენტს ეცინება:

„კი, როგორ არა, ეს ამბავი მეც გავიგე. რა გითხრათ. მე ჩემი კლუბისთვის, ჩვეულებისამებრ, ყველაფერს გავიღებ და თუ ამ დროს ნაკრების მწვრთნელი მართლა ჰარი იქნება, წარმატებას ვუსურვებ. თუ კარგად ვითამაშებ და ის კი მაინც არ ამიყვანს, ესე იგი, რაღაც სხვა მიზეზი აქვს. თუმცა, ამიყვანს თუ არა, დარწმუნებული ვარ, რომ ის ნაკრებს თავის ხელს დაატყობს. მოკლედ, წინასწარ ლაპარაკი არ არის საჭირო, დავიცადოთ და ვნახოთ, რა მოხდება“.

ბენტს ეროვნულ გუნდში 9 შეხვედრა აქვს ჩატარებული. დებიუტი 2006 წელს ჰქონდა, მაგრამ პირველი გოლი შარშან სექტემბრამდე ვერ გაიტანა. თამაში, რომელშიც მან მეტოქეს ბურთი გაუტანა ხვალინდელ მეტოქესთან, შვეიცარიასთან იყო და ინგლისმა 3:1 მოიგო.

შვეიცარიელთა კარში გოლის გატანამ ბენტს შვება მოჰგვარა, რადგან მანამდე მას 2008 წელს, ხორვატიის ნაკრების კარში შესანიშნავი მომენტიდან გოლის ვერ გატანას ახსენებდნენ. რომ გაეტანა, ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზეც მოხვდებოდა და არც **სტივ მაკლარენს** მოხსნიდნენ. ბენტი დასძენს:

„ხორვატიასთან გადამწყვეტი თამაში იყო და ამიტომაც, ხელმოცარვა ორმაგად მტკივნეული გახლდათ. ის ეპიზოდი გულზე მძიმედ დამაწვა. საბედნიეროდ, ბოლო დროს ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების დავიწყება ვისწავლე და ცხოვრებაც უფრო გაიოლდა. ახლა მხოლოდ შემდეგ გოლზე ვფიქრობ, წარსულს კი აღარ ვიხსენებ... ყოველ შემთხვევაში ვცდილობ და ამას ადრინდელზე უფრო ვახერხებ. შვეიცარიის ნაკრების კარში გატანილმა გოლმა მხრებიდან სიმძიმე ჩამომხსნა. მას მერე საკუთარი შესაძლებლობების რწმენა მომემატა.

მე თავდამსხმელი ვარ და ყოველთვის გოლებით მაფასებენ. ძალიან მნიშვნელოვანია, აგრეთვე, როგორ ვითამაშებ ნაკრებში. დღეს თავს უკვე ეროვნული გუნდის წევრად ვთვლი, თუმც ვერ ვიტყვი, რომ ნაკრების მთავარი ცენტრფორვარდი ვარ - ინგლისში ხომ ბევრი უმაღლესი დონის თავდამსხმელია. ასეა თუ ისე, თუკი ბოლო თვეებში ჩემ შესახებ ხალხს შეხედულება შეეცვლევინე, ბედნიერი ვიქნები. სანამ შვეიცარიას გოლს გავუტანდი ბევრი ადამიანი ამბობდა, რომ მე გოლების გატანა არ შემეძლო, სექტემბრის შემდეგ კი მათ აზრი შეიცვალეს“.

პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირის სახელი კი ბენტმა „არსენალის“ კარში გატანილი ორი გოლით დაიმკვიდრა. ეს შეხვედრა მაისში გაიმართა და „ასტონ ვილამ“ 2:1 მოიგო. განსაკუთრებით ლამაზი პირველი გოლი იყო. თავად ბენტი იმ ეპიზოდს ასე იგონებს:

„ჩემთვის, როგორც „არსენალის“ ფანისთვის, ეს, ალბათ, ყველაზე დასამახსოვრებელი გოლი იქნება. მთელი კომბინაცია დიდებული იყო. კაილი უოქერმა შესანიშნავი პასი მომაწოდა. ბურთი მეც კარგად მივიღე და კარშიც შევაგდე. აკი მოგახსენეთ, რომ დღეს საკუთარ თავში გაცილებით დარწმუნებული ვარ. ვგრძნობ, რომ კარგად ვთამაშობ და იმედი მაქვს, რომ ასევე გავაგრძელებ“.

ჩელსი

ეროვნული ფიგურა

გუს ჰიდინკი მზად არის „ჩელსის“ გამო თურქეთის ნაკრების მწვრთნელის პოსტი დასტოვოს. 64 წლის ჰოლანდიელს მიზეზად ის მოაქვს, რომ სანაკრებო ფეხბურთი მობეზრდა და კლუბში ყოველდღიური მუშაობა სურს. ის, რაც მან ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა სხვა არაფერია თუ არა „ლურჯების“ მეპატრონის, **რომან აბრამოვიჩის** წინადადებაზე დათანხმება — აბრამოვიჩს **კარლო ანჩელოტის** გაშვების მერე მის ადგილზე, ყველაზე მეტად ჰიდინკის მიყვანა უნდა.

„არასდროს მითქვამს, რომ თურქეთის ნაკრებში დარჩენას ვაპირებ. ენერგიული ადამიანი გახლავართ და ყოველდღიური მუშაობა მსურს. ვატყობ, რომ მეტი აქტიურობა მჭირდება და ამიტომ საკლუბო ფეხბურთში გადასვლა მირჩევნია. ამ საკითხზე თურქეთის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტთან ჯერ არ მილაპარაკია, მაგრამ ის ჭკვიანი კაცია და პრესას თვალს ადევნებს. მეორე მხრივ, ჯერ ოფიციალური წინადადება არავისგან მიმილია და უფრო დეტალურად ვერაფერს გეტყვით“.

როგორც მოსალოდნელია, აბრამოვიჩი ჰიდინკის გადაბირებას შემდეგი კვირიდან შეუდგება, რადგან ამ კვირაში ჰოლანდიელი დაკავებულია — დღეს თურქეთის ეროვნულ გუნდს ბელგიის ნაკრებთან აქვს უმნიშვნელოვანესი შეხვედრა. ცნობისთვის: ჰიდინკს, ხელშეკრულების თანახმად, თურქეთში მუშაობა კიდევ ერთი წლის განმავლობაში მართებს. კონტრაქტის დარღვევის შემთხვევაში 4 მილიონი დოლარი ექნება გადასახდელი, რასაც „ჩელსი“ თუ გადაუხდის, ასე რომ, ძირითადად, ყველაფერი აბრამოვიჩზეა დამოკიდებული. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიელმა „ჩელსის“ საათავეში **ლუიშ ფელიპე სკოლარის** მერე რამდენიმე თვე დაჰყო და „ლურჯებს“, 2009 წელს, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი მოაგებინა. ამბობენ, რომ აბრამოვიჩს ის დღემდე ბოსს ეძახის და მასთან რეგულარულ ურთიერთობას ინარჩუნებს.

„ანდერლეხტის“ 18 წლის თავდამსხმელი **რომელუ ლუკაკუ** კი დასავლეთ ლონდონში ახალი მწვრთნელის ჩაბრძანებას არ ელოდება და „ჩელსიში“ გადასვლაზე ფიქრობს — ამ ბიჭსა და „ჩელსიზე“ ადრეც ლაპარაკობდნენ. მეორე მხრივ, ბელგიელი ყმაწვილკაცის სახელს ინგლისის ძალიან ბევრ გუნდთან აკავშირებენ. „ჩელსი“ უკვე ვახსენეთ. კიდევ, ამბობენ, რომ ლუკაკუს გადაბირებით დაინტერესებულები არიან „ლივერპული“, „ტოტენჰემ ჰოთსპური“, „არსენალი“ და „მანჩესტერ სიტი“, თუმცა ფეხბურთელს მხოლოდ ისეთ კლუბში უნდა გადასვლა, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და, შესაბამისად, „ლივერპულსა“ და „ტოტენჰემს“ ყოველგვარი აწონ-დაწონვის გარეშე ეუბნება უარს.

ლუკაკუ „ანდერლეხტის ძირითად შემადგენლობაში ორი სეზონია რაც გამოდის და ამ ხნის განმავლობაში 71 შეხვედრაში 31 გოლი გაიტანა. ყმაწვილმა თქვა:

„მინდა ჩემი ამბავი ორშაბათისთვის გაირკვეს, რადგან სამშაბათს კოლეჯში გამოცდები მენყება და ზედმეტი თავისტკივილი შემაწუხებს. „ანდერლეხტს“ მხოლოდ იმ შემთხვევაში დავტოვებ თუ თუ ინგლისის ორ ან სამ საუკეთესო გუნდში გადავალ. მინდა ვითამაშო სტადიონზე, სადაც 50 ათასი კაცი ეტევა და ჩემპიონთა ლიგის ზეიმია“.

კომერცია

უცნაური ამბავი ვესტ ჰემის თავს

დავიწყოთ იმით, რამაც „ვესტ ჰემის“ მეპატრონეებს **დევიდ გოლდსა** და **დევის სალივანს** გაოცებისგან პირი დააღებინა — სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ „ჩაქუჩების“ ფანმა, მალაიზიელმა ბიზნესმენმა **ტონი ფერნანდესმა** განაცხადა, რომ კლუბის ყიდვას აპირებს. სიტყვასიტყვით, ასე იყო:

„გაცნობებთ „ვესტ ჰემის“ ყველა ფანს, რომ მე კლუბის ახლანდელ მეპატრონეებს საკმაოდ სარფიანი წინადადებით მივმართე. ვნახოთ, როგორ პასუხს გამცემენ ისინი“.

ხმა ფერნანდესის შესახებ ელვის სისწრაფით მოედო ლონდონის ისტ ენდს და, ბუნებრივია, გოლდისა და სალივანის ყურებამდეც მიაღწია. სალივანის პასუხმა არ დააგვიანა:

„ჩვენ არანაირი წინადადება არ მიგვიღია“ — განაცხადა „ჩაქუჩთა“ მეპატრონემ.

ტონი ფერნანდესის შესახებ ის შეგვიძლია მოგახსენოთ, რომ ის მალაიზიის იაფი ავიაკომპანიის Air Asia-ს ხელმძღვანელია და სპორტის დიდი მოყვარულიც. კერძოდ, ფერნანდესი გახლავთ ფორმულა ერთის გუნდ „ლოტუსის“ ბოსი და 2009 წელს გოლდსა და სალივანს „ვესტ ჰემს“ ეცილებოდა — ცდილობდა მათთვის ვაჭრობაში ეჯობნა და ლონდონის კლუბი მას დარჩენოდა, რაც არ გამოუვიდა. როდესაც, ცოტა ხნის წინ, „ვესტ ჰემმა“ „უიგანთან“ 2:0 უპირატესობა ხელიდან გაუშვა და 3:2 წაგო (რის გამოც პრემიერლიგიდან გავარდა) ფერნანდესმა „ტვიტერში“ დაწერა: „რა სამწუხაროა, გუნდი ჩემპიონშიპში რომ გავარდა. როგორ მოახერხეს 2:0 უპირატესობის ხელიდან გაშვება და 3:2 წაგება? ასეთ დიდ კლუბს, ამგვარი სამარცხვინო ყოფა არ ეკადრება. თუ ფანები მთხოვენ, საქმეში ჩავერევი“.



ტონი ფერნანდესი

ფერნანდესის მტკიცებით, თუ ის კლუბის მეპატრონე გახდება, კლუბის უფრო ძვირად გაყიდვას კი არ ეცდება, საქმეში ფულს ჩადებს.

პასუხად გოლდმა თქვა: *„ჩვენ კლუბში ფინანსების მოზიდვა ძალიან გვინდა და სიამოვნებით დავსხდებით ტონისთან მთელი რიგი დეტალების მოსალაპარაკებლად. მზად ვართ ის დირექტორატში შევიყვანოთ, მაგრამ როდესაც კაცს აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენა აინტერესებს, ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, მოქმედ მეპატრონეებს უნდა მიმართოს, თორემ კლუბის „ტვიტერით“ ყიდვა ძალიან უცნაურ საქმედ მეჩვენება. თუმცა, რა იცი რა ხდება... ყოველ შემთხვევაში, მოდი იმედი ვიქონიოთ, რომ მთელი ამ ხმაურის შედეგად „ვესტ ჰემს“ ერთი სერიოზული ინვესტორი შეემატება“.*

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, წარმოგიდგენიათ, როგორ გუნებაზე დადგებოდა ამ არეულობის შემყურე, „ვესტ ჰემის“ მწვრთნელად ორი დღის წინ დანიშნული **სემ ელერდაისი**? მისი დაწყნარება სალივანმა ითავა:

„ეს ყველაფერი სისულელეა. მინდა სემი დავარწმუნო, რომ მის ორწლიან კონტრაქტს არანაირი საფრთხე არ ემუქრება და ის კვლავაც ყველაზე შესაფერის კანდიდატურად მიგვაჩნია. ერთადერთი, რასაც დღეს ვფიქრობ ის არის, რომ ტონი ფერნანდესს „პი არი“ დასჭირდა და ამიტომაც მოიგონა „ვესტ ჰემის“ ყიდვის ამბავი. აი, ვინმე რუსი მილიარდერი რომ გამოჩენილიყო და ეთქვა, „ვესტ ჰემში“ ასეულობით მილიონის ჩადებას ვაპირებ, სხვა საქმე იქნებოდა, მყისვე დავუთმობდით ასპარეზს. დიახ, მეორე რომან აბრამოვიჩს ან შეიხ მანსურს უარი როგორ უნდა უთხრა, მაგრამ, როდესაც, ხედავ, კაცს შენი კლუბი მხოლოდ სამკაულად უნდა და თან წინადადებით „ტვიტერის“ საშუალებით მოგმართავს, ბუნებრივია, უარს შეუთვლი. დღეს, როდესაც „ვესტ ჰემის“ აღორძინებას ვაპირებთ, ასეთი არასერიოზული ნაბიჯები არ გამოგვადგება“.

ჟურნალისტები ელერდაისსაც შეეხმიანენ. „დიდმა სემმა“ თქვა: *„რასაკვირველია შევშფოთდი, მაგრამ დევიდ სალივანთან ლაპარაკის შემდეგ ცოტა გულს მომეშვა. მივხვდი, რომ ის „ვესტ ჰემის“ გაყიდვას არ აპირებს, რადგან ეს კლუბი უყვარს და მისი აღორძინება გულით სწადია“.*

გვერდი მოამზადა

ილია ბაბუნაშვილმა

● უკრაინის ნაკრები

შევას ზრავმა

უკრაინული ნყაროების მტკიცებით, მათი ეროვნული ნაკრების კაპიტნის **ანდრეი შევჩენკოს** საფრანგეთის ნაკრების ნინააღმდეგ თამაში ეჭვქვეშ დგას. უკრაინა საფრანგეთს 6 ივნისს უმასპინძლებს. მიზეზი კი ბანალურია – ტრავმა. ვეტერანმა თავდამსხმელმა უზბეკეთთან ამხანაგურ შეხვედრაში (2:0) ფეხის მცირე ტრავმა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მიიღო, რის გამოც მინდორზე მხოლოდ 45 წუთი გაატარა. "პირველ ტაიმში სერიოზული დაზიანება მივიღე. შესვენებისას ტკივილი მხოლოდ გაძლიერდა და შეცვლა ვითხოვე. ამ დღეებში სრულ სამედიცინო გამოკვლევას გავივლი და პასუხი, თუ როდის შემეძლება თამაში ამის მერე მეცოდინება. სნორედ ექიმებმა უნდა მომცენ ფრანგებთან თამაშის უფლება," – აცხადებს ფეხბურთელი.

ჟურნალისტები მას უზბეკებთან შეხვედრაზეც დაეკითხნენ. აი, რას აცხადებს ანდრეი: "საინტერესო შეხვედრა იყო. უზბეკები ცდილობდნენ, რომ ჩვენთვის თამაშის საშუალება არ მოეცათ, მაგრამ ამის მიუხედავად პირველ ტაიმში საკმაოდ ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით, თუმცა რეალიზაციაში მოვიკოჭლებდით. ყველა რომ გაგვეტანა, მეტოქეს გავანადგურებდით. თან შერეული შემადგენლობა გვყავდა, რადგან მწვრთნელებს სურდათ, რაც შეიძლება მეტი ფეხბურთელისთვის მიეცათ თავის გამოჩენის შანსი. მოედანზე ვინც გავიდა, ყველა მონდომებული იყო და ბლოხინის დავალების შესრულებას გულმოდგინედ ცდილობდა".

ლევან ბიბილაშვილი

● პალერმო

ძამპარინიმ პიოლი აირჩია

სტეფანო პიოლი

ჯერ კიდევ იტალიის თასის ფინალური მატჩის წინ ვიცოდით, რომ „პალერმოს" მთავარი მწვრთნელის პოსტს **დელიო როსი** დატოვებდა. ეს ამბავი უკვე ოფიციალურად დადასტურდა. დელიო როსის გათავისუფლებიდან რამდენიმე საათში სიცილიურ გუნდს უკვე ახალი თავკაცი ჰყავდა. დიახ, **მაურიციო ძამპარინის** დიდხანს არ უფიქრია და არჩევანი **სტეფანო პიოლიზე** შეაჩერა. 46 წლის სპეციალისტი გასულ სეზონში „კიევოს" ედგა სათავეში და ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოაყალიბა. იქამდე „სალერნიტანას", „მოდენას", „პარმას", „გროსეტოს", „პიაჩენცას" და „სასუოლოს" მეტ-ნაკლები წარმატებით წვრთნიდა. ყველაზე კარგად მაინც „კიევოში" იმუშავა და სწორედ ამიტომ, მისი კანდიდატურა „რომას" მთავარი მწვრთნელის პოსტზეც კი განიხილებოდა.

პიოლიმ სიცილიურ კლუბთან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რომელიც ავტომატურად გახანგრძლივდება, თუკი მხარეები თანამშრომლობით კმაყოფილნი დარჩებიან. „პალერმოს" პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ პიოლის სახით, ძალიან ძლიერ სპეციალისტს მიაგნო - მოვუსმინოთ ძამპარინის: *„დელიო როსის მადლობა მინდა გადავუხადო ყველაფრისთვის, რაც გააკეთა და წარმატებები ვუსურვო. „პალერმოს" ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება, რომელიც სტეფანო პიოლის სახელთან იქნება დაკავშირებული. ძალიან ნიჭიერი სპეციალისტია და ამაში უკვე არაერთხელ დავრწმუნდი. რამდენჯერმე შევხვდი პირისპირ და მივხვდი, რომ სწორედ ის სპეციალისტია, რომელიც გუნდს სჭირდება. კარგად აქვს გაცნობიერებული, რა სამუშაო უნდა ჩაატაროს და როგორ მიაღწიოს წარმატებას. ჩემი მხრიდან, ყველანაირი მხარდაჭერა ექნება, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს".*

ლაშა წიკლაური

● რომა

ლუის ენრიკემ შეთავაზება მიიღო

მონტელა კატანიას უახლოვდება

„გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „რომას" მესვეურებმა არჩევანი **ლუის ენრიკეზე** შეაჩერეს და უკვე ოფიციალური წინადადებით მიმართეს. საუბარია ორწლიან ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვითაც ენრიკე სეზონში 1.5 მილიონ ევროს მიიღებს. ერთი მხრივ, გასაკვირია, რომ დედაქალაქური კლუბის მესვეურები გამოუცდელი ესპანელი მწვრთნელით დაინტერესდნენ, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ლუისი „ბარსელონა B"-ს ედგა სათავეში, ყველაფერი გასაგები ხდება. დღესდღეობით, კატალონიური გრანდის თამაში აბსოლუტურად ყველასთვის მისაბაძია, ის კი საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ „ბარსელონას" ყველა ასაკობრივი გუნდი ერთი ტაქტიკა-სტრატეგიით თამაშობს. მოკლედ, „ბარსა" მოდაშია და ჩვენი „დინამოსი" არ იყოს, რომაელებმაც კატალონიელებზე დაამყარეს იმედები. თუმცა, ჯერ ენრიკეს პასუხი უცნობია და არ არის გამორიცხული, შეთავაზებაზე უარი განაცხადოს - და თუ მაინც დათანხმდა, სავარაუდოდ თანაშემწედ კიდევ ერთ ყოფილ ფეხბურთელს, **ივან დელა პენიას** აიყვანს.

„გაძეტას" ცნობით, რომაელები პასუხს ორშაბათამდე ელიან და დიდია შანსი, უკვე მომდევნო კვირაში „ჯალოროსის" მესვეურებმა ახალი მთავარი მწვრთნელი წარადგინონ. არადა, **კარლო ანჩელოტია** თავისუფალი და არ მალავს, რომ მისთვის ყველაზე სასურველი სწორედ რომაელთა წინადადება იქნებოდა - ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

როგორც ჩანს, **ვინჩენცო მონტელა** უკვე მიხვდა, რომ „რომას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დიდი დღე არ უწერია და ახალი კლუბის ძიებას შეუდგა. მსურველები მალევე გამოუჩნდა, მათ შორის ყველაზე საინტერესო კი „კატანიას" ვარიანტი გახლავთ. სიცილიელებთან გაჩელებულ მოლაპარაკებებს ვინჩენცო ადასტურებს: *„დიახ, „კატანიას" მესვეურები დამიკავშირდნენ და მოლაპარაკების დაწყება შემომთავაზეს, რაზეც თანხმობა განვაცხადე. ჯერ კიდევ არ ვიცი ზუსტად, დავტოვებ თუ არა „რომას", მაგრამ ჯერჯერობით ვერანაირი გარანტია ვერ მივიღე და იძულებული ვარ, ცალი თვალი სხვა ვარიანტებზე მეჭიროს. „კატანია" ძლიერი გუნდია, ევროსაგზურისთვის ბრძოლის უნარი ნამდვილად შესწევს და ვნახოთ, გამორიცხული ნამდვილად არ არის ამ გუნდს ჩავუდგე სათავეში. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ყველაზე საინტერესო ვარიანტია".*

შეგახსენებთ, რომ „კატანიას" **დიეგო სიმეონე** ედგა სათავეში, რომელმაც ორიოდე დღის წინ განაცხადა პოსტის დატოვების შესახებ. არგენტინელმა სპეციალისტმა საკუთარი სურვილით დატოვა სიცილიური გუნდი, თუმცა იქვე დასძინა: გათავისუფლებას მიპირებდნენ და დავასწარიო.

ლაშა წიკლაური

● სავარაუდო ტრანსფერი

ამაური ნეაპოლელებს მოუნდათ

„ნაპოლის" პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ გუნდისთვის სარეზერვო ფორვარდს ეძებს, რომელსაც სეზონში მინიმუმ 10-15 გოლის გატანა შეუძლია. დღის წესრიგში იდგა „გრონინგენის" ფორვარდის, **ტომას მატავციის** გადაბირების საკითხი, თუმცა მოლაპარაკებები ბოლო მომენტში ჩიხში შევიდა და ტრანსფერიც არ შედგა. ნეაპოლელებმა ახალი ვარიანტების ძებნა დაიწყეს და **კარვალიო ამაურის** დაადგეს თვალი, რომელმაც სეზონის მეორე ნახევარი „პარმას' შემადგენლობაში მაღალ დონეზე ჩაატარა.

30 წლის იტალიელ-ბრაზილიელი „იუვენტუსის" საკუთრებაა, ტურინელები კი მის სანაცვლოდ ათ მილიონ ევროს ითხოვენ. „პარმას" მესვეურები ფეხს ითრევენ თანხის გადახდისგან და მაქსიმალურად ცდილობენ, რომ საარენდო ხელშეკრულება კიდევ ერთი სეზონით გაახანგრძლივონ. ტურინელებს ამაურის დაბრუნება დიდად არ სურთ და გამომდინარე აქედან, მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებიან ემიელელთა წინადადებას, თუ კარვალიოს მყიდველი არ გამოუჩნდა. ბოლო ინფორმაციით, დე ლაურენტისი სერიოზულად არის დაინტერესებული ამაურის გადაბირებით და თუ ეს მართლაც ასეა, წესით არც ათმა მილიონმა ევრომ უნდა შეაშინოს. ამ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარი „იუვენტუსის" სპორტულმა დირექტორმა, **ჯუზეპე მაროტამ** გააკეთა:

„ჩემი ინფორმაციით, ანტონიო კონტეს გეგმებში კარვალიო ამაური არ ჯდება, ამიტომაც, კლუბმა მისი გასხვისების გადაწყვეტილება მიიღო. გამომდინარე იქიდან, რომ ამაური მაღალი კლასის ფორვარდია, მისი ფასი ათ მილიონ ევროს შეადგენს. ოფიციალური წინადადებით ჯერ არავის მოუმართავს, თუმცა პირად საუბრებში მის მიმართ საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენენ. ბუნებრივია, თავად ფეხბურთელის ინტერესსაც გავითვალისწინებთ და ამ საკითხთან დაკავშირებით, მას უახლოეს დღეებში დაველაპარაკები. ვიცი, რომ „პარმაში" სურს დარჩენა, ასეთ შემთხვევაში, შეგვიძლია მხოლოდ ემილიელებისთვის სატრანსფერო ფასს კიდევ ერთხელ გადავხედოთ. გავიგე ნეაპოლელთა დაინტერესების შესახებ და ვფიქრობ, რომ ეს ვარიანტი გაცილებით უკეთესი იქნება ჩვენთვისაც და თავად ფეხბურთელისთვისაც"

ლაშა წიკლაური

კარვალიო ამაური

● კვირეულ-ფრაზები

ეროვნული ლიგა ჩაჯიოთეკა ვინ ყიდის

ჰარი რედნაპმა განაცხადა, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპური" არცერთ ლიდერს არ გაყიდის ზაფხულში - ამის შესახებ გაზეთი „სანი" წერს. ხორვატი ნახევარმცველის **ლუკა მოდრიჩის** შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედს" სურს, ხოლო უელსელი გარემარბით **გარეთ ბეილით** მეორე მანჩესტერული კლუბი — „სიტია" დაინტერესებული. რაც შეეხებათ ჰოლანდიელ ნახევარმცველ **რაფაელ ვან დერ ვაარტსა** და ბრაზილიელ მცველ **სანდროს**, მათი შეძენა იტალიის ჩემპიონ „მილანს" სურს. მაგრამ ჰარი რედნაპი ამბობს, რომ ეს ოთხეული მომავალ სეზონშიც „უაით ჰარტ ლეინზე" იასპარეზებს: „ოთხივე მოთამაშეს კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს და ალბათ ახალსაც გავაფორმებთ. ამის შესახებ გადაწყვეტილება კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად მივიღე. ისინი საკმაოდ ძლიერ კლუბში თამაშობენ და მომავალ სეზონში აღარ მოგვიწევს შემადგენლობის გაძლიერებაზე ზრუნვა. დიდი წვლილი მიუძღვით იმაში, რომ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით ვიასპარეზეთ. იმედია, მომავალ სეზონშიც ასე იქნება".

უსწრაფესი და უჭკვიანესი უცხოპლანეტელი

„მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარულმა გოლკიპერმა **ედვინ ვან დერ სარმა** ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის შემდეგ, სადაც მისი გუნდი „ბარსელონასთან" (3:1) დამარცხდა, კატალონიელთა ერთ-ერთ ლიდერ **ლიონელ მესიზე** ისაუბრა და ასეთი რამ განაცხადა: „უნიკალური ფეხბურთელია, დღესდღეობით მსოფლიოში საუკეთესოც კი. მის შესახებ ახლის თქმა არ მომინევს: იგი უსწრაფესი და უჭკვიანესი მოთამაშეა, რომელიც მეტოქის მცველებსა და მეკარეებს შიშის ზარს სცემს. ფინალურ მატჩში არგენტინელის გაკონტროლება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ამის გაკეთება ფაქტობრივად შეუძლებელია. მგონი, ის მართლა უცხოპლანეტელია".

კვირის მატჩი

რასაკვირველია, კვირის მატჩად ჩემპიონთა ლიგის ფინალს ვასახელებთ „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „ბარსელონას" შორის, რომელიც ლონდონში, „უემბლიზე" გაიმართა. როგორც იცით, მატჩი კატალონიელთა გამარჯვებით — 3:1 დასრულდა. შეხვედრა იგივე სცენარით დაიწყო, რაც 2009 წლის რომის ფინალში. თავიდან „იუნაიტედი" ფლობდა უპირატესობას, ხშირად აწუხებდნენ „ბარსას" მცველებს, მაგრამ 20 წუთის განმავლობაში არაფერი გამოუვიდათ და ზუსტად ორ წუთში **პედრომ** გახსნა ანგარიში - **ვან დერ სარს** ახლო კუთხეში გაუტანა. ტაიმის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე **უეინ რუნიმ** ბრწყინვალე გოლით გაათანაბრა ანგარიში — 1:1. მეორე ტაიმში კი უკვე სრულ უპირატესობას დაეუფლნენ კატალონიელები და შედეგიც სახეზეა — 3:1. მეორე და მესამე გოლები კი შესაბამისად **ლიონელ მესიმ** და **დავიდ ვილიამ** გაიტანეს.

ამ მატჩში კვლავ გაიბრწყინა მესიმ, რომელმაც ბრწყინვალე გოლიც მიითვალა აქტივში და 2003 წელს **რუუდ ვან ნისტელროის** მიერ დამყარებული რეკორდი გაიმეორა — 12 გოლი ჩემპიონთა ლიგის ერთ სეზონში. ამრიგად, „ბარსამ" დამსახურებულად იმარჯვა და ედვინ ვან დერ სარმა ფეხბურთი დამარცხებულმა დატოვა, ისევე, როგორც პოლ სქოულზმა.

გიორგი ფულარიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

მორჩა, ნოიერი ბავარიელია!

რეკორდმაისტერი ამოიძოქა: სიტი ბოატენგში 20 მილიონს ითხოვს, მიუნხენელებს იაპონელიც სურთ, კლოზეს კი ტრაბზონსპორიც ელაპარაკება

მორჩა, დამთავრდა: გადაწყდა და გუშინ-ორივე გუნდის მხრიდან ოფიციალურადაც დადასტურდა, რომ **მანუელ ნოიერი** კარიერას მიუნხენის „ბაიერნში“ გააგრძელებს. „კიკერის“ მიერ სანდო წყაროზე დაყრდნობით გავრცელებული ცნობა ნაშუადღევს „შალკეს“ მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** დაადასტურა. მან ისიც თქვა, რომ **ლევან იენიას** კლუბში ნოიერს **რალფ ფერმანი** შეცვლის. ეს უკანასკნელი გელზენკირხენში 2003-დან 2009 წლამდე ერთხელ უკვე თამამობდა, მაგრამ მაშინ სათადარიგო კიპერი გახლდათ, ახლა კი პირველი ნომერი იქნება. რალფი გელზენკირხენში გუშინვე ჩავიდა, სამედიცინო შემოწმება გაიარა და 4-წლიანი კონტრაქტიც გააფორმა. ფერმანის გარდა, „შალკე“ „კიიზერსლაუტერნის“ მეკარე **კევინ ტრაპით** და ჰანოვერელი **რონ-რობერტ ცილერითაც** იყო დაინტერესებული, მაგრამ უპირატესობა ბოლოს ფერმანს მიანიჭეს – უფრო იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი უფასო იყო. კაიზერსლაუტერნელები ტრაპში 9 მილიონს ითხოვდნენ, ჰანოვერელები კი ცილერში 10 მილიონს.

ახლა კი მთავარი: როგორც ხედავთ, „ბაიერნის“ ხელმძღვანელების მოლოდინი გამართლდა და ნოიერი ბავარიულ გრანდში გადადის. 25 წლის მანუელი, რომელსაც ბუნდესლიგაში უკვე 156 შეხვედრა აქვს ჩატარებული, ხოლო გერმანიის ნაკრების ღირსებას კი 18 მატჩში იცავდა, რეკორდმაისტერში ახლავე მიდის. მანუელი „ბაიერნში“ ხუთწლიან კონტრაქტს აფორმებს, „შალკე“ კი მიუნხენური გრანდისგან 18 მილიონ ევროს მიიღებს, რასაც პრემიებიც ემატება (მინიმუმ 3, მაქსიმუმ 7 მილიონი). „შალკესთვის“ მანუელის ახლავე გაყიდვა უკანასკნელი შანსი იყო, ნოიერში ფული აეღო – გელზენკირხენელებს ბუნდესმეკარე რომ არ გაეშვათ, ერთი წლის შემდეგ „ბაიერნში“ უფასოდ გადავიდოდა.

ნოიერს მიუნხენში ყოფილი თანაგუნდელი, ბრაზილიელი მარჯვენა მცველი **რაფინია** დახვდება, რომელიც „შალკეს“ ღირსებას 2005-დან 2010 წლამდე იცავდა და რეკორდმაისტერში ახლახან, იტალიური „ჯენოადან“ გადაბარგდა. შეგახსენებთ, რომ მანუელ ნოიერი „ბაიერნისთვის“ რიგით მესამე ტრანსფერია. რაფინიას გარდა, ბავარიელებმა მანამდე „კოტბუსის“ თავდამსხმელი და მეორე ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი **ნილს პეტერსენი** გაიფორმეს.

გუშინ, გერმანიის ნაკრების პრესკონფერენციაზე (ბუნდესგუნდს დღეს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი აქვს ავსტრიასთან) მანუელმა „ბაიერნზე“ ისაუბრა: *„მიხარია, რომ ტრანსფერი ბოლოს და ბოლოს შედგა, „ბაიერნი“ ჩემთვის უდიდესი გამონვევაა და იმედი მაქვს, რომ ჩემზე გაცემულ ავანსებს გავამართლებ. ახალ თანაგუნდელებს გერმანიის ნაკრებშივე დავუმეგობრდები. დარწმუნებული ვარ, რომ „ბაიერნში“ ადაპტაცია არ გამიჭირდება, რეკორდმაისტერს ძალიან მალე შევეჩვევი. ძალიან მინდოდა, რომ „ბაიერნში“ მეთამაშა და ბედნიერი ვარ, რომ სურვილი ამისრულდა.“*

კითხვაზე, უფრთხის თუ არა მიუნხენელ ულტრასებს, რომლებიც მანუელის ტრანსფერის სასტიკი წინააღმდეგები იყვნენ, ნოიერმა ასე უპასუხა: *„ყოველთვის მზად ვარ, ფანებს შევხვდე და დაველაპარაკო. იმედი მაქვს, რომ პრობლემები არ შემექმნება.“*

ბოატენგი ჩაიშალა?

ნოიერისა და რაფინიას ტრანსფერები დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ დაცვის ცენტრი? გასულ სეზონში რეკორდმაისტერს ყველაზე მეტად ხომ ამ პოზიციაზე უჭირდა? ფაქტია, რომ რეკორდმაისტერს სასწრაფოდ სჭირდება ისეთი ცენტრალური მცველი, რომელიც ძირითად შემადგენლობაში, 22 წლის **ჰოლგერ ბადშტუბერის** მხარდამხარ ითამაშებს. ბავარიელებს გერმანიის ნაკრების ახალგაზრდა მცველი, ასევე 22 წლის **ჟერომ ბოატენგი** აქამდე მარჯვენა მცველის რანგში სურდათ, მაგრამ რაკი რაფინია იყიდეს, ახლა უკვე ცენტრალური ზონისთვის უმიზნებენ – ბოატენგი პირველ რიგში ხომ ცენტრალური უკანახაზელია. ეს უკანასკნელი ერთი წლის წინ „ჰამბურგიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ 12.5 მილიონ ევროდ გაიყიდა, ახლა კი ინგლისური კლუბი მის სანაცვლოდ ფაქტობრივად ორმაგს ითხოვს! „ბილდის“ ინფორმაციით, „სიტის“ შეფებმა მიუნხენელ კოლეგებს შეუთვალეს, ბოატენგს 20 მილიონზე იაფად არ შეველევითო, რამაც **ული ჰაინესი** და კომპანია შოკში ჩააგდო.

ეს იმას ნიშნავს, რომ „სიტის“ ბოატენგის გაყიდვა არ სურს (ჟერომს მანჩესტერულ კლუბთან კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული). შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტრანსფერი არ შედგება, რადგან ბავარიელები 20 მილიონის გადახდას არ აპირებენ. თუმცა გამორიცხული არაა, რომ შეიხებს ერთხელაც შეევაჭრონ.

იაპონელი ბაიერნში?

ამასობაში, გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ „ბაიერნი“ 19 წლის იაპონელი ნახევარმცველითაა დაინტერესებული: ეს გახლავთ **ტაკაში უსამი**, რომელიც 2010 წელს იაპონიის ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს და რომელიც ახლა „გამბა ოსაკას“ ღირსებას იცავს. სხვადასხვა იაპონური საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, უსამის რეკორდმაისტერში გადასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია. ფეხბურთელი 5 მილიონი ევრო ღირს, მაგრამ გამორიცხული არც ისაა, რომ მიუნხენელებმა ის ჯერ ინათხოვრონ და თუ მოენონებათ, მხოლოდ ამის შემდეგ გამოისყიდონ.

აღსანიშნავია, რომ „ბაიერნს“ ტაკაში უსამის ყიდვა იანვარშიც უნდოდა. მაშინ იაპონელი ნახევარმცველის გადაბირება ბავარიელთა ყოფილმა დამრიგებელმა **ლუის ვან გაალმა** მოინდომა. *„ეს არის ფეხბურთელი, რომელიც იდეალურია გამთამაშებლის პოზიციისთვის“* - უთხრა ვან გაალმა იანვარში „შპორტ ბილდს“.

კლოზეს ტრაბზონშიც ეპატიჟებიან

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რომის „ლაციოს“ **მიროსლავ კლოზესთვის** ბრძოლაში სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. ცნობა, რომლის მიხედვითაც, თურქული „ტრაბზონსპორი“ „ბაიერნის“ 32 წლის თავდამსხმელს გრანდიოზულ პირობებს სთავაზობს, კლუბის პრეზიდენტმა **სადრი შენერმა** დაადასტურა.

„მიროსლავ კლოზესთან მოლაპარაკებები დაწყებულია. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ კლოზე „ტრაბზონსპორში“ გადმოვიდეს. რაკი ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვეთ, ევროპის ელიტაში წარმატებული გამოსვლა გვსურს, ამისათვის კი სწორედ კლოზეს დარი გოლეადორი გვჭირდება“, - თქვა 59 წლის შენერმა „სუპერლიგნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

„ტრაბზონსპორის“ პრეზიდენტს ახლო მომავალში მიროსთან შეხვედრა და მასთან პირადად საუბარი სურს. ჩვენი თურქი კოლეგების ინფორმაციით, შენერი „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების ფორვარდს ორწლიან კონტრაქტს და იდეალურ პირობებს შესთავაზებს. „ბილდის“ ცნობით, საუბარია წელიწადში 3.5-მილიონიან ხელფასზე, რაც „ლაციოს“ წინადადებაზე ორჯერ მეტია. აქვე გეტყვით, რომ „ტრაბზონი“ კლოზეს გარდა, სხვა ცნობილ ფეხბურთელებსაც უმიზნებს: მენეჯერმა **ვოლქან ბექიროღლუმ** დაადასტურა, რომ სევილიელ **დიდიე ზოკორასთან** შეთანხმება უკვე მიღწეულია, ახლო მომავალში კი „ტრაბზონი“ კიდევ 2-3 ძალიან ცნობილ ახალწვეულს წარადგენს. შესაძლოა, მათ შორის კლოზეც იყოს...

გერმანიის ნაკრები

შენ წადი და აუფ ვიდერზეენ ჩვენზე იყოსო...

ლიოვი ბალაკს „გარიგებას“ შესთავაზებს

ერთი წელია, **მიხაელ ბალაკი** გერმანიის ნაკრებში დაბრუნებისთვის იბრძვის. მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის წინ მიღებულმა ტრავმამ მას არა მარტო მუნდიალი გამოატოვებინა, არამედ ბუნდესგუნდის კარიც მიუხურა – სავარაუდოდ სამუდამოდ. მართალია, გერმანიის ნაკრების მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ხშირად იმეორებს, რომ ბალაკისთვის ეროვნული გუნდის კარი ჯერ არ დახურულა, მაგრამ ყველა ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ 34 წლის ნახევარმცველის სანაკრებო კარიერა დასასრულს უახლოვდება. დღეს ბუნდესგუნდი ავსტრიის ნაკრებს ეთამაშება, მერე კი აზერბაიჯანს (ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი) და ბალაკი ბუნდესნაკრებში ისევ არაა გამოძახებული. ლიოვმა თქვა, ამ შეხვედრების შემდეგ მიხაელს კიდევ ერთხელ შევხვდები და დაველაპარაკებიო. „შპორტ ბილდის“ ჟურნალისტები კი სანდო წყაროზე დაყრდნობით გვაუწყებენ, რომ ლიოვი მიხაელს გარიგებას შესთავაზებს.

ხსენებული გამოცემა წერს, რომ ლიოვი ბალაკს სანაკრებო კარიერის დასრულებას მოსთხოვს, ოღონდ იმ პირობით, რომ მიხაელმა უნდა თქვას, ნაკრებიდან ჩემი ნებით მივდივარო. სანაცვლოდ კი, იოგი ბუნდესგუნდის ყოფილ კაპიტანს 10 აგვისტოს შტუტგარტში დაგეგმილი ამხანაგური მატჩისთვის (ბრაზილიასთან) გამოიძახებს და ამ შეხვედრას ბალაკის გამოსამშვიდობებელი თამაშის სტატუსიც ექნება.

თუ ბალაკი ამ გარიგებას დათანხმდება, ბრაზილიასთან მატჩი მისთვის რიგით 99-ე შეხვედრა იქნება ბუნდესგუნდში, გერმანელი გულშემატკივრები კი ყოფილ კაპიტანს ტაშით გააცილებენ. თუმცა გერმანელი ექსპერტების გარკვეული ნაწილი მიხაელისთვის გამოსათხოვარი მატჩის მოწყობას არ ამართლებს.

„ამბობენ, მიხაელ ბალაკმა გერმანიის ნაკრებს და ზოგადად გერმანულ ფეხბურთს ძალიან ბევრი რამ გაუკეთაო. მე ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები, - ამბობს 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **ანდრეას ბრემე**, - *მიხაელი მართლა კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ რას მიაღწია გერმანიის ნაკრებში? არც არაფერს!“*

ბრემე პირდაპირ აცხადებს, ბალაკი გამოსათხოვარ მატჩს არ იმსახურებსო და იმაშიც დარწმუნებულია, რომ თუ სანაკრებო კარიერის დამთავრებაზე უარს იტყვის, გერმანიის ნაკრებში ისედაც აღარასოდეს გამოიძახებენ. გერმანიის ნაკრების მეორე ლეგენდარული ფეხბურთელი **ლოთარ მათეუსი** კი ლიოვს აკრიტიკებს და მისგან საბოლოო გადაწყვეტილების გახმაურებას ითხოვს.

„ეს ყველაფერი უკვე სასაცილოა. ერთი წელია, ლიოვი ამბობს, ბალაკისთვის ნაკრების კარი ჯერ კიდევ ღიაა, მაგრამ არ იძახებს. ვფიქრობ, იოგის უნდა ეყოს ვაჟკაცობა, აღიაროს, რომ მიხაელს ბუნდესგუნდში დიდი ხანია აღარ მოიაზრებს“, - ამბობს მათეუსი და ბრემესგან განსხვავებით, გერმანიის ნაკრების რეკორდსმენ ლოთარს მიაჩნია, რომ მიხაელ ბალაკი ღირსეულ დამშვიდობებას ნამდვილად იმსახურებს: *„ჩემი აზრით, მიხაელმა ბრაზილიასთან აუცილებლად უნდა ითამაშოს, მან ტაშით გაცილება დაიმსახურა. შესაძლოა, მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონი ვერ გახდეს, მაგრამ ბუნდესლიგის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ნახევარმცველი იყო და ეს არ უნდა დავიივიწყოთ.“*

მათეუსს „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტი და გერმანიის ნაკრების კიდევ ერთი ლეგენდარული მოთამაშე, **კარლ-ჰაინც რუმენიგეც** ეთანხმება. *„მან გერმანულ ფეხბურთს და გერმანიის ნაკრებს ბევრი გაუკეთა და ღირსეულ დამშვიდობებას იმსახურებს. მეც არ მჯერა, რომ ბალაკი ბუნდესგუნდში დაბრუნებას მოახერხებს, რადგან ლიოვს ნახევარდაცვაში დღეს ყველაზე ნაკლებად უჭირს. ბასტიან შვაინშტაიგერი, სამი ხედირა, თომას მიულერი, მესუთ იოზილი – მიხაელი ამ მოთამაშეებს უკვე ველარ აჯობებს. კრისტიან ტრეშის, ტონი კროოსისა და სვენ ბენდერის სახით კი ლიოვს სათადარიგოთა სკამზეც ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს“*, - აცხადებს „შპორტ ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „კალე“.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა



მიხაელ ბალაკს გერმანიის ნაკრებში მომავალი აღარ აქვს

უცხოური ფეხბურთი

● ბარსელონა

კარლეს პუიოლი მოედანს სეზონის დასაწყისში დაუბრუნდება

ვინ წავა მოვა?

პუიოლი სამ თვეს მოიცდის

„ბარსელონას“ კაპიტანმა **კარლეს პუიოლმა** მარცხენა მუხლის ოპერაცია გაიკეთა. ორმა ცნობილმა ექიმმა, **რამონ კუგატმა** და **რიკარდ პრუნამ** მას მუხლში ხრტილის ის ნაწილი ამოუღეს, რომელიც ფეხბურთელს თამაშში ხელს უშლიდა. ოპერაციის შემდეგ კუგატმა და პრუნამ პრესკონფერენცია გამართეს, სადაც აღნიშნეს, რომ კაპიტანს ორიდან სამ თვემდე მოუწევს უქმობა.

„პუიოლმა ტრავმა ამ ოთხი თვის წინ მიიღო, ყველაფერი დაიწყო მუხლის დაზიანებით „მალაგასთან“ მატჩში. ამ ტრავმამ გამოიწვია ტკივილი და ბალანსის დაკარგვა. შემდეგ უკვე იჩინა თავი ხრტილის წანაზარდმა. ამის შემდეგ ჩვენ პუიოლს მხოლოდ დიდი მატჩებისთვის ვამზადებდით, სხვა შემთხვევაში კი მას დასვენების საშუალებას ვაძლევდით. მკურნალობამ ბევრი ენერგია წაიღო, როგორც ფეხბურთელის, ასევე სამედიცინო ჯგუფის, რადგან ჩვენ უპირველესად ფეხბურთელის ჯანმრთელობაზე ვფიქრობთ. „რეალთან“ იმიტომ ითამაშა, რომ 100%-ით მზად იყო, თუმცა კარლესს არ შეეძლო თასის ფინალში თამაში“, - განაცხადა პრუნამ.

„ამის შემდეგ ფეხბურთელმა გადაწყვიტა, სეზონის ბოლომდე მოეცადა და ის მართალი იყო. ოპერაცია მან ყოჩაღად გადაიტანა, ხუთშაბათს ჰოსპიტალიდანაც გავწერთ. 2-3 თვეში კი კარლესი ფეხბურთსაც დაუბრუნდება“, - დაამატა კუგატმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სეზონის დასაწყისისთვის „ბარსას“ კაპიტანი, სავარაუდოდ, მზად იქნება - პრიმერა 21 აგვისტოს დაიწყება.

მაქსველი მიდის, როსი მოდის?

მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონა“ შვებულებაში გავიდა, გუნდის თავკაცი **ხოსეპ გვარდიოლა** ჯერ ისევ შრომობს. ოთხშაბათს პეპი **ანდონი სუბისარეტას** შეხვდა, სამომავლო გეგმებზე მოსალაპარაკებლად. პეპს სურს პირველ გუნდთან დაკავშირებით ყველა საქმის კურსში იყოს და არც კლუბის ხელმძღვანელობაა წინააღმდეგი.

ბოლო დროს „ბარსადან“ წასვლის კანდიდატებად ხშირად ასახელებენ ბრაზილიელ **მაქსველს** და არგენტინელ **გაბრიელ მილიტოს**. გვარდიოლამ გადაწყვიტა, ამ კვირაში თავად დაელაპარაკოს მაქსველს. ის არ არის წინააღმდეგი, რომ ბრაზილიელმა კარიერა ისევ „ბლაუგრანაში“ გააგრძელოს, თუმცა აუცილებლად თვლის, მაქსველს თავად აუხსნას დღეისათვის შექმნილი ვითარება.

მაქსველმა ორი სეზონი ჩაამთავრა „ბარსელონაში“. ის სათადარიგო მარცხენა მცველად მიიღეს, თუმცა ხშირად ახერხებდა ძირითადში მოხვედრას. ამ სეზონში კი ბრაზილიელმა ფლანგზე მეორე ნომრის სტატუსიც დაკარგა თანამემამულე **ადრიანოსთან** კონკურენციაში. ამის ნათელი მაგალითი ჩემპიონთა ლიგის ფინალია, რომლის განაცხადში მაქსველი საერთოდ ვერ მოხვდა.

გაბრიელ მილიტოსთან მოლაპარაკებას კი სუბისარეტა აპირებს. „მარისკალი“ „ბარსაში“ დარჩენაზე ოცნებობს, თუმცა ხშირი ტრავმიანობა მისი პირველი მტერია. სხვათა შორის, გაბის კიდევ ერთი სეზონი ეკუთვნის „ბარსაში“ თამაში კონტრაქტის მიხედვით.

სავარაუდო ახალწვეულზეც ვთქვათ - „ბარსელონა“ და „ვილიარეალი“ მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ - კატალონიელებს „წყალქვეშა ნავის“ იტალიელი ფორვარდი **ჯუზეპე როსი** სურთ. როსის აგენტმა ფედერიკო პასტორელომ განაცხადა, რომ როსის საბაზრო ფასი 25 და 30 მილიონ ევროს შორის მერყეობს და ახლა „ბარსასთან“ სწორედ ამ თანხებში მიდის ვაჭრობა „ელ მუნდო დეპორტივოს“ მტკიცებით, მოლაპარაკება აქტიურ ფაზაშია და პრობლემები არ ჩანს. სავარაუდოდ, გარიგებაში **ბოიან კრკიჩსაც** ჩართავენ, რომელიც ვალენსიაში ნავა და „ვილიარეალში“ იჯარის წესით ითამაშებს. „ელ სუბმარინოს“ ბოიანის გამოსყიდვის უფლებაც ექნება. მომავალში, შეიძლება, „ბარსელონამ“ „უდინეზეს“ **ალექსის სანჩესის** ტრანსფერზეც იფიქროს, თუმცა ამჟამად აქტუალური მხოლოდ როსის საკითხია. 24 წლის იტალიელი, რომელიც აშშ-ს მოქალაქეცაა, ოთხი სეზონია „ვილიარეალში“. ბოლო სეზონში როსიმ ჩემპიონატში 18 გოლი გაიტანა, ევროპის ლიგაზე - 10, ესპანეთის თასზე კი - 3.

მარად ფავორიტი

მართალია, ჩემპიონთა ლიგა ახალი დასრულებულია და ჯერ მომავალი სეზონის ყველა მონაწილეც კი არ არის ცნობილი, „ბარსა“ ტოტალიზატორების ფავორიტია, რომ ტიტულს შეინარჩუნებს. „უნიბეტი“ 3,4 ფსონს იღებს კატალონიური გრანდის მომავალ ჩემპიონობაზე. მეორე ადგილზე მადრიდის „რეალია“ - 5, მესამეზე ფინალისტი „მანჩესტერ იუნაიტედი“ - 7. თითქმის ასეთივე შანსი აქვს „ჩელსის“ - 7,5. შემდეგ მოდიან: „მილანი“ და „მანჩესტერ სიტი“ - 12,5; „ინტერი“ - 18; „არსენალი“ და „ბაიერნი“ - 20; „პორტუ“ - 30; „ბორუსია“ - 40.

მესი დი სტეფანოს პრიზით

● ალიარება

ლიონელ მესი ლა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელია

ესპანეთის ყველაზე მაღალტირაჟიანმა გაზეთმა „მარკამ“ ქვეყნის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად „ბარსელონას“ არგენტინელი ფორვარდი **ლიონელ მესი** დაასახელა. 23 წლის ფეხბურთელმა ალფრედო დი სტეფანოს სახელობის პრიზი მიიღო. მესიმ ზედიზედ მესამედ მოიგო ეს პრიზი, რომელიც 2008 წელს დაარსდა და პირველი მფლობელი „რეალის“ ლეგენდა **რაულია**. რაულის შემდეგ პრიმერას საუკეთესო ფეხბურთელი მხოლოდ მესი ხდება. არგენტინელმა აჯობა მეორე ადგილზე გასულ **კრიშტიანო რონალდოს** (რეალი) და თანაგუნდელ **ჩავი ერნანდესს**.

„მარკა“ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელს ასე ირჩევს - გაზეთის ოფიციალური ვებსაიტი ყოველი ტურის შემდეგ გულშემატკივრებს საუკეთესო ფეხბურთელს ასახელებინებს. სეზონის ბოლოს სპეციალური ჟიური, რომელშიც თავად **ალფრედო დი სტეფანოც** შედის, ირჩევს ამათგან პრიმერას საუკეთესო ფეხბურთელს. დი სტეფანო ჟიურის ხელმძღვანელია, რომლის წევრები არიან: **ანდონი სუბისარეტა, ემილიო ბუტრაგენიო, ფერნანდო იერო, ფაბიო კაპელო, ლუის სუარესი** და სხვები.

● რეალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოენტრაო რეალს უახლოვდება

ფაბიო კოენტრაო

„მარკა“ ამტკიცებს, რომ **ფაბიო კოენტრაო** სულ მალე „რეალის“ ფეხბურთელი გახდება. პორტუგალიის ნაკრებიც განაპირა მცველს დიდი ხანია უკვე „სამეფო“ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, „მარკა“ წერს, რომ ეს უკვე მომავალ კვირაში მოხდება და კოენტრაოს სანაცვლოდ „რეალი“ 22 მილიონ ევროს გადაიხდის. ერთი კვირაა, რაც „ბენფიკა“ და „რეალი“ მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ და უკვე მიაღწიეს შეთანხმებას სატრანსფერო ფასზე.

„ბენფიკა“ 23 წლის ნიჭიერი მცველის სანაცვლოდ 30 მილიონ ევროს ითხოვდა, ეს ის თანხაა, რომელმაც მიუნხენის „ბაიერნი“ შეაშინა. თუმცა პორტუგალიელები „რეალის“ ასეთმა წინადადებამ დააინტერესა - სამეფო კლუბი იხდის 22 მილიონს, რომელიც შეიძლება 27-მდე გაიზარდოს იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოადგება ის „სამეფო კლუბს“. ახლა შესათანხმებელია ფეხბურთელის პირადი კონტრაქტის დეტალები.

12 რეალელი ნაკრებებში

მადრიდის „რეალი“ შვებულებაში გავიდა, თუმცა გუნდის 12 წევრისთვის სეზონი ჯერ არ დასრულებულა. ისინი თავიანთ ეროვნულ ნაკრებებში გამოიძახეს. ესპანეთის ნაკრებში დაუძახეს **კასილიასს, არბელოას, ალბიოლს, რამოსს** და **ჩაბი ალონსოს**. ესპანელები ბოსტონში ამხანაგურ მატჩში ამერიკელებს ეთამაშებიან. **რონალდო, პეპე** და **რიკარდო კარვალიო** პორტუგალიის ნაკრებში გამოიძახეს. 4 ივნისს პორტუგალია ევრო-2012-ის შესარჩევ მატჩში მასპინძლობს ნორვეგიას. **იოზილისა** და **ხედირას** გერმანია ვენაში „ერნსტ ჰაპელზე“ ავსტრიას ესტუმრება. ბენზემა (საფრანგეთი) კიევში უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს. **გარაის** არგენტინა კი ვარშავაში პოლონელებს ამხანაგურად გაეჯიბრება.

● ფურცა როხა

როხა და ბოსტონი

ესპანეთის ნაკრები **ვისენტე დელ ბოსკეს** ხელმძღვანელობით უკვე ბოსტონშია. შაბათს მსოფლიოს ჩემპიონი იქ, „ჯილეტ სტედიუმზე“ ამხანაგურ მატჩს გამართავს ამერიკის ნაკრების წინააღმდეგ. დელ ბოსკემ ამერიკაში 23 ფეხბურთელი იახლა, მათ შორის ერთი დებიუტანტია - „ხეტაფეს“ ყოფილი კაპიტანი და „სევილიას“ ახალწვეული **მანუ დელ მორალი**. შაბათის მატჩის შემდეგ ესპანელები ვენესუელაში, პუერტო დე ლა კრუსში გაემგზავრებიან, სადაც ოთხშაბათს ამხანაგურ მატჩს ვენესუელის ნაკრებთან გამართავენ.

დელ ბოსკე ამერიკაში გამგზავრების წინ

ბოლო დროს ბარსელონიდან ბარსელონაში

26 მაისი	მარკ ბერტრანი	ტენერიფე	ხეტაფე	თავ. აგენტი
27 მაისი	ჟოაო მირანდა (რრ)	სან პაულუ	ატლეტიკო	თავ. აგენტი
28 მაისი	ხუან როდრიგესი	დეპორტივო	ხეტაფე	თავ. აგენტი
28 მაისი	ალბერტო ლოპო	დეპორტივო	ხეტაფე	0,5 მლნ. ევრო
29 მაისი	ადრიან ლოპესი	დეპორტივო	ატლეტიკო	თავ. აგენტი
30 მაისი	ფილიპე კაისედო (ეკე)	მან. სიტი	ლევანტე	1 მლნ.
31 მაისი	მარტინ კასერესი (ურუ)	ბარსელონა	სევილია	3 მლნ.
31 მაისი	დიდიე ზოკორა (კოტ)	სევილია	ტრაბზონი	5 მლნ.
1 ივნისი	მანოლო რეინა	ლევანტე	კარტახენა	თავ. აგენტი
1 ივნისი	რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლ)	ჰამბურგი	მალაგა	თავ. აგენტი

● მალაგა

ვან ნისტელროის შემდეგ ლუჩო?

მალაგა ბარსას ჩაანაცვლებს

მომავალი სეზონისთვის „მალაგა“ გაცილებით მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს, ვიდრე წლეულს. **მანუელ პელეგრინიმ** უკვე დაიწყო აქტიური სატრანსფერო საქმიანობა, არადა, სატრანსფერო ფანჯარა მხოლოდ 1 ივლისს გაიხსნება. „მალაგამ“ დაიბეგა ჰოლანდიელი ვეტერანი ფორვარდი **რუუდ ვან ნისტელროი** და ახლა, ესპანურ მედიას თუ ვენდობით, არგენტინელ გამთამაშებელ **ლუჩო გონსალესს** მიადგა. ლუჩომ ერთი კვირის წინ განაცხადა, რომ მარსელის „ოლიმპიკიდან“ წასვლა სურს.

„მალაგა“ დიდი ხანია ეძებს ისეთ ფეხბურთელს, რომელიც გუნდის შეტევების ლიდერი გახდება. საამისოდ არაგონულმა კლუბმა **ხავიერ პასტორეც** მოინდომა, თუმცა პალერმოელზე გრანდები ნადირობენ და 30 წლის ლუჩო გონსალესის ვარიანტი უფრო რეალი ჩანს.

„მარსელის“ ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ ლუჩომ ისინი წასვლის შესახებ გააფრთხილა. კლუბი თანახმაა, რომ გაყიდოს არგენტინელი 12 მილიონ ევროდ. სხვათა შორის, ფრანგულმა კლუბმა 2009 წელს შეიძინა ლუჩო 18 მილიონ ევროდ. არგენტინელი „მარსელის“ ნამდვილი ლიდერი გახდა და 2010 წლის ტიტულის მოპოვებაში უდიდესი როლი ითამაშა. „მალაგა“ არაბი შეიხ **აბდულა ალ-ტანის** საკუთრებაა და ფინანსური პრობლემები არ აწუხებს.

ამასობაში, „მალაგამ“ „ბარსელონას“ ჩანაცვლებაც მოინდომა - საქმე იმაშია, რომ აქამდე „ბარსა“ ერთადერთი გუნდი იყო ევროპის მონინავე საფეხბურთო ქვეყნებში, რომელსაც მაისურზე არაკომერციული რეკლამა ეწერა, თუმცა მომავალ სეზონში ასე აღარ იქნება. სამაგიეროდ, ალ-ტანიმ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან გუნდს მხოლოდ ერთი წარწერა ექნება მაისურზე და ისიც არაკომერციული ხასიათის - იუნესკო-ს დირექტორ **ირინა ბოკოვასთან** მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა - არაგონული გუნდი ამ საერთაშორისო ორგანიზაციის გამპიარებელი იქნება ფეხბურთში.

„მალაგა“ ზრუნავს გუნდის მხარდამჭერებზეც - უკვე გამოაცხადეს, რომ ტენდენციის მიუხედავად, გუნდი სეზონის აბონიმენტებზე ფასს არ გაზრდის. საფუძველი ჩაეყარა კლუბის აკადემიის მშენებლობას. მოკლედ, „მალაგაში“ დიდი ცვლილებებია.

● ვალენსია

ალბელდამაც გააგრძელა

„ვალენსიას“ ვეტერანმა ნახევარმცველმა **დავიდ ალბელდამ** „ღამურებთან“ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი. 33 წლის ალბელდა „მესტალიაზე“ 2012 წლის ზაფხულამდე დარჩება. ალბელდა 1996 წლიდან „ვალენსიაშია“, თუ არ ჩავთვლით ორჯერ იჯარის წესით თამაშს „ვილიარეალში“. მან გუნდში 300-ზე მეტი ოფიციალური მატჩი ითამაშა. ამ სეზონში ალბელდამ ჩემპიონატში მხოლოდ 16 მატჩში მიიღო მონაწილეობა. შეგახსენებთ, რომ წინა დღით „ღამურებთან“ კონტრაქტი გოლკიპერმა **ვისენტე გუაიტამ** გააგრძელა (2015 წლამდე).

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფრანგული ამბები

პედრეჯი ლილში წავიდა

საფრანგეთის ჩემპიონმა "ლილმა" რამდენიმე დღის წინ დაადასტურა, რომ "ოსერიდან" **ბენუა პედრეტის** გადაბირება სურდა. გუშინ "პარიზიენის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბენუა "ძაღლების" წევრი გახდა და მისი ნარდგენა გულშემატკივრების წინაშე 9 ივნისს მოხდება. ფეხბურთელმა "ლილთან" 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. აღნიშნულ ინფორმაციას ჯერჯერობით მხარეები არ ადასტურებენ, მაგრამ ეს არც არის გასაკვირი. საფრანგეთს ნაკრების 30 წლის კანდიდატმა სეზონის დიდი ნაწილი ბარძაყის მძიმე ტრავმის გამო გამოტოვა. აწ დასრულებულ სეზონში ლიგა 1-ში მის ანგარიშზე 20 მატჩში (20-ვე ძირითადში) 5 გოლი და 4 საგოლე გადაცემა იყო. ჟურნალისტების მტკიცებით, ბენუა "ნიუკასლში" გადაბარგებულ **იოან კაბაიეს** ღირსეულად შეცვლის. ისინი სწორედ იდენტურ პოზიციებზე თამაშობენ და რაც მთავარია, ორივეს თანაბარ დონეზე შეუძლია როგორც სუფთა საყრდენად, ისე კლასიკურ ცენტრალურ ნახევარმცველად ასპარეზობა.

იმავე ფრანგი ჟურნალისტების მტკიცებით, იმ შემთხვევაში, თუკი "ლილმა" "ბაიერნის" "აგრესიული შეტევები" ვერ მოიგერია და **ედენ აზარი** მიუნხენში გაუშვა, მათ ახალგაზრდა ბელგიელის

შემცვლელიც დასჭირდებათ. ამ შემთხვევისთვის ისინი "ალმერიიდან" 21 წლის არგენტინელ **პაბლო პიატის** შეიძენენ. თუმცა საფეხბურთო ექსპერტები ურჩევენ "ლილს", რომ არ დაუცადოს აზარისა და **ჟერვინიოს** ბედის გარკვევას და პიატი მაინც შეიძინოს, რადგან სამხრეთამერიკელი უნიჭიერესი ფეხბურთელია და ჩემპიონთა ლიგაში გუნდს ყველა შემთხვევაში დიდად დაეხმარება. მით უფრო, რომ პაბლოს კატეგორიულად არ უნდა "ალმერიას" სეგუნდა დივიზიონში გაჰყვეს.

მეორე არგენტინელი ფეხბურთელით მეორე ფრანგული გრანდია დაინტერესებული. ჩვენი ფრანგი კოლეგები ბოლო დღეებია აქტიურად განიხილავენ **კრისტიან ანსალდისა** და "მარსელს" შორის შესაძლო თანამშრომლობას. მოგეხსენებათ, **დიდიე დეშამის** გუნდმა ძირითადი მარცხენა მცველი **ტაიე ტაივო** "ძილანში" გაუშვა და ახლა მის შემცვლელს აქტიურად ეძებს. "ტოპ მერკატოს" ცნობით, ფრანგები ყაზანის "რუბინს" 24 წლის არგენტინელში 6,5 მილიონ ევროს სთავაზობენ. სავარაუდოა, რომ მხარეებს ფეხბურთელის ტრანსფერზე შეთანხმება გაუჭირდებათ, რადგან ყაზანელები 11 მილიონს ითხოვენ. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ანსალდის შეძენას ლისაბონის "ბენფიკა" ეშურებოდა, მაგრამ ისინი სწორედ საკომპენსაციო თანხას ვერ შესწვდნენ.

საფრანგეთში ყველაზე მეტად ის აინტერესებთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს კარიერის გაგრძელებასთან დაკავშირებით ნაკრების თავდამსხმელი და მისი ერთ-ერთი უმთავრესი იმედი **კევინ გამეირო**. დე-იურე "ლორიანის" ფეხბურთელი გუნდიდან რომ მიდის, ეს ყველასთვის ცხადია. მეტიც, ეს ცხადი იყო ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე, რადგან კევინმა სწორედ ასეთი შეთანხმება დადო კლუბის პრეზიდენტთან. ფეხბურთელის აგენტი აცხადებს, რომ გამეირო დიდი ალბათობით უცხოურ შეთავაზებაზე იტყვის თანხმობას, რადგან ძალების გამოცდა მას ლიგა 1-ის ფარგლებს გარეთ სურს. ამასობაში გაცხადდა, რომ კევინმა "ნიუკასლს" კონტრაქტზე უარი უთხრა. "კაჭკაჭები" საფრანგეთის ჩემპიონატის ვიცე-ბომბარდირში "ლორიანს" 12 მილიონ ევროს სთავაზობდენენ, თუმცა ახლა უკვე ცხადია, რომ ეს ტრანსფერი არ შედგება. *"ძალიან მინდა, რომ ბევრად უფრო ამბიციურ ადგილას ვითამაშო, ვიდრე ჩემი ამჟამინდელი კლუბია. გადაწყვეტით არაფრის თქმა არ შემიძლია, მაგრამ ერთს კი დაზუსტებით ვიტყვი, რომ ჩემთვის პრიორიტეტი ესპანური შემოთავაზება იქნება, რადგან ზოგადად ამ ქვეყნის ჩემპიონატის დიდი გულშემატკივარი ვარ. ლა ლიგაში ყველასგან განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობენ, რაც მე ძალიან მომწონს. ძალიან მინდა ისეთ გუნდში გადავიდე, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. თუკი მაინც საფრანგეთში დავრჩები სათამაშოდ, მაშინ ევროპის ლიგის საგზურის მფლობელ გუნდზეც თანახმა ვიქნები,"* – განუცხადა გამეირომ "პარიზიენს". ეს უკანასკნელი წინადადება შესაძლოა ფეხბურთელმა პსჟ-ს გასაგონად დაამატა, რადგან ჩემპიონატის დასრულებამდე ისინი ძალზე აქტიურობდნენ, ახლა კი მათგან ჩამჩუმიც არ ისმის. პარიზელები თავის დროზე "ლორიანს" თავდამსხმელში 17 მილიონ ევროს სთავაზობდნენ.

რახან მასალაში ზოგადად ფრანგულ თემატიკაზე ვწერთ, აქვე გეტყვით, რომ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ნაკრების დამრიგებლის **ლორან ბლანის** თანამშემწე **ალენ ბოგოსიანს** ოფიციალურად მისცეს გაფრთხილება, რადგან მან ორიოდე კვირის წინ გროზნოში ახალი სტადიონის გახსნაში მონაწილეობა ისე მიიღო, რომ ამის შესახებ ფედერაციაში არაფერი იცოდნენ. ამასთან, ეროვნული თუ ასაკობრივი ნაკრებების სამწვრთნელო შტაბის წევრებს დაევალათ, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში არაოფიციალური ვიზიტების შესახებ ფედერაცია საქმის კურსში ჩააყენონ. ყოველივე ეს ფრანგი უფლებადამცველი ორგანიზაციების ზენოლის შედეგია, რომლებიც აღშფოთდნენ ფრანგი ვარსკვლავების ვიზიტით ისეთ რეგიონში, რომელსაც ადამიანის უფლებათა ცნობილი დამრღვევი ხელმძღვანელობს.

ლევან ბიბილაშვილი

● ტრანსფერი

რეალის ყოფილი მეკარე ვილიარეალში

„ვალენსიას" 39 წლის გოლკიპერმა **სესარ სანჩესმა** კლუბი შეიცვალა. ის შორს არ წასულა, ვალენსიის მხარის მეორე კლუბ „ვილიარეალში" გადავიდა. ვეტერანს კონტრაქტის ვადა დაუსრულდა „ღამურებთან", ახალიც არავინ შესთავაზა, რასაც დაერთო **ვისენტე გუაიტასთვის** ხელშეკურელების 2015 წლამდე გაგრძელება და „ალმერიადან" ბრაზილიელი **დიეგო ალვეშის** დაბრუნება. ამიტომაც, სესარმა 12 თვით „ვილიარეალში" გადასვლა გადაწყვიტა. სესარი „ვალენსიაში" მატჩის განაცხადშიც ვეღარ მოხვდებოდა, „ვილიარეალში" კი **დიეგო ლოპესის** შემცვლელი იქნება. შეგახსენებთ, რომ „ვილიარეალმა" ჩემპიონატი მე-4 ადგილზე დაასრულა და ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებს.

სესარი „ვალიადოლიდის" აღზრდილია, სადაც მან 2000 წლამდე 200-ზე მეტი მატჩი ჩაატარა. შემდეგ ის „რეალში" გადავიდა, თუმცა 5 სეზონის განმავლობაში სულ 20-მდე მატჩში მიიღო მონაწილეობა, რადგან თინეიჯერ **იკერ კასილიასთან** კონკურენცია წაგო. „ტოტენჰემში" უიღბლო ტრანსფერის შემდეგ, სესარმა ბინა „მესტალიაზე" დაიდო. ესპანეთის ნაკრებში ვეტერანს ერთადერთი მატჩი აქვს ნათამაშები, 2000 წლის აგვისტოში ჰანოვერში გერმანიასთან 1:4 ამხანაგურ მარცხში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ფეხბურთელების ცოლები

ილარი ბლაზი

დაბადების თარიღი: 1981 წლის 28 აპრილი
დაბადების ადგილი: **რომი, იტალია**
სიმაღლე: 172 სმ.
პარამეტრები: 90-60-90
წონა: 55 კგ.
თვალები: **ცისფერი**
თმის ფერი: **მუქი ქერა**
არის: **საფეხბურთო კლუბ "რომას" ფეხბურთელის ფრანჩესკო ტოტის მეუღლე.**

1987 წლიდან დღემდე მონაწილეობა ხუთ ფილმში აქვს მიღებული. 2001 წლიდან აქტიურად მუშაობს გასართობსატელევიზიო გადაცემებში. 2007 წლიდან დღემდე მიჰყავს სატირულ-საგამოძიებო გადაცემა "ლე ლენე".

ულამაზესი ილარი

ბლაზების ოჯახში სამი ქალიშვილი - სილვია, ილარი და მელორი აღიზარდნენ. ილარი ტელეეკრანზე პირველად სამი წლისა გამოჩნდა, ხოლო ხუთი წლისამ ფილმში ეპიზოდური როლი შეასრულა. საკომუნიკაციო მეცნიერებათა ფაკულტეტდამთავრებული ილარი მსახიობისა და ჟურნალისტის პროფესიას შესანიშნავად უთავსებს ფოტო-მოდელობასაც. ილარი ბლაზი მაღალანაზღაურებად მოდელად ითვლება. ახლახან კი მამაკაცის მწარმოებელი ფირმისთვის შიშველი ფოტოების გადაღებაში 700 ათასი ევრო მიიღო.

უკანასკნელი გლადიატორი

"რომას" თავდამსხმელ **ფრანჩესკო ტოტისა** და ილარის შორის შეყვარებულობის პერიოდი კარგა ხანს გაგრძელდა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ფრანჩესკომ ილარის ცოლობა არ სთხოვა. ფრანჩესკო იხსენებს: *"ჩემთან სახლში ვიყავით, როდესაც ვკითხე, გინდა გათხოვება? არც კი დაფიქრებულა ისე მიპასუხა - დიახ"*. მათი ქორწინება 2005 წლის 19 ივლისს იტალიური ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გადაიცა. 2005 წლის 6 ნოემბერს კრისტიანი, ხოლო 2007 წლის 13 მაისს ჩანელი შეეძინათ.

ცოლ-ქმარი საკმაოდ აქტიურად მონაწილეობენ სარეკლამო შემოთავაზებებში. 2007 წლის ფრანჩესკო და ილარი მობილური ტელეფონების მწარმოებელი ფირმის "ვოდაფონის" სახე გახდნენ და სარეკლამო რგოლებში ერთობლივად მონაწილეობენ.

იუბილარი ილარი

2011 წლის 28 აპრილს ილარი 30 წლის გახდა. სადღესასწაულო ზეიმს თითქმს 150 მიწვეული სტუმარი ესწრებოდა. მათ შორის რომას ფეხბურთელები - დე როსი, დონი მეუღლითურთ, სიმონე პეროტა, როდრიგო ტადეი. მდიდრულ წვეულებას ცოცხალი მუსიკა და Burlesque-ს მოცეკვავეები ალამაზებდნენ. საღამოს მასპინძლები 34 წლის ფრანჩესკო და 30 წლის ილარი გლამორულ სამოსში გამონყობილნი ბედნიერად გრძნობდნენ თავს.

ერთადერთი ხარ

"Sei L'unica" - ეს სიტყვები ფრანჩესკო ტოტიმ თავის მეუღლეს ათასობით გულშემატკივრის თვალწინ უთხრა. 13 მარტს დედაქალაქური დერბისას "ლაციოს" კარში ორი ბურთის გატანით გამოწვეული სიხარულის გამოხატვისას გლადიატორმა მაისურა თავზე ჩამოიცვა, რომლის შიდა მაისურზე ეწერა "ერთადერთი ხარ", იმ მომენტში ყველამ ჩათვალა, რომ სიტყვები არა ილარის, არამედ "რომას" ეძღვნებოდა. ფრანჩესკოს მხრიდან მეუღლის საპატივცემულოდ გაკეთებული ეს პირველი ჟესტი არაა. როდესაც ილარი ფეხმძიმედ იყო, ერთ-ერთ შეხვედრაში გოლის გატანით გახარებულმა ტოტიმ ბურთი მუცლის ქვეშ მოითავსა და საჩვენებელი თითი პირში ჩაიდო.

ყვითელი პრესა

ფრანჩესკოსა და ილარის შეხმატკბილებული ოჯახური გარემო ჟურნალისტთა გარკვეულმა ნაწილმა **ვიქტორია** და **დევიდ ბექჰემების** ოჯახსაც კი შეადარეს, რაზეც ფრანჩესკომ განაცხადა, რომ „ჩვენ სხვებს არ ვგავართ". ჟურნალისტები ერთხმად აღიარებენ, რომ შესაშური გარეგნობის მქონდე ფოტო-მოდელმა ლამაზი ქალის სტერეოტიპი დაანგრია და ფეხბურთელთან მოსიყვარულე ოჯახი შექმნა. ილარის გარეგნობით ულამაზეს იტალიელ მსახიობ **ორნელა მუტის** ადარებენ. აღნიშნავენ იმასაც, რომ ილარის ცხვირი ბერძენ მსახიობებს მოგაგონებთ, ხოლო გამომწვევი პროფილით, ჩამოქნილი სხეულით, უთეთრესი კბილებითა და ისეთი ცისფერი თვალებით, როგორიც ხმელთაშუაზღვაა - გულგრილს ვერავის დატოვებს. ყვითელი პრესის ფურცლებზე იმასაც ამოიკითხავთ, რომ ილარი მესამე ბავშვს ელოდება.

ილარი ბლაზი: *"როგორც ამინდის პროგნოზი, ისე იცვლება ჭორები ჩვენი ოჯახის ირგვლივ. ერთ დღეს თუ ფეხმძიმედ ვარ, მეორე დღეს აღმოჩნდება, რომ სხვა კაცი შემიყვარდა, ან სულაც ოჯახში კრიზისული მდგომარეობა გვაქვს"*.

რას ფიქრობ ჩემზე?

ფრანჩესკო: *„ილარი ფეხბურთში საერთოდ ვერ ერკვევა, ტანსაცმელს ცუდად რეცხავს და აუთოუს. ბავშვების აღზრდის პასუხისმგებლობას ერთად ვინაწილებთ. ჩანელს ხშირად მე ვაცმევ ხოლმე. მიმაჩნია, რომ ილარის მიმართ ზომიერად ეჭვიანი ვარ"*.

ილარი: *„ჩვენი დილა რვა საათზე იწყება. ხშირად ფრანჩესკო ძილში ხვრინავს, თუმცა ეს პრობლემა არაა. რატომ შემიყვარდა ფრანჩესკო? მიჭირს კონკრეტული პასუხის გაცემა. მას კარგი ხასიათი აქვს და რბილი ადამიანია. ბავშვობაში ჩემი ოჯახის წევრების მსგავსად მეც "ლაციოს" ვგულშემატკივრობდი. ფეხბურთი არ მესმის, თუმცა ქმარს ყოველთვის გვერდით ვუდგავარ"*.

მოამზადა
სალომე ხარატიშვილმა

ძიუდო. ახმეტის ტურნირი

მასპინძლთა დომინირებით

ახმეტაში გუშინ დამთავრდა მოზარდ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონის - **ზურაბ ზვიადაურისა** და მის პირველ მწვრთნელ **გუგული აბრამიშვილის** დაბადების დღეებს ემთხვევა. შესაბამისად, მათსავე სახელებს ატარებს. ერთხელაც შეგახსენებთ, რომ გუშინ ზვიადაურის დაბადების დღე იყო, აბრამიშვილმა კი იუბილე გუშინწინ ნიზეიმა. ოლიმპიური ჩემპიონის სახელობის შეჯიბრება 16-წლიანთა შორის ტარდება, მწვრთნელისა - 23-წლიანებში.

ტურნირი ასე ორ ასაკობრივ ჯგუფად გაყოფილი პირველად მოეწყო, თუმცა სათავე შარშან დაედო, როცა მწვრთნელ-შეგირდმა საკუთარი ღვანლის უკვდავყოფა თავად გადაწყვიტეს. ვგონებთ, ამისთვის მათ ამბიციურობას არავინ დასწამებს, რადგან განზრახვის ასასრულებლად სავსებით რეალური საბაბი ჰქონდათ. ცხადია, დამხმარეები მაშინაც ჰყავდათ, ადგილობრივ ხელისუფლებაში თუ თბილისშიც, მაგრამ წლევანდელი გვერდში დგომა ვერც შეედრება მაშინდელს - ამჯერად შეჯიბრების ორგანიზებაში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ძიუდოს ფედერაცია, ახმეტის გამგეობა და ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლა მონანილეობდნენ. მათი საერთო მონდომებით დამზადდა მედლები და დიპლომები.

წლეულს ახმეტაში უცხოეთიდან მხოლოდ აზერბაიჯანისა და ლიტვის გუნდები ჩამოვიდნენ. არადა, ბევრად მეტს ელოდნენ. მიზეზთა გამო, ამჯერად სტუმრობა ვერც უკრაინელებმა მოახერხეს, თუმცა იქიდანაც ძირითადად ქართველებს ელოდნენ. უკვე წლებია, უკრაინაში წარმოშობით ახმეტელი მწვრთნელი, აბრამიშვილის მოსწავლე **გიორგი მესაბლიშვილი** მუშაობს, ხოლო იქაურ კლუბებში ჩვენებურები უკვე შესამჩნევად მომრავლდნენ. მოელოდნენ, რომ ისინი საკუთარი ხარჯებით მაინც ესტუმრებოდნენ სამშობლოს, მაგრამ ასე არ მოხდა და ტურნირსაც ძირითადად მასპინძლები შემორჩნენ, ქვეყნის 15-ზე მეტი რაიონიდან. პირველი დღისგან განსხვავებით, როცა სტუმრებმა (ძირითადად - აზერბაიჯანელებმა) ბლომად მედლები მოიხვეჭეს, გუშინ ძირითადად მასპინძლები დომინირებდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ ორდღიანმა შეჯიბრებამ საკმაოდ მაღალ დონეზე, უზადო ორგანიზებით ჩაიარა. კარგი იქნება, ახმეტელებს სხვა რაიონებშიც თუ მიჰბაძავენ და საკუთარ ლეგენდებს დაიფასებენ - სახელოვანი ფალავანი აღმოსავლეთ საქართველოში ხომ ლამის ყველას მოეპოვება. ასეთი ტურნირები ძალიან კარგი შენაძენია ადგილობრივი მოზარდებისთვის, რომლებიც ფინანსური პრობლემების გამო ისე თავისუფლად ვერ დადიან საზღვარგარეთ, როგორც - მათი უცხოელი თანატოლები, ასეთი შეჯიბრებები კი ევროპელ მეტოქეებთან გაჯიბრების საშუალებას მისცემს. ეს განსაკუთრებით რეგიონებში მოვარჯიშე მოზარდებს ეხებათ, თორემ თბილისელებს შედარებით უკეთ აქვთ საქმე. თან საერთაშორისო რანგის შეჯიბრება ქვეყნის პრესტიჟია, საქართველო კი ამ მხრივ, სამწუხაროდ, მოიკოჭლებს.

კვარცხლბეკი

23-წლიანები

73 კგ. 1. არსენ მაჭარაშვილი, 2. ბაჩანა ტიტვინიძე (ორივე - თბილისი), 3. ელვინ ახმედლი (აზერბაიჯანი), გურამ ხოხობაშვილი (ახმეტა).

81 კგ. 1. ვახტანგ სარაჯიშვილი (ახმეტა), 2. ვალერი ოგბაიძე (დუშეთი), 3. თემურ ხაჩიძე (თბილისი), ლაშა ყიზილაშვილი (ახმეტა).

90 კგ. 1. ბეთქილ ნავერიანი, 2. ზაზა დავაძე (ორივე - მარნეული), 3. იასონ ნემსაძე (ქუთაისი), ზვიად ჯაშიაშვილი (ახმეტა).

+90 კგ. 1. ონისე ბუღაძე (თბილისი), 2. კონსტანტინე მუკვანი (მარნეული), 3. ზვიად მაილაშვილი (ახმეტა), ჯაბა ნადაშვილი (გურჯაანი).

16-წლამდელები

38 კგ. 1. ვაჟა ბუბუნაური (დედოფლისწყარო), 2. ილია შიოშვილი, 3. გუგა ტუგულაშვილი (ორივე - ახმეტა), ლაშა ბექაური (დედოფლისწყარო).

42 კგ. 1. ნიკო ჭიკაიძე (ახმეტა), 2. შოთა ბესიაშვილი (თბილისი), 3. გიორგი სუხოშვილი (ახმეტა), მიხეილ ბახბახაშვილი (თელავი).

46 კგ. 1. ნიკო ლაბაძე (ლაგოდეხი), 2. ფირუზ ქეთიაშვილი (ახმეტა), 3. ვანო პაკონაშვილი (თელავი), გიორგი სულაბერიძე (ლაგოდეხი).

50 კგ. 1. ზურაბ ონიანი (თბილისი), 2. ალუდა ჩიკორიშვილი (გურჯაანი), 3. თორნიკე ჯინჭარაძე (ქობულეთი), მიხეილ დოფიძე (ბოლნისი).

ირაკლი თავაძე

FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის“ (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ“ დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო“.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ახმილოვსკაია; 7. რაშ; 8. აიმცაკაჩარა; 10. კოკაი; 11. ურაევსკი; 13. გამბიტი; 14. ნავერიანი; 15. ნოდია; 16. ტაიმი; 19. თასი; 20. კანოე; 21. "ვითა"; 22. კერსელიანი; 24. რენჰიუ; 25. რიტბერგერი.

შვეულად: 1. ანაპურნა; 2. მამიაშვილი; 3. ლიალვერი; 4. კია; 5. იოაკიმიდი; 6. ბალასტი; 9. ჩუი; 12. კვასხვაძე; 13. გინესი; 16. ტრავერსი; 17. მაჩაიძე; 18. პოინტერი; 20. კალგარი; 22. კაური; 23. რახტი.

ქართული ჭიდაობა. სპორტი რელიგიურ დღესასწაულებზე

თელეთობა, ფალავნობა და ანაბაჯის თასი

თელეთში (გარდაბანი) უკვე მრავალი წელია **გივი გურულიშვილის** თაოსნობით იმართება ქართული ჭიდაობა, რომელიც ამაღლების ბრწყინვალე დღესასწაულთან ანუ „თელეთობასთანაა“ დაკავშირებული.

თბილისის გარეუბანში თელეთი ოდითგანვე, ჯერ კიდევ ერეკლე მეორეს დროიდან ითვლებოდა ქართული ჭიდაობის მექად. აქ თვით ლეგენდარულ ანაბაჯსაც კი უჭიდავია...

წლევანდელ „თელეთობაზე“ ოთხ წონით კატეგორიაში გაიმართა პაექრობები.

სხვათა შორის, ზემო თელეთის ზეიმს სტუმარიც ბევრი ჰყავდა. მათ შორის იყვნენ ქვემო ქართლის გუბერნატორი **დავით კირკიტაძე**, ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლები, გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელები და ცნობილი სპორტსმენები.

ქართული ჭიდაობის გარდა თელეთობის ზეიმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ფეხბურთელთა ტურნირიც, სადაც გარდაბნელებმა იმარჯვეს.

ქართულ ჭიდაობაში კი წონითი კატეგორიების გარდა გაიმართა აბსოლუტური პირველობა, სადაც ცოცხალი პრიზი - ჭედილა გამოცდილმა **ვალერი იმერლიშვილმა** მოიგო. ხოლო ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის ანუ „ანაბაჯის პრიზი“ **ნიკა ბაშარულმა** დაიმსახურა.

ვალერი იმერლიშვილი

კვარცხლბეკი

70 კგ. 1. ნიკა ბაშარული (თელეთი), 2. ვასილ ბერუაშვილი (რუსთავი), 3 თამაზ ზურაბიშვილი (ვაშლოვანი).

80 კგ. 1. გიორგი ბაჯიაშვილი (მუხათი), 2. ზაურ გაგნიძე (რუსთავი), 3. გიორგი ბიჩელაშვილი (თიანეთი).

90 კგ. 1. ლაშა ბერიძე (რუსთავი), 2. თორნიკე ოთინაშვილი (სამჩაბლო), 3. გიორგი კობაიძე (ახალსოფელი (თეთრწყაროს).

აბსოლუტური. 1. ვალერი იმერლიშვილი (რუსთავი), 2. თედო აბელაშვილი (უჯარმა), 3. გიორგი ბიჩელაშვილი (თიანეთი).

გაბრიელ ბარჯაძე
ავტორის ფოტოები

ჭადრაკი

ფინიშამდე ჭურით აღრე

ფოთში დასასრულს უახლოვდება 14 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც თანატოლთა შორის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირიცაა.

უკვე მიილია 8 ტური, ვაუებში შეჯიბრების დამთავრებამდე ტურით ადრე, ფაქტობრივად, ჩემპიონობა გაინაღდა ფოთელმა ნიკა ღვამბერიამ, რომელმაც გუშინ შავი ფიგურებით ზუგდიდელ თემურ ოთხოზორიას სძლია და 7,5 ქულა მოაგროვა. მართალია, ქუთაისელ ნოე თუთისანს მე-8 ტურში თბილისელი ნიკოლოზ ქუმსიაშვილის გამოუცხადებლობის გამო უბრძოლველად ქულა ჩაეწერა გათამაშების ცხრილში და 6,5 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა, მაგრამ ბოლო ტურის შემდეგ ერთპიროვნულ ლიდერს რომც გაუთანაბრდეს, უარესი კოეფიციენტით ალბათ მეორე ადგილს ვერ გასცდება.

გუშინ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა სამი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ ირაკლი კელეპტრიშვილი (თბილისი)-გიორგი სიბაშვილი (თბილისი), ლუკა ლიჩელი (გორი)-საბა ჟორდანია (თბილისი), გიორგი ბოტკოველი (თელავი)-ნიკოლოზ ბერძენაძე (ქუთაისი), ნოდარ მანგაძემ (ხონი) კი გიორგი ბეჭვაია (ზუგდიდი) დაამარცხა. 8 ტურის შემდეგ 6 ქულით მე-3 ადგილზეა სიბაშვილი. მას ნახევარი ქულით კელეპტრიშვილი ჩამორჩება. 5-5 ქულით მეხუთე-მეშვიდე ადგილებს ლიჩელი, ოთხოზორია და მანგაძე იყოფენ.

გოგონებში 8 ტურის შემდეგ 7 ქულით თბილესელი ნინო ხომერიკი მეწინავეობს. გუშინ მან ფოთელი თათია კოხრეიძე დაამარცხა. ლიდერს ქულით ჩამორჩება ქეთევან ხომერიკის (თბილისი) მძლეველი მარიამ ჭოლაძე (ქუთაისი). ლიდერის პოზიციები დაამო ხუთქულიანმა ადა კაკუტიამ (ფოთი), რომელმაც თეთრი ფიგურებით თეა ჭოლაძესთან (ქუთაისი) წააგო. გუშინ ასევე შავი ფიგურებით იზეიმეს გამარჯვება ნინო ჯალაღონიამ (ქუთაისი) და ანა თედოშვილმა (ქუთაისი), რომლებმაც, შესაბამისად, ნინო გუმბერიძესა (ქუთაისი) და მის სეხნია ნინო გოგოხიას (თბილისი) აჯობეს. გოგონებში 5-5 ქულით მესამე-მეშვიდე ადგილებს კაკუტია, კოხრეიძე, თ. ჭოლაძე, ჯალაღონია და თედოშვილი ინაწილებენ.

ლიდერთაგან დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: თ. ჭოლაძე-ნ. ხომერიკი, მ. ჭოლაძე-წულაია, ჯალაღონია-კაკუტია, კოხრეიძე-თედოშვილი; ღვამბერია-ლიჩელი, თუთისანი-ოთხოზორია, სიბაშვილი-მანგაძე, ბერძენაძე-კელეპტრიშვილი.

ვაჟა დანელია

ლიდერებს ნამოეწია

ბხუბანეშვარში (ინდოეთი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე გუშინ მე-7 ტურში თბილისელმა დიდოსტატმა **მიხეილ მჭედლიშვილმა** ბანგლადეშელი **ენამულ ჰოსაინი** დაამარცხა და 6 ქულა მოაგროვა. ასეთივე მონაგარი კიდევ ოთხ მოჭადრაკეს აქვს: ერთპიროვნული ლიდერი **მაგეშ ჩანდრან პანჩანადანი** (ინდოეთი) სომეხ **ტიგრან პეტროსიანს** დაუზავდა. ხუთქულიანთაგან სამ პაექრობაში მასპინძლები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს: აშვინი-ებჯით გუფთა 0:1, სტანი-ბაკრე 1:0, არუნი-გროვერი 0:1. ამდენად, შვიდი ტურის შემდეგ 6-6 ქულით მჭედლიშვილი, გუფთა, სტანი, პანჩანადანი და გროვერი მეწინავეობენ. მე-8 ტურში ისინი ასე დაწყვილდნენ: მჭედლიშვილი-პანჩანადინი, გუფთა-გროვერი, სტანი-ზიაურ რაჰმანი (ბანგლადეში, 5,5 ქულა). ლიდერებს 0,5-0,5 ქულით 8 მოჭადრაკე ჩამორჩება. შეჯიბრების დამთავრებამდე ოთხი ტური დარჩა.

ვაჟა დანელია

● მეზობლობა და მეგობრობა

ქართულ-თურქული კლუბი მცხეთაში

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ თურქეთ-საქართველოს მეგობრობისა და თანადგომის საერთაშორისო ასოციაცია დიდ ყურადღებას უთმობს ორი მეზობელი ქვეყნის ახალგაზრდობის სპორტულ დაახლოებას. ხოლო თუ რა კეთდება კონკრეტულად, ამას ასოციაციის პრეზიდენტ **მიხეილ გელიაშვილისგან** შეიტყობთ.

- 1991 წელს ქართველი მოსწავლეები პირველად მონაწილეობდნენ თურქეთის ქალაქ უნიეში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში, რომლის პროგრამაში ფეხბურთიც შედიოდა. ფინალში ქართველები მასპინძლებს შეხვდნენ და თამაში 5:5 დამთავრდა. მას შემდეგ არაერთ ერთობლივ სპორტულ ღონისძიებაში გამოვსულვართ - ამბობს ბატონი მიხეილი.

- განსაკუთრებით მზრუნველობას იჩენთ ქართველ ჭაბუკი ფეხბურთელების მიმართ...

- ფეხბურთში საქართველოს და თურქეთის მეგობრულ კავშირს საფუძველი ჩაუყარეს ძმებმა არჩილ და შოთა არველაძეებმა. სპორტის ეს სახეობა მეტად პოპულარულია თურქეთში. მისი სიყვარული კიდევ უფრო გაზარდა მსოფლიოს პირველობამ, სადაც თურქებმა წარმატებით იასპარეზეს. ამიტომაც საუკეთესო პირობებს უქმნიან ჭაბუკებს, ვინც ფიზიკური მონაცემებით, ტექნიკით გამოირჩევიან. ქართველი ვლადიმერ დეკანოსიძე, გიორგი ხარატიშვილი, რამაზ ხარაზიშვილი, ლაშა მიდელაური, ილია უგულავა, სოსო ჭიკაიძე, ზვიად გოგრიჭიანი წარმატებით თამაშობენ ქოჯაელის ვილაიეთის სხვადასხვა გუნდში.

- როგორც ვიცით, თქვენი ასოციაციას ურთიერთობა აქვს თურქეთში ქართველებით დასახლებულ ქალაქებთან და სოფლებთან...

- ნამდვილად ასეა და თავს მოვალედ ვთვლით გავაღრმაოთ ურთიერთობები ადამიანებთან, რომლებსაც ერთი ისტორიული ფესვები აქვთ. მაგალითად, 2007 წელს იზმითში ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება მინიფეხბურთში. მონაწილეობდა მცხეთის რაიონის ბავშვთა გუნდიც, რომელმაც მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. იმავე წელს მარმარილოს ზღვისპირა ქალაქ ქოჯაელში ცურვაში გაიმარჯვა საქართველოს წარმომადგენელმა ბეგლარ ელბაქიძემ, რომელმაც ხელების დაუხმარებლად გაცურა 1000 მეტრი, ბოლო დროს კი გააუმჯობესა თავისი რეკორდი - 8,5 კილომეტრი გაცურა 3 საათსა და 28 წუთში. მას თურქეთში „ზღვაში მოსიარულე" შეარქვეს. 2010 წელს სწრაფ ცურვაში მეორე ადგილი დაიკავა თბილისელმა ლევან წერეთელმა.

- თურქეთ-საქართველოს მეგობრობის და თანადგომის სამომავლო პერსპექტივებზე რას იტყვით?

- ქოჯაელისა და არდახანის ვილაიეთის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით მცხეთაში შეიქმნა სპორტული კლუბი. აქ ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის სექციებში ნიჭიერი ახალგაზრდები გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით დაოსტატდებიან. კლუბის დამფუძნებელთა კრება წლეულს 24 მარტს მცხეთაში ჩატარდა, რომელსაც დაესწრნენ როგორც მცხეთა-მთიანეთის გუბერნიის წარმომადგენლები, ისე თურქეთიდან ჩამოსული ბიზნესმენები.

სოფელ გოროვანთან შეირჩა ადგილი, რომლის გადმოცემის შემდეგ დაიწყება სპორტული მოედნის მშენებლობა. შარშან შევქმენით ფეხბურთის გუნდი, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში (III ლიგა) მონაწილეობს.

- სპორტული ინვენტარითაც ეხმარებით მცხეთელ ახალგაზრდებს...

- დიახ, ბიწმენდის, საგურამოს, მუხრანის, წეროვნის სკოლის მოსწავლეებს ასოციაციამ თურქეთიდან ჩამოუტანა სხვადასხვა სასწავლო და სპორტული ინვენტარი.

- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თუ იცის თქვენი საქმიანობის შესახებ?

- იცის, რა თქმა უნდა. ფედერაციის პრეზიდენტმა, ბატონმა ზვიად სიჭინავამ გამოთქვა მხარდაჭერის და დახმარების სურვილი. პროექტების განხორციელებაში ხელს გვიწყობენ ქოჯაელის, არდახანის ვილაიეთის მცხეთის და დუშეთის რაიონის ხელმძღვანელები.

თენგიზ თომაშვილი

საქართველოს ჩემპიონატში (III ლიგა) მონაწილე ნორჩ ფეხბურთელთა გუნდი

● ევროპული ბიბლიოთეკა

გეორ-გია და ლევან ახვლედიანი

საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ

13-19 ივნისს რომში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი პლაჟის ფრენბურთში. ჩატარდა კენჭისყრა და გაირკვა ჩვენი მეტოქეები. ქალთა ნაკრები მოხვდა D ჯგუფში, სადაც არიან მსოფლიო ბოლო 2 ტურის გამარჯვებული ჰოლანდიური წყვილი **კაიზერ-ვან იერსელი**, ფინელი დები **ნინსტრომები** და ნორვეგიელები **მასეიდე-ინგრიდი.** ვაჟთა ნაკრების მეტოქეები G ჯგუფში არიან აშშ-ის, ბრაზილიისა და ავსტრალიის გუნდები.

"ჩვენს გუნდებს საკმაოდ თანაბარ ჯგუფში მოუწევთ გამოსვლა. ვფიქრობ, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ნაკრები თავს გაართმევს ამოცანას და გავა ქვეჯგუფიდან. რაც შეიძლება კარგი შედეგი უნდა ვაჩვენოთ რომში, ვინაიდან ეს ტურნირი ლონდონის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ეტაპიცაა და საკმაოდ მაღალი ქულები გაიცემა. ორივე ნაკრები ასევე მონაწილეობას მიიღებს დიდი სლემის გათამაშებაში, რომელიც პეკინში 6-11 ივნისს გაიმართება. იმედი მაქვს, რომ ქართული მასმედია დიდ ყურადღებას დაუთმობს მსოფლიო ჩემპიონატს, რაც ერთის მხრივ დააკმაყოფილებს გულშემატკივართა ინტერესს, ხოლო მეორეს მხრივ ხელს შეუწყობს სპორტის ამ ლაზმაზი სახეობის პოპულარიზაციას საქართველოში", - განაცხადა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ახვლედიანმა.**

● ბოგბური

შაფათავას რომაული ნახევარფინალი

წლეულს, 28 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (232) მაინცდამაინც ვერ გვახარებს მიღწევებით. აპრილში მან 10-ათასიანი ტურნირი მოიგო იტალიურ პომეციაში და ორჯერ ნახევარფინალში გავიდა (იმავე პომეციაში (10 ათასი) და ჩივიტავეკიაში (25 ათასი)), სულ ეს არის. ჩვენი თანამემამულე რომში იმყოფებოდა, სადაც 50-ათასიან ტურნირში ჩაება, თუმცა მერვედფინალში მე-2 ნომრად განთესილ იაპონელ **კურუმი ნარასთან** (132) დამარცხდა - 3:6, 5:7. რომში გამომუშავებული 10 ქულა მაკას რეიტინგში ოდნავ დააწინაურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომის ტურნირის წყვილთა ბადეში 22 წლის **სოფიო შაფათავა** (283) ყოჩაღობს, ვინც რუს **მარინა შამაიკოსთან** (438) დუეტში ნახევარფინალში გააღწია. მე-4 ნომრად განთესილმა ქართულ-რუსულმა წყვილმა ესპანური (**კოსტას-მორეირა, გარსია-ვიდაგანი**) დაამარცხა - 6:1, 7:6 (2).

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ბატუტზე ხტომა

როცა სიმაღლე ქულებად ფასობს

ქართველი ბატუტისტები ვარსკვლავთა ტურნირში მიიწვიეს

სანქტ-პეტერბურგში ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს თასის გათამაშებაში სხვადასხვა ქვეყნის 88 წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის - ორი საქართველოდან. ჩვენებურთა გამოსვლის თაობაზე ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზაურ სულაშვილი** გვესაუბრება:

„მსოფლიოს თასისთვის მონდომებით ვემზადებოდით და, შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ არ გვიასპარეზია. განსაკუთრებით თენგიზ კოშკაძემ იყოჩაღა: საკვალიფიკაციო ეტაპზე მან სტაბილურად შეასრულა სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშები და მე-5 ადგილზე გასულ უკრაინელ ოლიმპიურ ჩემპიონ იური ნიკიტინს მცირედით ჩამორჩა. კოშკაძემ ფინალშიც კარგად შეასრულა რთული ელემენტები, მაგრამ ვარჯიშის ბოლოს სიმაღლე დააკლდა. არადა, ახალი წესებით, ამ მომენტს დიდი მნიშვნელობა ენიჭება: სიმაღლის დროის რაოდენობა ტექნიკურ ქულებსა და სირთულის კოეფიციენტს ემატება და საბოლოო ჯამიც ასე გამოითვლება. ვარჯიშისას რომ არა ეს წუნი, ჩემს შეგირდს ხუთეულში მოხვედრაც შეეძლო, ის კი მე-7 ადგილს დასჯერდა. თუმცა, სახელოვან სპორტსმენთა კოჰორტაში, სადაც უშეღავათო კონკურენციაა, ეს შედეგიც საპატიოა.

კარგა ხანს წელის ტკივილის მიუხედავად, თასის გათამაშებისთვის კარგად მოემზადა ლუბა გოლოვინაც, რომელსაც ვარჯიშების სირთულის კოეფიციენტი 14,4-მდე გავუზარდეთ. სანქტ-პეტერბურგში სავალდებულო პროგრამის შემდეგ იგი მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფდა. ნებისმიერ ვარჯიშში ახალი ურთულესი ელემენტი - სამმაგი მალაყი კეცით კარგად შეასრულა, თითქოს ყველაფერი უნაკლოდ მიდიოდა, მაგრამ ბოლო მე-10 ელემენტის - ორმაგი მალაყი ორმაგი პირუეტით - შესრულებისას სიმაღლე დაკარგა და მეორე ფაზაში ფეხები ოდნავ მოხარა.ეს კომპონენტი მას სავალდებულო ვარჯიშის ბოლოს აქვს, ამიტომ მსაჯებმა გამეორებად ჩაუთვალეს და 1,6 ქულა დააკლეს. არადა, ფინალში გასულ მერვეადგილოსანს ლუბა მხოლოდ მეათედებით ჩამორჩა.

ყოველივეს მიუხედავად, კოშკაძისა და გოლოვინას გამოსვლით კმაყოფილი ვარ. 27-29 ივლისს ბატუტზე ხტომის მსოფლიო ლიდერები კანადაში ვარსკვლავთა ტურნირზე მასპინძელთა ხარჯებით არიან მიწვეული. სასიამოვნოა, რომ რჩეულთა შორის ჩვენი ბატუტისტებიც იქნებიან".

ვაჟა დანელია

● პროფესიული ქრივი

მოგება 38 წამში

პროფესიონალებში გადასვლის შემდეგ დაუმარცხებელია 25 წლის **ლევან ღვამიჩავა** (63,5 კგ), რომელიც ირლანდიაში ვარჯიშობს. 28 მაისს ჩვენებურმა ჩრდილოეთ ირლანდიაში, ბელფასტის სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" გამართა რიგით მე-4 ბრძოლა პროფესიულ რინგზე. მისი მეტოქე 31 წლის უნგრელი მოკრივე **კაროლი ლაკატოში** იყო. შეხვედრა 6 3-წუთიანი რაუნდისგან უნდა შემდგარიყო, მაგრამ ლაკატოშს ამდენი ხანი ვინ აცალა - ღვამიჩავამ პირველივე რაუნდის 38-ე წამზე ნოკაუტში გაგზავნა მონინააღმდეგე. ლევანს 4 ორთაბრძოლიდან 3 ნოკაუტით აქვს მოგებული, ერთი კი ქულებით.

დღეისათვის, ღვამიჩავა საერთო რეიტინგში (1 500-მდე მოკრივე) 151-ე პოზიციაზეა. აღსანიშნავია, რომ თავიდან ჩვენებურის მეტოქე ესპანელი **დანიელ რასილია** (18 მოგება, 3 მარცხი) უნდა ყოფილიყო, რომელიც ერთ-ერთი ვერსიით ევროპის ჩემპიონობის კანდიდატია. ბრიტანული მედია დანანებით წერს, რომ ეს დამაინტრიგებელი ორთაბრძოლა არ შედგა - ესპანელი ქართველს დაემალა. რასილიას შემცვლელმა კი ვერ ივარგა. ბრიტანელები წერენ, რომ უნგრელს დროულად უშველა რეფერიმ, რომელმაც ტექნიკური ნოკაუტი ჩათვალა, თორემ ლაკატოში ასე იოლად ვერ გადაურჩებოდა ქართველის დარტყმებს, თავად კი ჩვენებურს ერთი დარტყმაც არ მიუღია.

მოყვარულებში ყოფნისას ღვამიჩავამ 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-3 წრეში გააღწია, 2009 წელს კი მეორეში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● სასკოლო სპორტი

სამედიცინოს წვლილი



საქართველოს პრეზიდენტის თაოსნობით საჯარო სკოლებში სპორტის გაკვეთილების დანერგვის ინიციატივას გამოეხმაურა თბილისის სამედიცინო სახელმწიფო უნივერსიტეტი და ამ უმაღლესი სასწავლებლის ცნობილ სპეციალისტთა მონაწილეობით სამი ბროშურა მოამზადდა და გამოიცა. ბროშურები: „სპორტული გული", „გაუფრთხილდი ხერხემალს", „რა უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა გამაჯანსაღებელი ფიზიკური ვარჯიშის შესახებ" სახელმძღვანელოდ გამოადგებათ, როგორც სკოლების მასწავლებლებს და მწვრთნელებს, ისე მოსწავლეებს და მშობლებს. დასახელებული მესამე ბროშურის ავტორთა ჯგუფში შედიან პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ პროფესორები - რ. სვანიშვილი, ნ. ჭაბაშვილი, ზ. სოფრომაძე, გ. ჩახუნაშვილი, ზ. კახაბრიშვილი, პ. კასრაძე, ლ. თათარაძე, თ. სვანიშვილი.

ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

გაგვიმართლა რუსეთი რომ შეგვხვდა

დღისი
გიორგი ცინცაძე

დაიბადა: 7.2.1986
სიმაღლე: 192 სმ.
წონა: 90 კგ.
პოზიცია: უკანახაზელი

კარიერა	
2001-02	აკადემია
2003	ბასკო
2003-04	ცსკა (რუსეთი)
2004	სამარა (რუსეთი)
2005	ურალ გრეიტი (რუსეთი)
2005-06	დინამო (რუსეთი)
2006-09	ტარტუ (ესტონეთი)
2009	ტრიკალა (საბერძნეთი)
2009-10	დონეცკი (უკრაინა)
2010	სოპოტი (პოლონეთი)
2010-11	ტარტუ (ესტონეთი)

საქართველოს ნაკრების წევრები სამშობლოში ბრუნდებიან. ჯერ ნიკა ცქიტიშვილი ჩამოვიდა, შემდეგ ლაშა გამყრელიძე, თორნიკე შენგელია, ნიკა მეტრეველი, გიორგი ცინცაძე. დღეს ბუს შეგახვედრებთ, რომელმაც გასული სეზონი ესტონეთის „ტარტუ როკში“ გაატარა, ბალტიის ლიგის თასს დაეუფლა, ხოლო ესტონეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში „კალევთან“ დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა.

თორთლაძესთან

- ესტონეთიდან დაბრუნებული, ალბათ, ისვენებ...

- უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნება თავისთავად დასვენებას ნიშნავს, რადგან აქ უამრავი ახლობელი მყავს. რაც შეეხება სპორტისგან დასვენებას, ამას არ ვაკეთებ - საქართველოს ნაკრების ყოფილ წევრთან, ამჟამად „დინამოს“ მწვრთნელ დავით თორთლაძესთან ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. მის მიერ შედგენილი სპეციალური პროგრამით ფიზმომზადებას გავდივარ. 24 ივლისამდე ამ პროგრამით ვივარჯიშებ, შემდეგ კი ნაკრებს შევუერთდები.

თუ ჭკუით ვითამაშებთ...

- მოსამზადებელ ციკლზე ზოგადად რისი თქმა შეიძლება?

- მოკლე დროში მოგვიწევს ბევრის გაკეთება. თუმცა, ვფიქრობ, ერთობლივი მუშაობით ევროპის ჩემპიონატს სათანადოდ მომზადებულები უნდა შევხვდეთ. იმედია, ევრობასკეტამდე ყველა ჯანმრთელად მივალთ, დანარჩენი კი ჩვენზე იქნება დამოკიდებული. თუ საკუთარ თამაშს ვუჩვენებთ, ჯგუფიდან გასვლაზე ფიქრიც რეალურად შეგვეძლება, თუ ისე ვითამაშეთ, როგორც შარშან ბელგიასთან, წარმატების მიღწევა გაგვიჭირდება.

- ბელგიასთან თბილისური შეხვედრისას წაგების მიზეზად დაღლილობა დასახელდა, მეტოქე შედარებით დასვენებული იყო. ევროპის პირველობაზეც რთული იქნება ძალების ბოლომდე შენახვა...

- ექვს დღეში ხუთი შეხვედრის ჩატარება გვიწევს, რაც დიდ ენერგიას მოითხოვს. თუ სხვები შეძლებენ ძალების ბოლომდე გამოზოგვას, არც ჩვენ უნდა ვიყოთ გამონაკლისები. ევრობასკეტზე ყველა გუნდი თანაბარ პირობებში იქნება. ამ მხრივ დასაჩივლი არაფერი გვაქვს.

- თითო მეტოქეს თითო წინადადება შევაწიოთ. 31 აგვისტოს ბელგიას ვეთამაშებით...

- ბელგიელები რამდენჯერაც შეგვხვდნენ, იმდენჯერ მოგვიგეს. ახლა ჩვენი ჯერია. ერთხელ ხომ უნდა მოვუგოთ. იმედია ეს ყველაზე მნიშვნელოვან ურთიერთშეხვედრაში მოხდება.

- 1 სექტემბერს რუსეთის ნაკრებს დავუპირისპირდებით. ცსკა, „სამარა“, „ურალ გრეიტი“, „დინამო“ - ამ რუსულ გუნდებში გითამაშია და ჩვენს მომავალ მეტოქეზეც სრული წარმოდგენა გექნება.

- რუსეთის ნაკრების კალათბურთელების 70 პროცენტს ვიცნობ. ჩვენს მეზობლებს ჯგუფში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდი ჰყავთ, მაგრამ ვფიქრობ, გაგვიმართლა, როცა მეორე კალათიდან ჩვენს ჯგუფში რუსეთი მოხვდა და არა - თურქეთი, საფრანგეთი ან ხორვატია. ჩემი აზრით, თუ ჭკუით ვითამაშებთ, რუსეთის ნაკრების ძლევა შეიძლება.

- შემდეგი მეტოქე სლოვენიაა.

- სლოვენია არათუ ჯგუფის, ევრობასკეტის ფავორიტია. ამ ნაკრებში ჩვენზე მეტად გამოცდილი კალათბურთელები თამაშობენ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოედანზე წასაგებად უნდა გავიდეთ. სლოვენიელებიც ისეთივე კალათბურთელები არიან, როგორიც ჩვენ. ნებისმიერ ლიდერს შეიძლება ერთი თამაში არ წაუვიდეს, რაც მეტოქემ სათავისოდ უნდა გამოიყენოს.

- დაგვრჩა ბულგარეთი და უკრაინა...

- უკრაინის ნაკრები გაცილებით ძლიერი იქნება, ვიდრე შარშან თბილისში ვნახეთ. ამჯერად მწვრთნელიც ძლიერი ჰყავთ და შემადგენლობაც. რაც შეეხება ბულგარეთს, არა მგონია, იქ ბევრი ცვლილება განხორციელდეს. ერთადერთი, შესაძლოა ნატურალიზებული კალათბურთელი შეცვალონ. ასეა თუ ისე, წინასწარ გამარჯვება არავის არვისთან აქვს გარანტირებული.

ოპერაციის დრო არ არის

- სეზონის დასაწყისში, ესტონეთის „ტარტუ როკში“ გადასული, ალბათ, იმაზე მატს ელოდი, რაც საბოლოოდ გამოვიდა...

- გარკვეულწილად ასეც იყო, რადგან ორი წლის წინათ გუნდის ლიდერი ვიყავი და სეზონის საუკეთესო კალათბურთელადაც დამასახელეს. თუმცა, 2010-11 წლების სეზონის წინ, ტარტუში რომ მივდიოდი, სხვა ამოცანა მქონდა - მინდოდა ტრავმა საბოლოოდ მომეშუშებინა და კარგ სათამაშო კონდიციებამდე მივსულიყავი. 2010 წელს სანაკრებო მატჩებისას კოჭი მაწუხებდა და ეროვნულშიც, ფაქტობრივად, ცალი ფეხით ვთამაშობდი. სწორედ იმიტომ გადავედი ჩემს ძველ გუნდ „როკში“, რომ ვიცოდი, იქ ყველანაირად ხელს შემინყობდნენ, დამელოდებოდნენ. სხვაგან შეიძლება არ მოეცადათ, დაეეტვირთეთ, რაც ტრავმას კიდევ უფრო გაართულებდა.

- ტრავმა საბოლოოდ მოიშუშე?

- ტრავმას სეზონის მეორე ნახევარში აღარ შევუწუხებივარ. ახლაც კარგად ვგრძნობ თავს, თუმცა კოჭი 100 პროცენტით არ მორჩენილა, სრულად გამოსაჯანმრთელებლად ოპერაცია მჭირდება, მაგრამ წინ სანაკრებო ბატალიებია და ოპერაციის დრო არ არის, როგორც აღვნიშნე, ტრავმა თამაშში ხელს აღარ მიშლის.

- კოჭი როდის დაიზიანე?

- 2010 წლის გაზახულზე, პოლონურ „სოპოტში“ თამაშისას.

როკი ახალგაზრდეგის შესრულეგით

- „ტარტუ როკში“ 2008-09 წლების სეზონში ვიქტორ სანიკიძესთან ერთად თამაშობდი. მაშინდელ და წლევანდელ „როკს“ შორის რა განსხვავება იყო?

- ორი წლის წინათ უფრო გუნდურად ვთამაშობდით, ახლა „ტარტუში“ გაცილებით მეტი ახალგაზრდა შეიკრიბა, შესაბამისად ამბიციაც დიდი იყო - საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცება სურდათ. მათთან შედარებით ვეტერანი ვიყავი. თუ ორი წლით ადრე საშუალოდ 33 წუთს ვთამაშობდი და 15.5 ქულას ვაგროვებდი, ამ სეზონში დრო შემომცირდა, თუმცა მარგი ქმედების კოეფიციენტმა იმატა: 20 წუთში 7.8 ქულა, 3.2 პასი და 3.2 მოხსნა.

- ძირითადად სოკს ცვლიდი...

- იგი ახალგაზრდაა და კარგი მონაცემები აქვს. გამთამაშებლის პოზიციაზე დრო ჩემსა და სოკს შორის ნაწილდებოდა.

- შუა სეზონში გამოცდილი იანარ ტალტსი გამოგაკლდათ, რომელიც იტალიაში გადავიდა...

- მისმა წასვლამ გუნდზე უარყოფითად იმოქმედა. ტალტსი ხომ ლიდერი იყო. დარჩნენ სხვა გამოცდილები - ლეპიკი, დორონინი, მაგრამ მათ მეორეხარისხოვანი როლი ჰქონდათ.

- ეზიუკვუ სტატისტიკით ვიქტორ სანიკიძეს მაგონებდა...

- იგი ვიქტორთან ახლოს ვერ მივა - 212 სმ სიმაღლის ცენტრი გახლდათ და მისი მთავარი პლუსი მაღალი ნახტომი იყო. ვიქტორი გაცილებით მრავალმხრივი მოთამაშეა.

- ესტონეთის ჩემპიონატის ფინალური სერია 0:3 წააგეთ. გუნდის უფროსობა ამას როგორ შეხვდა?

- რა თქმა უნდა, ჩვენთან ერთად ისინიც ჩემპიონობაზე ფიქრობდნენ. „კალევმა“ კარგად ითამაშა, თუმცა მასზე უარესები ნამდვილად არ ვიყავით, უბრალოდ ფინალურ სერიაში ბევრი ტრავმირებული ვერ დაგვეხმარა.

თოვლი და ღვინო

- ესტონეთში დიდი გამოხმაურება მოჰყვა შენი მანქანის მოყინულ გზაზე მოცურებას...

- კვირის მთავარ მოვლენადაც იქცა. ვფიქრობ, საქართველოში ასეთი ამბავი არ მოჰყვებოდა, რადგან აქ უფრო ნაკლებად მიცნობენ, ვიდრე ესტონეთში.

- რეალურად რა მოხდა?

- სახლში მეუღლესთან ერთად ვიყავი, სადილზე ნახევარი ბოთლი წითელი ღვინო დავლიე. მას მერე რამდენიმე საათი გავიდა და სახლთან ახლოს მანქანით გასვლამ მომიწია. დიდი თოვლი იყო, მანქანა მოცურდა და გზიდან გადავიდა. ესტონეთში მოიგონეს, თითქოს დიდი სისწრაფით მივდიოდი, არადა ისეთ თოვლზე სწრაფად როგორ უნდა მევლო, 30 კმ/სთ სიჩქარით მივდიოდი... გუნდის ხელმძღვანელობამ ყველაფერი კარგად გააანალიზა და ჯარიმა არ დამაკისრა.

გიორგი ცინცაძე ამჟამად უკლუბოდაა. იგი „ტარტუ როკში“ დაბრუნებას აღარ აპირებს. მისი აგენტი ტრანსფერზე მუშაობს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

სეზონური ფინალური

ფერმკრთალი ოლიმპია, მკვეთრი შერმადინი

სლოვენიის ჩემპიონატში ფინალური სერია წაგებით დაიწყო „ოლიმპიამ“, რომელმაც კრკა-სთან 23 ქულის სხვაობით დათმო - 55:78.

რეგულარულ ეტაპზე კრკა-მ 14-დან 13 მატჩი მოიგო და პირველი ადგილიც დაიკავა. „ოლიმპია“ მეორე იყო (10 მოგება, 4 მარცხი). ამ შედეგებიდან გამომდინარე, ფინალური სერიის ფავორიტად კრკა მიიჩნეოდა, თუმცა ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, რომ პირველივე მატჩში ასე გაისეირნებდა. კრკა-ს კალათბურთელები საწყის პერიოდში 9 ქულით დაწინაურდნენ (24:15), ხოლო მესამე ათწუთეულის შემდეგ 59:40-ს იგებდნენ, რითაც ბოლო პერიოდს ფორმალური სახე მისცეს.

გუნდის უფერული თამაშის ფონზე მკაფიოდ გამოიყურებოდა **გიორგი შერმადინის** სტატისტიკა. მან 6-დან 4 ორქულიანი, 3-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 10 ქულას 6 მოხსნა მიამატა. მწვრთნელმა კი მხოლოდ 15 წუთი ათამაშა. მარგი ქმედების კოეფიციენტის (12) მიხედვით შერმადინი „ოლიმპიაში“ **ოუბოლტთან** ერთად საუკეთესო იყო.

გიორგის მსგავსად **ვლადიმერ ბოისაც** სათადარიგო იყო. მან 12 წუთი ითამაშა, 2 ქულა (4-დან 2 საჯარიმო) და 1 მოხსნა ჩაიწერა. ოლიმპიელთაგან ყველაზე მეტი, 11 ქულა **კენი გრეგორიმ** ჩააგდო, რომელმაც შერმადინზე 10 წუთით მეტი ითამაშა.

სლოვენიის ფინალური სერიის მეორე მატჩი 4 ივნისს ლიუბლიანაში გაიმართება. სერია 3 მოგებამდეა.

IRB-ს ერთა თასი

საქართველო-იტალია A. 2010 წელი

ნაკრებში ბევრი ძველია, ბევრიც ახალი

10 ოქტომბერს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში IRB-ს ერთა თასის გათამაშება დაიწყება. საქართველოს ნაკრები ამ ტურნირში ასპარეზობით, ფაქტობრივად, 2011 წლის მსოფლიოს თასისთვის მზადებას იწყებს.

წლევანდელ შეჯიბრებას უწინდელთან შედარებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მსოფლიოს რაგბის უდიდესი ფორუმის დაწყებამდე სამი თვით ადრე იმართება. ბუქარესტში მოასპარზე გუნდებიდან სამი ახალ ზელანდიაში ითამაშებს, მათ შორის მასპინძელთა ეროვნული გუნდიც, რომელიც „ბორჯღალოსნების" მეტოქეა ჯგუფურ ტურნირში. „მუხის ფოთლებს" ჩვენი გუნდი 28 სექტემბერს პალმერსტონში დაუპირისპირდება.

„IRB-ს ერთა თასის წლევანდელი გათამაშება ჩვენთვის უდიდეს მნიშვნელობას იძენს. ამ ტურნირზე გვინდა, კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ ეროვნული გუნდის კანდიდატებს და შანსი მივცეთ მათ, თავიანთი შესაძლებლობები სათანადოდ წარმოაჩინონ, რათა ახალ ზელანდიაში გასამგზავრებელი გუნდის შემადგენლობაში მოიპოვონ ადგილი.

ამასთან, ბუქარესტის ტურნირს განვიხილავთ, როგორც იმ მოთამაშეების დათვალიერებად, რომლებსაც წლევანდელი მსოფლიო თასის გათამაშების დასრულების შემდეგ უნდა დავეყრდნოთ. ჩვენ თუ ახლავე არ გავამახვილეთ ამაზე ყურადღება, ეროვნული ნაკრები ისე ვერ განვითარდება." - თქვა IRB-ს ოფიციალურ ვებგვერდთან საუბრისას საქართველოს ნაკრების შოტლანდიელმა თავკაცმა **რიჩი დიქსონმა.**

ბუქარესტში 26 ბორჯღალოსანი გაემგზავრება, აქედან ხუთი **კარლენ ასეიშვილი** (ორიაკი), **შალვა მამუკაშვილი** (ყოჩები), **გივი ბერიშვილი** (ლოკომოტივი), **გიორგი ბეგაძე** (ყოჩები) და **გიორგი ჯიმშელაძე** (კლერმონი) ეროვნული ნაკრების კვართს პირველად მოირგებს.

ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნდნენ **ილია ზედგინიძე** (სენ რაფაელი), **გოდერძი შველიძე** (მონპელიე), **აქვსენტი გიორგაძე** (კასტრი), **დიმიტრი ბასილაია** (ობენა), **ალექსანდრე თოდუა** (ლელო), **მალხაზ ურჯუკაშვილი** (გურდო) და **დავით ქუბრიაშვილი** (ტულონი), რომელმაც ახლახან „ბარბაროსების" შემადგენლობაში ინგლისის ნაკრებთან ითამაშა.

„ბორჯღალოსნებს" რუმინეთში ერთი მგეზავი, ლელოელი ლაშა ხმალაძე ეყოლბათ, რომელმაც დიდი ხანი არ არის ტრავმა მოიშუშა და საქართველოს ჩემპიონატის შეხვედრებში ნელ-ნელა სათამაშო ფორმა აღიდგინა.

IRB-ს ერთა თასზე საქართველოს ნაკრებს საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან მოუწევს ასპარეზობა. ჩვენი გუნდის პირველი მეტოქე 10 ივნისს სამხრეთაფრიკელი „მეფეები" (კინგზი) იქნებიან, რომელიც ამ ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონების მორაგბეთა ნაკრებია. მას ცნობილი სამხრეთაფრიკელი სპეციალისტი **ალან სალამონსი** ხელმძღვანელობს, რომელიც ქართული რაგბის თემისთვის კარგად ნაცნობი პიროვნებაა. მას არაერთხელ გაუწევია კონსულტაცია და დახმარება საქართველოს რაგბის კავშირისთვის.

მომდევნო მეტოქე, 15 ივნისს, არგენტინის A ნაკრები იქნება, რომლის ძალაც თბილისში 2009 წლის ნოემბერში ამ გუნდის სტუმრობისას ვნახეთ. ამას ისიც დავუმატოთ, რომ არგენტინელთა რიგებში რამდენიმე ისეთი მორაგბე იქნება, ვისაც ეროვნულ ნაკრებში თამაშის პრეტენზია აქვს.

„ბორჯღალოსნები" ბოლო მატჩს 19 ივნისს ნამიბიის ეროვნულ გუნდთან გამართავენ, რომელიც ამ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია და სექტემბერში ახალ ზელანდიაშიც ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ ნამიბიელებთან მატჩის შედეგი მსოფლიო რეიტინგზეც იქონიებს გავლენას.

ამის გარდა, ცხადია, დიდ ინტერესს იწვევს ახალ ზელანდიაში ჩვენი მეტოქის რუმინელთა გუნდის თამაშიც. „მუხის ფოთლების" ფრანგმა თავკაცმა **რობერ ანტონინმა** ყველა უძლიერეს მორაგბეს უხმო. დისკვალიფიკაციის ვადა დაუმთავრდა და გუნდს დაუბრუნდა შერკინების კვაჭი **მარიუს ტინკუ,** ტრავმა მოიშუშა და კვლავ მწყობრშია რუმინელთა საუკეთესო მორაგბე, მესამეხაზელი **ივიდიუ ტონიცა.** სამაგიეროდ რუმინელებს დააკლდებათ ნლების განმავლობაში გუნდის კაპიტანი და ლიდერი, მეორეხაზელი **სორინ სოკოლი,** რომელსაც სერიოზული კონფლიქტი აქვს მთავარი მწვრთნელის თანაშემწე **რომეო გონტინიაკთან.** ამასთან, ეროვნულ ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა საკმაოდ გამოცდილმა მესამეხაზელმა **ალექსანდრუ მანტამ.**

საქართველოს ნაკრები

შერკინება: ვასილ კაკოვინი (ბრივი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), გოდერძი შველიძე (მონპელიე), კარლენ ასეიშვილი (ორიაკი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), შალვა მამუკაშვილი (ყოჩები).

მეორეხაზი: ილია ზედგინიძე (სენ რაფაელი), ვახტანგ მაისურაძე (სენ ნაზერი), გიორგი ნემსაძე (მონტობანი)

მესამე ხაზი: დიმიტრი ბასილაია (ობენა), სიმონ მაისურაძე (ვილერბანი), ზვიად მაისურაძე, გივი ბერიშვილი (ორივე-ლოკომოტივი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი).

№9: ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ყოჩები)

№10: ლაშა ხმალაძე (ლელო)

№12-13: ირაკლი გიორგაძე (აია), გიორგი ჯიმშელაძე (კლერმონი), რეზო გიგაური (ფიუკი), ალექსანდრე თოდუა (ლელო)

№11-14: ლექსო გუგავა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), ბექა ურჯუკაშვილი (ფიუკი)

№15: ბესიკ ხამაშურიძე (აია), მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდო)

რუმინეთის ნაკრები

პირველი ხაზი: ნიკოლაე ნერე, ბოგდან ზებეგა (ორივე-სტიაუა), სეზარ პოპესკუ (მაკონი), დრაგოშ დიმა (ბლანიაკი), მიჰაიტა ლაზარი (ექსი), იონ პაულიკა (ლონდონ იარიში), სილვიუ ფლორეა (ბორდო), მარიუს ტინკუ (პერპინიანი), ანდრეი რადოი (ბაია მარე)

მეორე ხაზი: კრისტიან პეტრე (სენტ ეტიენი), ვალენტინ ურსაკე (ექსი), ვალენტინ პოპარლანი (ბუქარესტი), მარიუს სირბე (ტარბი)

მესამე ხაზი: სტელიან ბურეა, ვასილე რუსი (ორივე-ტიმიშოარა), მიჰაი მაკოვეი (ბაია მარე), დანიელ იანუსი (სტიაუა), ოვიდიუ ტონიცა (პერპინიანი), დანიელ კარპო (ფარული)

№9: ლუჩან სირბუ (მიო), ფლორინი სურუჯუ (ბუქარესტი), ვალენტინ კალაფეტეანუ (ტიმიშოარა).

№10: დანუც დუმბრავა (სტიაუა), იონუც დიმოფტე (ბაია მარე)

№12-13: კონსტანტინ გეარა (ფარული), ჩაბა გალი (ბაია მარე) იონელ კაზანი, კატალინ დესკალუ (ორივე-სტიაუა).

№11-14: კატალინ ფერკუ, მედალინ ლემნარუ (ორივე-ტიმიშოარა), კატალინ ნიკოლაე (ფარული), სტეფან ჩუნტუ (ბაია მარე)

№15: ფლორინ ვლაიკუ (სტიაუა), იულიან დუმიტრაში (ლურდი)

IRB-ს ერთა თასი

10 ივნისი

რუმინეთი-ნამიბია, საქართველო-სამხრეთ აფრიკა კინგზი, არგენტინა A-პორტუგალია

15 ივნისი

საქართველო-არგენტინა A, რუმინეთი-სამხრეთ აფრიკა კინგზი, პორტუგალია-ნამიბია

19 ივნისი

პორტუგალია-სამხრეთ აფრიკა კინგზი, საქართველო-ნამიბია, რუმინეთი-არგენტინა A

მსოფლიო თასი

ასი დღე ახალ ზელანდიამდე

ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე ასი დღე დარჩა. ტურნირის მასპინძლებმა ველინგტონში ამ დღის აღსანიშნავად დიდი ზეიმი მოაწყვეს. პარლამენტის შენობის გრძელ კვარცხლბეკზე უზარმაზარი ხალიჩა დააფინეს, რომელზეც მსოფლიო თასზე მოასპარეზე ოცივე ქვეყნის ენაზე ეწერა - „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება".

ახალზელანდიელები თავიანთი ულამაზესი ქვეყნითა და სტუმართმოყვარეობით ამაყობენ. ისინი ქვეყანაში ჩასულ ქომაგებს დიდ ზეიმს ჰპირდებიან. საამისოდ „კივებს" უკვე თითქმის ყველაფერი მზად აქვთ.

„მზადება მსოფლიოს თასისთვის დაგეგმილი გრაფიკით მიმდინარეობს. დანიდინის „ოტაგოს" სტადიონის მშენებლობა აგვისტოს დასაწყისში დამთავრდება და ასპარეზობისთვის მზად იქნება. სხვა სტადიონებზე კი ყველა სამუშაო დასრულებულია. ახლა მხოლოდ სტუმრებს და მონაწილე გუნდებს ველოდებით, რომლებიც, იმედი გვაქვს, შეჯიბრებისთვის კარგად მოემზადებიან და დაუვიწყარი სანახაობის, ზეიმის მომსწრენი გავხდებით" - თქვა მსოფლიოს თასის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ბილ ბომონტმა.**

ამასობაში, კი Planetrugby-მ ფავორიტი ნაკრებების სავარაუდო ძირითადი შემადგენლობები გამოაქვეყნა, რაც თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ გამოკვეთილი ფავორიტი არავინაა და გამარჯვება განაღდებული არავის აქვს. ეს კი უშეღავათო, უდიდესი და ულამაზესი სარაგბო ბატალიების საწინდარია.

ფავორიტებს შორის დასახელებულნი არიან ჯგუფურ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქეებიც, არგენტინის, ინგლისისა და შოტლანდიის ეროვნული გუნდები.

არგენტინა: 15. მარტინ როდრიგესი, 14. ჰორაციო აგულა, 13. გონსალო ტიესი, 12. მარკო ბოსხი, 11. ლუკას ამოროსინო, 10. ფელიპე კონტეპომი, 9. ნიკოლას ვერგალო. 1. როდრიგო რონსერო, 2. მარიო ლედესმა, 3. მარტინ სკელსო, 4. მარიანო გალარსა, 5. პატრისიო ალბასეტე, 6. ჯენარო ფესია, 7. ხუან ლეუზამონი, 8. ხუან ფერნანდეს ლობე.

ინგლისი: 15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტორნი, 13. მანუ ტულიგაი, 12. მეთ ბანაჰანი, 11. მარკ კუეტო, 10. ჯონი ვილკინსონი, 9. დენ კერი. 1. მეთ სტივენსი, 2. დილან ჰარლი, 3. დენ კოლი, 4. კორტნი ლავი, 5. ტომ პელმერი, 6. ტომ ვუდი, 7. ლუის მუდი, 8. ნიკ ისთერი.

შოტლანდია: 15. რორი ლამონტი, 14. ჯო ენსბრო, 13. მაქს ევანსი, 12. შონ ლამონტი, 11. ლუკ ფიცჯერალდი, 10. რუარიდ ჯექსონი, 9. რორი ლაუსონი. 1. ალან იაკობსენი, 2. როს ფორდი, 3. ევან მურეი, 4. რიჩი გრეი, 5. ალისტერ კელოკი, 6. ნათან ჰაინსი, 7. ჯონ ბარკლი, 8. კელი ბრაუნი.

ახალი ზელანდია: 15. მალილი მულიაინა, 14. ბენ სმითი, 13. კონრად სმითი, 12. სონი ბილ ვილიამსი, 11. ზაგ გიდფორდი, 10. დენ კარტერი, 9. ჯიმი ქოუანი. 1. უაიტ კროკეტი, 2. კევინ მეალამუ, 3. ბენ ფრენქსი, 4. ჯერად ჰოეტა, 5. ბრედ თორნი, 6. ადამ თომსონი, 7. რიჩი მაკქოუ, 8. კირან რიდი.

სამხრეთ აფრიკა: 15. რაიან ვილჯოენი, 14. ხიო ეპლონი, 13. ჟაკ ფური, 12. იან დე ფილიერსი, 11. ბიორნ ბესონი, 10. პატრიკ ლამბიე, 9. სერელ პრეტორიუსი. 1. ტენდაი მთავარირა, 2. ბისმარკ დუ პლესი, 3. ვერნერ კრუხერი, 4. ანდრიას ბეკერი, 5. ვიკტორ მეტფილდი, 6. სხლაკ ბურხერი, 7. ვილემ ალბერტსი, 8. დან ვერმიულენი.

ბარბაროსები

ქუბრიაშვილი ბარბაროსებში მეორედ ითამაშებს

საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული ტულონის შერკინების ბურჯი **დავით ქუბრიაშვილი,** როგორც უკვე ვწერდით, პირველი ქართველი მორაგბეა, ვინც „ბარბაროსების" შემადგენლობაში ითამაშა. „დუდუმ" გასულ უქმეებზე „თვიქნემზე" ინგლისის ნაკრებთან 50 წუთი დაჰყო მოედანზე. ის შეხვედრა „ბარბაროსებმა" 38:32 მოიგეს.

ხვალ კი ქუბრიაშვილს და კომპანიას კარდიფში, „მილენიუმზე" მოუწევთ უელსის ნაკრებთან დაპირისპირება. „ბარბაროსების" შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილებაა. ცხრა და ათი ნომრის პოზიციას შესაბამისად **ბრუკ ჯეიმზი** და **სებასტიან ტილუს-ბორდე** დაიკავებენ. სათადარიგოთა შორის იქნება დავით ქუბრიაშვილი, რომელსაც ახალზელანდიელი **კარლ ჰეიმანი** შეცვლის. ძირითადში არ ითამაშებს ასევე იტალიელი პირველხაზელი **ლეონარდო ჯილარდინი,** მისი ადგილი ამჯერად **ლესტინ თომასმა** დაიკავა.

ბარბაროსები: 15. ისა ნაკევა, 14. პოლ სასკი, 13. სერუ რაბენი, 12. მატიო ბასტარო, 11. დაგ ჰაულიტი, 10. ბრუკ ჯემზი, 9. სებასტიან ტილუს-ბორდე, 8. სერჯიო პარისე. 1. ლესტინ თომასი, 2. სებასტიან ბრუნო, 3. კარლ ჰეიმანი, 4. იოსეფა ტიკორი, 5. პაულ ტიტო, 6. ჯო ფან ნიკერკი, 7. მარტინ ვილიამსი, 8. სერჯო პარისე.

16. ლეონარდო ჯილარდინი, 17. დავით ქუბრიაშვილი, 18. ერიკ ლანდი, 19. ჯორჯ სმითი, 20. ლოიდ ვილიამსი, ვილი მესონი, 22. ბენუა ბაბი.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

მარჯვნივ დავით ქუბრიაშვილი

msy.gov.ge

უცხოური სპორტი

● კალათბურთი

გასოლმა ევრობასკეტი დაადასტურა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **პაუ გასოლმა** ოფიციალურად გამოთქვა წელს ევროპის ჩემპიონატზე თამაშის სურვილი.

„დიდი სურვილი მაქვს ნაკრებს დახმარება გავუწიო, თუ, რა თქმა უნდა, მწვრთნელს გეგმაში აქვს ჩემი მიწვევა, - ამბობს ესპანელი კალათბურთელი. - *გასული წელი ძალიან მძიმე იყო, ტრავმებიც მაწუხებდა და თურქეთში გამგზავრება ამის გამო ვერ შევძელი. ახლა კი ამ მხრივ პრობლემა აღარ არსებობს“.*



პაუ გასოლი

გასოლს ძალიან უნდა გაისად ლონდონის ოლიმპიადაზე თამაში, ამისთვის კი ესპანეთის ნაკრებმა მომავალ ევრობასკეტზე პირველ ხუთეულში მოხვედრა უნდა შეძლოს.

„ყველას გვინდა ოლიმპიადის ოქროს მოპოვება, მაგრამ მანამდე ევროპულ ოქროზეც არ ვიტყოდით უარს. ამისთვის მივდივართ ლიტვაში“, - აგრძელებს გასოლი.

შეგახსენებთ, რომ შარშან პაუმ მსოფლიოს ჩემპიონატი დაღლილობის მიზეზით გამოტოვა. წელს ის ბოლო მომენტამდე ფიქრობდა ევრობასკეტზე თამაშს, მაგრამ პლეი ოფში „ლეიკერსის“ ნაადრევმა გავარდნამ, როგორც ჩანს, გადაწყვეტილების მიღება გაუმარტივა ესპანური კალათბურთის ლიდერს.

ასე რომ, ესპანეთის ნაკრები ლიტვაში უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გულშემატკივრები ევრობასკეტზე იხილავენ ძმებ გასოლებს, **ხოსე კალდერონს**, **რუდი ფერნანდესს**, აგრეთვე გუნდის „ევროპელ“ ვარსკვლავებს **ხუან კარლოს ნავაროს** მეთაურობით.



შაკილ ო'ნილი

დაიბადა 1972 წლის 6 მარტს ნიუარკში (ნიუ ჯერსი).

თამაშობდა ლუიზიანას უნივერსიტეტში, 1992 წელს „ორლანდომ“ NBA-ის დრაფტის პირველ ნომრად აირჩია.

კლუბები: „ორლანდო“ (1992-96), „ლეიკერსი“ (1996-2004), „მაიამი“ (2004-08), „ფინიქსი“ (2008-09), „კლივლენდი“ (2009-10), „ბოსტონი“ (2010-11).

NBA-ის ოთხგზის ჩემპიონი (2000, 2001, 2002, 2006), სეზონის MVP (2000), სეზონის საუკეთესო ახალბედა (1993).

აშშ-ის ნაკრები: ოლიმპიური ჩემპიონი (1996), მსოფლიოს ჩემპიონი (1994), მსოფლიოს ჩემპონატის MVP (1994).

ლეგენდარულმა ცენტრმა, NBA-ის ოთხგზის ჩემპიონმა **შაკილ ო'ნილმა**, რომელმაც **ჩარლზ ბარკლისა** და **მაიკლ ჯორდანის** წინააღმდეგ მოასწრო თამაში, კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

შაკმა სოციალური ქსელის - „ტვიტერის“ მეშვეობით გაავრცელა ვიდეომიმართვა გულშემატკივრებისადმი, სადაც ამბობს: *„ჩვენ ეს გავაკეთეთ. 19 წელი გავიდა. მინდა ყველას დიდი მადლობა ვუთხრა. პირველებმა ეს თქვენ უნდა გაიგოთ - მე მივდივარ“.*

ო'ნილის წასვლა 90-იანი წლების ეპოქის დასასრულს ნიშნავს, როცა საკალათბურთო სამყარო თვალს ვერ აშორებდა შაკის, მაიკლ ჯორდანის, **ჰაკიმ ოლაჟუონის**, ჩარლზ ბარკლის, **პატრიკ იუინგისა** და იმ დროის სხვა გამორჩეული ვარსკვლავების დაპირისპირებებს. „ორლანდოს“ მიერ 1992 წლის დრაფტზე პირველ ნომრად არჩეული ო'ნილი იმ ეპოქის ბოლო წარმომადგენელი იყო.

ოთხი ტიტულის გარდა, თავის ხანგრძლივ კარიერაში შაკილმა 15-ჯერ ითამაშა „ყველა ვარსკვლავის მატჩში“ და 2000 წელს გახდა სეზონის საუკეთესო მოთამაშე. 1996 წელს „ორლანდოდან“ „ლეიკერსში“ გადასვლის შემდეგ, შაკი **ფილ ჯექსონის** შესანიშნავი გუნდის ნაწილი გახდა, რომელიც დაუმარცხებელი იყო 90-იანი წლების ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში. კალიფორნიელთა ახალგაზრდა ვარსკვლავთან კობი ბრაიანტთან გაფუჭებული ურთიერთობის გამო ო'ნილი იძულებული გახდა „მაიამიში“ გადაბარგებულიყო, სადაც **დუეინ უეიდთან** ერთად 2006 წელს მორიგი საჩემპიონო ბეჭედი მოიგო. იმ პერიოდში მისი საშუალო სტატისტიკა 23.7 ქულასა და 10.9 მოხსნას უდრიდა.

შაკი წავიდა

შაკილის კარიერის დაღმასვლა მაშინ დაიწყო, როცა ჯერ „ფინიქსში“ გადავიდა, შემდეგ კი **ლებრონ ჯეიმსთან** „კლივლენდში“ წავიდა. ამ დაღმასვლის ნიშანი გახდა კლუბების ხშირი ცვლა. წლევანდელი სეზონის წინ შაკს ევროპაში გადასვლას უწინასწარმეტყველებდნენ, მან კი „ბოსტონში“ წასვლა ამჯობინა იმ იმედად, რომ მეხუთედ მოიპოვებდა NBA-ის ტიტულს. მაგრამ ტრავმის შემდეგ ხანგრძლივმა აღდგენითმა პროცესმა კარიერის მაჟორულ ნოტაზე დასრულების საშუალება არ მისცა.

შაკმა მოედნის მიღმა იმით დაავამახსოვრა თავი, რომ ოთხი რეპ-ალბომი გამოუშვა, მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ფილმში და ორი საკუთარი რეალითი-შოუ ჩამოაყალიბა: Shaq's Big Challenge and Shaq Vs.

P. S. გუშინ, შაკის განცხადების შემდეგ „ლეიკერსმა“ ოფიციალური პრესრელიზი გაავრცელა, სადაც წერია, რომ კალიფორნიული კლუბი აუცილებლად ამოიღებს ხმარებიდან ო'ნილის კუთვნილ 34-ე ნომერს.

● ამბები

კალათბურთი

ტორონტო მწვრთნელს იცვლის

„ტორონტო რეპტორზის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, აღარ გააგრძელოს თანამშრომლობა მთავარ მწვრთნელ **ჯეი ტრაიანოსთან**. ამ სპეციალისტის კონტრაქტში იყო პუნქტი, რომელიც მასთან ხელშეკრულების ერთი წლით გახანგრძლივების შესაძლებლობას იძლეოდა, მაგრამ „დინოზავრთა“ მწვრთნელად ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ ტრაიანოს კარისკენ მიუთითეს.

თუმცა ჯეი არ ტოვებს „ტორონტოს“. კლუბში ის პრეზიდენტისა და გენერალური მენეჯერის კონსულტანტისა და სპეციალური ასისტენტის როლს შეასრულებს.

მოტოსპორტი

პედროსა ერთ ეტაპს გამოტოვებს

„ჰონდას“ წევრი **დანიელ პედროსა**, რომელმაც საფრანგეთის გრანპრის დროს ფეხი მოიტეხა, მომავალ უქმეებზე კატალონიის გრანპრის გამოტოვებს. ესპანელმა მოტომრბოლმა ვერ მოასწრო ოპერაციის შემდეგ სასურველი კონდიციების აღდგენა.

„ვცდილობდი მაქსიმალურად სწრაფად აღმედგინა ფორმა, მაგრამ არ გამოვიდა, - ამბობს პედროსა. - *ვგრძნობ, რომ ბოლომდე მზად არ ვარ ტრასაზე გასასვლელად. ვფიქრობ, უნდა გადავდო დაბრუნება და ნორმალურად ვიმკურნალო ტრავმა“.*

ჰოკეი

დისციპლინას შენეპანი

უახლოეს მომავალში ჰოკეის ეროვნული ლიგის სადისციპლინო კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტს დატოვებს **კოლინ კემპბელი**. როგორც ჟურნალისტები ვარაუდობენ, ამ თანამდებობას მომავალი სეზონიდან წარსულში ცნობილი ჰოკეისტი **ბრენდან შენეჰანი** ჩაიბარებს.

კემპბელმა ეს კომიტეტი 2004-05 წლების სეზონიდან ჩაიბარა. მისი დანიშვნის შემდეგ უფრო გამკაცრდა წესები ძალისმიერი ჰოკეისტების მიმართ, რამაც ხელი შეუნყო შედეგიანობის ზრდას, რადგან გაძევებების რიცხვმა მოიმატა.

გერმანია შვეიცარიელს ჩააბარებს

გერმანიის ნაკრებში მთავარი მწვრთნელი შეიცვალა. **უვე კრუპის** ნაცვლად, რომელიც ხუთი წელი ედგა სათავეში ბუნდესნაკრებს, გუნდში შვეიცარიელი **იაკობ კელიკერი** იმუშავებს. ეს სპეციალისტი 1999-2010 წლებში სათავეში ედგა შვეიცარიის ახალგაზრდულ ნაკრებს, 1995-2010 წლებში კი ქვეყნის პირველი ნაკრების სამწვრთნელო შტაბში შედიოდა.

„მადლობას ვუხდით კრუპს განეული შრომისთვის. მან ამ პოსტზე დიდ წარმატებებს მიაღწია. მაგრამ უვეს კონტრაქტი აქვს „კიოლთან“, ამიტომაც გუნდში კელიკერი მივიწვიეთ. ჩვენ ამ კანდიდატურაში დარწმუნებულები ვართ და მისი ხელმძღვანელობით გაგრძელდება გერმანული ჰოკეის პროგრესი“, - განაცხადა გერმანიის ჰოკეის კავშირის პრეზიდენტმა **უვე ჰარნოსმა**.

კელიკერთან კონტრაქტი ერთი წლით გაფორმდება.

ჩოგბურთი

ფედერაციამ ჯილდოები დაარიგა

ძალიან და მამაკაცთა შორის მსოფლიოს პირველმა ნომრებმა - ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** და დანიელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ**, აგრეთვე ფედერაციის თასზე საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა **გი ფორჟემ** ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის უმაღლესი ჯილდო - „ფილიპ შატრიეს პრიზი“ დაიმსახურეს. სპორტსმენები და მწვრთნელი პარიზის პავილიონ არნემონვილში ოფიციალურ საღამოს დაესწრნენ, სადაც ფედერაციის პრეზიდენტმა **ფრანჩესკო რიჩი-ბიტიმ** ცნობილი სკულპტორის **ლოურენს ბროდერიკის** დიზაინით დამზადებული პრიზები გადასცა.

ჯილდოები აგრეთვე მიიღეს მამაკაცებს შორის საუკეთესო დუეტის წევრებმა - **ბობ** და **მაიკ ბრაიანებმა**, არგენტინელმა **ხისელა დულკომ**, იტალიელმა **ფლავია პენეტამ**, იუნიორებმა - კოლუმბიელმა **სებასტიან გომესმა** და რუსმა **დარია გავრილოვამ**. აგრეთვე უნარშეზღუდულმა მოთამაშეებმა - იაპონელმა **სინგო კუნიედამ** და ჰოლანდიელმა **ესტერ ვერგეერმა**.

პასუხი სკოტი პიპენს

ჩვენ უკვე გაგაცანით „ჩიკაგოს“ ლეგენდარული მოთამაშის **სკოტი პიპენის** მოსაზრება იმის შესახებ, რომ „მაიამი ჰიტის“ ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი**, შესაძლოა, **მაიკლ ჯორდანზე** უკეთესი კალათბურთელი გახდეს. ამაზე ლებრონმა სკოტის უპასუხა - მაიკლთან შედარება უხერხულია, რადგან განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია იმისთვის, რომ ამ ლეგენდის გვერდით დამაყენონო.

ამერიკულმა პრესამ ამ თემის განვრცობა გადაწყვიტა და კომენტარი სთხოვა „ლეიკერსის“ ლეგენდარულ ცენტრს **ქარიმ აბდულ-ჯაბარს**. 70-80-იანი წლების ლეგენდის აზრით, პიპენის მოსაზრებას არანაირი საღი აზრი არ გააჩნია, რადგან სკოტი და სხვებიც ივიწყებენ იმ მოთამაშეს, რომლის წინააღმდეგაც ჯაბარს მოუნია თამაშმა. ეს გახლავთ **უილტ ჩემბერლენი**. ამასთან დაკავშირებით ქარიმმა ღია წერილი მისწერა პიპენს.

ჯაბარი ჩემბერლენის წინააღმდეგ

„ძვირფასო სკოტი, ძალიან დიდ პატივს გცემ, როგორც სპორტსმენს, თუმცა NBA-ის ისტორიაში ყველა დროის საუკეთესო მოთამაშის დასახელებისას საკუთარ შეფასებებში დაბნეული ხარ. როგორც ჩანს, შენ უბრალოდ არ გინახავს ყველა დროის უდიადესი სნაიპერის უილტ ჩემბერლენის თამაში.

ოდესმე მაიკლ ჯორდანს ჩაუგდია საშუალოდ 50.4 ქულა სეზონში? გაუკეთებია მას საშუალოდ 27.7 მოხსნა? უფრო მეტიც, არავინ იცის და ვერც გაიგებს, რამდენ დაფარებას ასრულებდა მატჩში. გარდა ამისა, 1967-68 წლების სეზონში ის ლიდერი იყო შედეგიანი გადაცემების რაოდენობით.

ჯორდანს არასოდეს ჩაუგდია მატჩში 100 ქულა და ვერც 60 ქულას იღებდა ხშირად. დიახ, ის ათწლეულის საუკეთესო სნაიპერი იყო, მაგრამ ეს შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ლიგა 30 გუნდამდე გაიზარდა. უილტი კი იმ დროს თამაშობდა, როცა ლიგაში მხოლოდ რვა გუნდი იყო.

პატივისცემით, ლიგის ისტორიაში ქულების რაოდენობით ლიდერი, ქარიმ აბდულ ჯაბარი“, - წერს „ლეიკერსის“ ლეგენდა.

რუბიო მინესოტაში მიდის

რიკი რუბიო

„ბარსელონასა“ და ესპანეთის ნაკრების გამთამაშებელმა **რიკი რუბიომ** ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გადასვლის ყველა დეტალი შეათანხმა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ჯერჯერობით დუმილს ინარჩუნებს, ესპანელმა ჟურნალისტებმა უკვე ყველაფერი გაარკვიეს. „ბარსელონამ“, „მინესოტამ“ და რუბიოს აგენტებმა მოილაპარაკეს იმის შესახებ, რომ მომავალ სეზონში ესპანელი ვუნდერკინდი NBA-ში ითამაშებს.

რიკიმ სპეციალურ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომელიც მას ოკეანის გაღმა დაუყოვნებლივ გამგზავრების უფლებას მისცემს. თუ NBA-ში ლოკაუტი გამოცხადდება, რუბიოს კონტრაქტის თანხა ოდნავ განსხვავებული იქნება, თუმცა წინასწარ შეთანხმებული.

სავარაუდოდ, ესპანელი ამერიკაში გატარებული პირველი სეზონისთვის 2.4 მილიონ ევროს მიიღებს. თუ ის მაინც დარჩება ბარსელონაში, რაც ნაკლებად სავარაუდოა, ამ შემთხვევაში 1.6 მილიონს გამოიმუშავებს. თუ სეზონის შუაში გადაწყვეტს NBA-ში წასვლას, მილიონიან კომპენსაციას მიიღებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ჰოკეი. NHL პლეი ოფი. ფინალი

ვანკუვერის პირველი ნაბიჯი

ტორესის გოლი

„ვანკუვერმა“ გამარჯვებით დაიწყო „ბოსტონთან“ ფინალური სერია. პირველი მატჩის ბედი ერთადერთმა შაიბამ გადაწყვიტა, რომელიც მასპინძლებმა საფინალო სირენამდე 18 წამით ადრე გაიტანეს.

ბოლოს NHL-ს ფინალურ სერიაში ასეთი ანგარიში 1984 წელს დაფიქსირდა, როცა „ედმონტონის“ მეკარე **გრანტ ფიურმა** სტენლის თასის ოთხგზის მფლობელი „აილენდერსი“ შეაჩერა. მაშინ თითო მატჩში 7-8 შაიბის გატანა ჩვეულებრივი ამბავი იყო, ამიტომაც ჩანდა უცნაურად მაშინდელი შეხვედრის შედეგი, თუმცა დღესაც მსგავსი საფეხბურთო ანგარიში არც ისე ხშირად გვხვდება. გუშინდელმა შეხვედრამ დაამტკიცა, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ ღირსეული მეკარეები წარდგნენ.

59 წუთისა და 42 წამის განმავლობაში „ბოსტონის“ კარის დარაჯი **ტიმ თომასი** ბრნყინვალე თამაშით მიდიოდა - ტომასის კარის მიმართულებით და ამერიკელი გოლკიპერი, რაც სურდა იმას აკეთებდა თავის სამფლობელოში. ერთ-ერთ ეპიზოდში **იანიკ ჰანსენი** მეკარესთან პირისპირ გავიდა და ტომასისთვის ფეხებშუა შაიბის გატარება მოინდომა, მაგრამ „დათვების“ ლიდერი მუხლებზე დაეშვა, კარისკენ ინერციით გასრიალდა და შაიბიანად კარში რომ არ შევარდნილიყო, ხელის არაბუნებრივი მოძრაობით დააფიქსირა შაიბა. ზუსტად ერთ წუთში **მაქსიმ ლაპიერმა** ახლო მანძილიდან შეუცვალა შაიბას მიმართულება, მაგრამ ტომასმა ამ შემთხვევაშიც მოასწრო რეაგირება. ხანდახან კი ტიმს უმართლებდა, მაგალითად, მესამე პერიოდის შუაში, როცა **ალექსანდრ ედლერის** უძლიერესი დარტყმა ძელმა მოიგერია.

ამასობაში, მოედანზე სიტუაცია დაიძაბა. ერთ-ერთი ჩხუბის დროს მოედნის დამცავ ბარიერთან **ალექსანდრ ბარიუზმა პატრის ბერჟერონს** თითზე უკბინა (!). მეორე ეპიზოდში **დენ ჰამჰუისმა** იდეალური ძალისმიერი ილეთი გაუკეთა **მილან ლუჩიჩს**, რომელმაც ჰაერში სალტო გააკეთა და ყინულზე დაენარცხა. ამასობაში ლუჩიჩის თანაგუნდელები საკუთარი ბოთლებიდან რწყავდნენ „ვანკუვერის“ მოთამაშეებს. მსაჯები გაძევებების დაფიქსირებას ვერ აუდიოდნენ, მაგრამ ვერც „ბოსტონმა“ და ვერც „ვანკუვერმა“ რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენეს.

საერთოდ, „ბოსტონის“ მხრიდან ზედმეტი ჰოკეისტის გათამაშება ცალკე სალაპარაკო თემაა. მაგალითად, ორმეტრიანი გიგანტი მცველი **ზდენო ხარა** რიცხობრივი უპირატესობისას შეტევაში თამაშობდა: შაიბის ჩაგდებისას იბრძოდა, მეკარის მოედანზე გოლკიპერს დარტყმის მომენტს უფარავდა. საერთო ჯამში სლოვაკმა მოედანზე 28 წუთი დაჰყო, მაგრამ ამას შედეგი არ მოუტანია. „ბრუინზისთვის“ ზედმეტი მოთამაშის გამოყენება დიდი პრობლემაა. პირველ პერიოდში სტუმრებს ორი კაცით მეტი ჰყავდათ მოედანზე, მაგრამ ლუონგო შემთხვევით არ არის წარდგენილი სეზონის საუკეთესო მეკარის პრიზზე (რომელსაც მაინც ტომასი მოიგებს) - მან ეს საფრთხეც მოიგერია.

ოვერტაიმის ხილვის საშუალება მოგვისაპო ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა **რაიან კესლერმა**. მან ბოლო წუთზე საშუალო ზონაში შაიბა აართვა **ზაქ ბოიჩუკს**, რამდენიმე სანტიმეტრით აიცილა თავიდან ოფსაიდი, შემდეგ შესანიშნავი პასი მისცა მეტოქის ზონაში შეჭრილ ჰანსენს, მან კი შორეულ კუთხესთან დადარაჯებული **რაფი ტორესი** მონახა - 1:0. ტომასის გმირობა წყალში ჩაიყარა, „ვანკუვერი“ კი ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა სტენლის თასს, რომელიც კანადურ კლუბს 18 წელია არ მოუგია.

ვანკუვერი-ბოსტონი 1:0

0:0, 0:0, 1:0

გოლი: 1:0 ტორესი-3 (ჰანსენი-5, კესლერი-12).

სერია: 1-0

● ფორმულა 1

ბატონს ფერარის შანსი აქვს

ჯენსონ ბატონი

ბრიტანული გამოცემა „ავტოსპორტი“ წერს იმის შესახებ, რომ იტალიური საჯინიბო „ფერარი“ მომავალი სეზონისთვის **ფელიპე მასას** შეცვლის რამდენიმე ვარიანტს განიხილავს. კანდიდატებს შორის არიან: **ჯენსონ ბატონი, ნიკო როსბერგი** და **მარკ უებერი**.

კონსტრუქტორთა თასისთვის საბრძოლველად „სუდერიას“ ორი ძლიერი პილოტი სჭირდება, ბოლოს დროს კი ბრაზილიელი პილოტის შედეგები არ შეესაბამება გუნდის მოლოდინს. როსბერგი, სავარაუდოდ, ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, რომელიც მას „მერსედეს გრან-პრიმ“ შესთავაზა. მარკ უებერმა, შეესაძლოა, კიდევ ერთი წელი გაატაროს „რედ ბულში“, ამიტომაც ბატონს ბრიტანელი ჟურნალისტები ყველაზე რეალურ პრეტენდენტად მიიჩნევენ. თუმცა ბრიტანელს არაერთხელ უთქვამს, რომ მზად არის კარიერის ბოლომდე დარჩეს „მაკლარენში“.

მასას „ფერარისთან“ კონტრაქტი 2012 წლის ბოლომდე აქვს, თუმცა დადის ჭორები იმის შესახებ, რომ **ნიკოლა ტოდტი** აქტიურად ეძებს მისთვის ახალ საჯინიბოს იმ შემთხვევისთვის, თუ „ფერარი“ ბრაზილიელის გაშვებას გადაწყვეტს.

■ ■ ■

ბოლო დროს გავრცელებული კიდევ ერთი ჭორის თანახმად **რომან გროსჟანი**, შესაძლოა, ფორმულა 1-ში დაბრუნდეს. ის „ლოტუს-რენოს“ შემადგენლობაში შეცვლის გერმანელ **ნიკ ჰაიდფელდს**.

ფრანგული საჯინიბოს ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა ჰაიდფელდის გამოსვლით, გროსჟანის კანდიდატურა კი იმითაც არის საინტერესო, რომ მან, შეესაძლოა, გუნდში მიიზიდოს ფრანგი და შვეიცარიელი სპონსორები, იმ დროს, როცა ჰაიდფელდის სარეკლამო პოტენციალი მოკრძალებულია - გერმანული კომპანიები უფრო წარმატებულ თანამემამულეებს უჭერენ მხარს.

საქმე ეხება მომავალ სეზონს, მაგრამ ტესტებზე დანესებული აკრძალვის გათვალისწინებით, გროსჟანი, შესაძლოა, უკვე წელს დასვან საჭესთან, რათა 2012 წელს მაქსიმალურად კარგ ფორმაში შეხვდეს.

ბაჰრეინში ისევ არეულობაა

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო საბჭომ დღეს უნდა გადაწყვიტოს ბაჰრეინის გრან-პრის ბედი. ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ეკლსტოუნი** ირწმუნება, რომ ბაჰრეინში პოლიტიკური სიტუაცია სტაბილური გახდა და გრან-პრის ჩატარება შესაძლებელი იქნება. ამას დაერთო ეტაპის ორგანიზატორთა ოფიციალური ნერილი ფედერაციის მისამართით, რომელშიც ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ გრან-პრის ჩატარებაზე და უსაფრთხოების გარანტიებსაც იძლევიან.

მაგრამ სწორედ დღევანდელი სხდომის წინ გახდა ცნობილი, რომ სამეფოში ისევ მღელვარებაა. ტელეარხ „ალ ჯაზირას“ ინფორმაციით, პოლიციამ მანიფესტანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

ეს ახალი ამბავი, ბუნებრივია ცუდად იმოქმედებს ბაჰრეინის გრან-პრის პერსპექტივებზე. როგორც ჩანს, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ წელს „საჰირზე“ რბოლას ვერ ვიხილავთ.

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2011

UNDER 19

ესპანეთი-ჩერნოგორია	3:0
შვეიცარია-ინგლისი	2:3
გერმანია-მაკედონია	5:0
უნგრეთი-თურქეთი	1:6

ამხანაგური მატჩები

Under 21

ნორვეგია-შვედეთი	1:4
საბერძნეთი-ბულგარეთი	2:1
საფრანგეთი-სერბეთი	1:0

UNDER 18

შვედეთი-პოლონეთი	1:0

ბულონის ფესტივალი

ჩინეთი-უნგრეთი	0:3
საფრანგეთი-მექსიკა	4:1

იტალია

სერია A/B. პლეი ოფი

რეჯინა-ნოვარა	0:0
პადოვა-ვარეზე	1:0

ფინეთი

II დივიზიონი

ესპოო-კტპ	1:1
ჰამეენლინა-ოულუ	0:4
ლაჰტი-კემი	3:1
ჰიფკ-პოპა	3:1

ჩილე

უნ. ლა კალერა-უნ. კატოლიკა	2:1

კალათბურთი

გერმანია

სკაილაინერსი-ალბა	68:87

იტალია

მონტეპასკი-ბენეტონი	94:63

ესპანეთი

ბილბაო-რეალი	80:72

● TV პროგრამა

ივნისის პარასკევი

პირველი არხი

22:00 ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. ხორვატია-საქართველო. (LIVE)

GMG-ფეხბურთი

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:30 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-სანტოსი.
14:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მარსელი.
16:00 იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-პალერმო.
18:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. კრუზეირო-პალმეირასი.
21:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:30 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ ტიუნაიტედი-ჩელსი.
00:00 გერმანიის თასი. ფინალი. დუისბურგი-შალკე.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი“. 1/2 ფინალი. მონტეპასკი-პანათინაიკოსი.
12:50 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. მეორე მატჩი.
15:20 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“, როლან გაროსი. 1/2 ფინალი. პარიზი (LIVE).
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. მეორე მატჩი.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:40 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. იტალია-ესტონეთი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

22:25 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ავსტრია-გერმანია (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

21:30 მძლეოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. პოლონეთი (LIVE).

SPORT+

22:40 ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. ბელარუსი-საფრანგეთი (LIVE).

EUROSPORT

16:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი“. როლან გაროსი. 1/2 ფინალი. პარიზი (LIVE).
21:25 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი-ახალგაზრდული ფესტივალი. ჯგუფური ეტაპი. კოლუმბია-კოტ დ'ივუარი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).

EUROSPORT-2

15:45 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ესპანეთი (LIVE).
17:00 პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ესპანეთი (LIVE).
18:45 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი-ახალგაზრდული ფესტივალი. ჯგუფური ეტაპი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).

● ამბები

ცურვა

ფელპსის ბოლო რეპეტიცია კანადაში

14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი **მაიკლ ფელპსი** „კანადის თასზე“ მიღებს მონაწილეობას, რომელიც 2-3 ივლისს მონრეალში გაიმართება.

„ყოველთვის მომწონდა მონრეალში გამოსვლა და მოუთმენლად ველოდები იქ კიდევ ერთხელ ჩასვლას. ამ ტურნირს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს იქნება ჩემი ბოლო გამოსვლა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ“, - თქვა ფელპსმა.

მონრეალში ასევე გამოვლენ კანადელები **ბრენტ ჰაიდენი** და **რაიან კოჰრინი**, აგრეთვე ჩინელი **ვუ პენი**, რომელმაც წელს ერთხელ უკვე დაამარცხა ფელპსი - ეს მოხდა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში.

კალათბურთი

მუზეუმი გადარჩა

ამერიკის ქალაქი სპრინგფილდი, რომელიც კალათბურთის სამშობლოდ არის მიჩნეული, ტორნადოს მსხვერპლი გახდა.

სტიქიურმა უბედურებამ თითქმის მთელი ქალაქს გადაუარა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ხელშეუხებელი დარჩა საკალათბურთო მუზეუმი და დიდების დარბაზი. არადა, მეზობელ კვარტალებში სახლები სერიოზულად იყო დაზიანებული.

ფიგურული სრიალი

ვეტერანი ბრუნდება

1992 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, ცნობილმა იაპონელმა მოციგურავემ **მიდორი იტომ** კვლავ გადაწყვიტა ყინულზე გასვლა. 41 წლის სპორტსმენმა განაცხადი შეიტანა International Adult Competition-2011-ზე მონაწილეობის მისაღებად - ეს ტურნირი 8-11 ივნისს გერმანიის ქალაქ ობერსტდორფში გაიმართება.

იტომ სამოყვარულო კარიერა 1996 წელს დაასრულა. იმ დროისთვის ის გახდა პირველი ქალი მოციგურავე, რომელმაც ოფიციალურ ტურნირებზე სამმაგი აქსელი შეასრულა.

„ფიგურული სრიალი - მხოლოდ ახალგაზრდების სპორტს არ არის. ყველა ასაკის ადამიანმა შეიძლება სცადოს ბედი. ამიტომაც გადაწყვიტე ამ ტურნირზე გამოსვლა“, - განაცხადა იტომ ESPN-თან კომენტარში.

მძლეოსნობა

ევროპამ გეტლინი მოკვეთა

ერთ დროს პლანეტის საუკეთესო სპრინტერი **ჯასტინ გეტლინი** „ბრილიანტის ლიგის“ ამერიკულ ეტაპზე (ქალაქი იუჯინი) დაპატიჟეს. შეგახსენებთ, რომ ეს მორბენალი 2006 წელს ტესტოსტერონის მიღებისთვის ხანგრძლივი დისკვალიფიკაციით დასაჯეს და ის ახლა სრულფასოვანი კარიერის განახლებას ცდილობს.

თუმცა ცნობილი გახდა, რომ 100 მეტრზე ათენის ოლიმპიადის ჩემპიონს გაუჭირდება თანამედროვე მძლეოსნობაში დამკვიდრება, რადგან „ბრილიანტი ლიგის“ ევროპული ეტაპების ორგანიზატორები არ აპირებენ ამერიკელის ტურნირებზე დაპატიჟებას.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსტრემალური სპორტი

შტეკლი რეკორდს ამყარებს

რეკორდი ვულკანზე

36 წლის ავსტრიელმა **მარკუს შტეკლმა** ველოსიპედით რბოლისას სისწრაფეში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. ლაპარაკია ღორღიან ტრასაზე დაფიქსირებულ დროზე. რეკორდი ნიკარაგუაში ვულკანიდან დაშვებისას დამყარდა. ერთ მომენტში შტეკლმა საათში 164,95 კილომეტრი სიჩქარე განავითარა, რითაც გააუმჯობესა ცხრა წლის წინანდელი რეკორდი, რომელიც ფრანგ **ერიკ ბარონს** ეკუთვნოდა.

ბარონმა მაშინდელი რეკორდი ასევე სერო-ნეგროს ვულკანიდან დაშვებისას დააფიქსირა. სხვათა შორის, ის მცდელობა დაცემით დასრულდა და ამით ფრანგის კარიერა დასრულდა.

ახლა ეს დაინვალიდებული სპორტსმენი ისევ ეწვია თავისი ტრიუმფისა და ფატალური დაცემის ადგილს, ოღონდ ამჯერად არა მონაწილის, არამედ ორგანიზატორის როლში. მოვლენათა ცენტრში აღმოჩნდა მარკუს შტეკლი, რომელმაც მანამდე სისწრაფის მსოფლიოს რეკორდი თოვლში რბოლისას დაამყარა. ავსტრიელმა ველომბროლმა, რომელსაც კოლეგები მისი სიმაღლისა (190 სმ) და წონის (103 კგ) გამო „ჰერკულესს“ უწოდებენ, 2007 წელს ჩილეში 210,4 კმ/სთ განავითარა.

ნიკარაგუაში 550-მეტრიანი ტრასა პირდაპირ კრატერიდან ვულკანის ძირამდე ეშვებოდა. *„გრუნტი პლაჟისთვის დამახასიათებელ ქვიშას მოგაგონებთ, ტრასის დახრილობა 45 გრადუსს შეადგენს,* - ამბობს შტეკლი, - *ასე თუ ისე სტაბილურად მხოლოდ მაშინ გრძნობ თავს, როცა დაშვება მაქსიმალურ სისწრაფეს აღწევს“.*

შტეკლი ვულკანის კრატერზე ავიდა და დაშვება დაიწყო, რომლის დროსაც მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა - 164,95 კმ/სთ. ფინიშზე პირველმა წარმატება აწ უკვე ყოფილმა რეკორდსმენმა **ერიკ ბარონმა** მიულოცა.

„ასეთ პირობებში რბოლა შესაძლებლობების ყოველგვარ ზღვარს სცილდება“, - ამაში ახალი რეკორდსმენი ძველს ეთანხმება.

„ჰერკულესი“ შტეკლი ჩვეულებრივ ცხოვრებაში მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს, სხვადასხვა ღონისძიებათა ორგანიზების მენეჯერად მუშაობს და ველოსაჯინიბო MS Evil Racing Team-ის ხელმძღვანელია.

დღის ფოტო

სერჟანტი პაკიაო

ასე მიესალმა მსოფლიოს საუკეთესო მოკრივე, ფილიპინელი **მენი პაკიაო** მის საპატივცემულოდ გამართულ ალლუმს. აქცია ფილიპინების დედაქალაქ მანილაში ჩატარდა და სწორედ ასე აღინიშნა მენის, როგორც სპორტსმენისა და ფილიპინების არმიის ჯარისკაცის მიღწევები.

როგორც გაირკვა, მენი პაკიაო ქვეყნის არმიის სერჟანტი ყოფილა.

მენი პაკიაო ალლუმზე

როლან გაროსი. საფრანგეთის ღია პირველობა

სკიავონე ფინალში დაბრუნდა

როლან გაროსზე WTA-ის რეიტინგის ლიდერების ნაადრევმა გამოთიშვამ ტურნირის მთავარ ფავორიტად რუსი **მარია შარაპოვა** აქცია. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ეს სტატუსი წინა დღეს, გერმანელი **ანდრეა პეტკოვიჩის** განადგურებით გაამყარა. გუშინ, სწორედ მარიასა და ჩინელ **ნა ლის** ნახევარფინალში გათამაშდა გადამწყვეტი მატჩის პირველი საგზური.

შარაპოვასი არ იყოს, ჩინელიც ბრწყინვალედ გამოიყურება, მიუხედავად იმისა, რომ გრუნტი არ ითვლება მის საყვარელ კორტად. ლიმ ნახევარფინალამდე რეიტინგის პირველი ათეულის ორი წევრის - ჩეხი **პეტრა კვიტოვასა** და ბელარუსი **ვიქტორია აზარენკას** დამარცხება მოასწრო, რითაც მეორე აზიელი გახდა ისტორიაში, ვინც როლან გაროსის ბადეში ასე შორს წაიწია წინ.

მარიას უფრო იოლი გზა ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ტოპ-ათეულის წევრის დამარცხება არ დასჭირვებია. მაგრამ რამდენჯერმე შარაპოვას მაინც მოუწია ხასიათის სიმტკიცის გამოვლენა - მეორე წრეში რუსი 4:6, 1:4-ს აგებდა სრულიად უცნობ ფრანგ **კაროლინ გარსიასთან**, რის შემდეგაც ზედიზედ 11 გეიმი მოიგო. მეოთხე რაუნდში **აგნიეშკა რადვანსკასთან** სამი სეტბოლი მოიგერია და თავიდან აიცილა მესამე პარტიის თამაში.

შარაპოვა და ნა ლი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, რადგან აქამდე შვიდი მატჩი ჰქონდათ ჩატარებული: პირველი ხუთი რუსმა მოიგო, ბოლო ორი შეხვედრა კი ჩინელს დარჩა.

ნა ლიმ მატჩი ძალიან სწრაფ ტემპში დაიწყო და ზედიზედ უგდებდა ბურთებს შარაპოვას. პირველ სამ გეიმში ჩინელის ანგარიშზე შვიდი სუფთად მოგებული („ვინერსი“) ქულა იყო, მარიას კი ასეთი მხოლოდ ერთი ჰქონდა. აქედან მოდის იმ მომენტისთვის სრულიად კანონზომიერი ანგარიში - 3:0.

ასეთი დასაწყისით შოკირებული შარაპოვა ცდილობდა საკუთარი თამაშის პოვნას, ნა ლი კი ამასობაში ოდნავ დაწყნარდა. რაღაც ეტაპზე მარიამ ინიციატივა მოიპოვა და ბრეიკი დაიბრუნა, მაგრამ შემდეგ იყო არადამაჯერებელი თამაში საკუთარ მოწოდებაზე, რასაც ბევრი ორმაგი შეცდომა ახლდა თან. ძლივს მოპოვებული ინიციატივა რუსმა სულ მალე გაანიავა. ჯამში მარიამ ორ გეიმში ოთხი ორმაგი შეცდომა დაუშვა, ასე რომ, ერთი საკუთარი გეიმი რუსმა პრაქტიკულად აჩუქა მეტოქეს. ჩინელის სეტბოლზე კი შარაპოვამ საკმაოდ მარტივი ბურთი გაუშვა აუტში.



ფრანჩესკა სკიავონე

პირველ სეტში წარუმატებელი თამაშის შემდეგ შარაპოვამ მეორეში მოუმატა თამაშს და თავიდანვე ბრეიკი მოიპოვა, რაშიც მეტოქე დაეხმარა, რომელმაც ბრეიკ-პოინტზე მატჩში პირველი ორმაგი შეცდომა დაუშვა. რუსს მეხუთე გეიმშიც შეეძლო იგივეს გაკეთება, მაგრამ გულგრილად ეპყრობოდა მეტოქის მიერ ბოძებულ შანსს. როგორც ჩანს, სწორედ ეს გეიმი იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი მეორე სეტში. 1:4-მდე ნა ლი ჩრდილში იყო და მის თამაშში აშკარა ჩავარდნა შეინიშნებოდა. მარიას ბრეიკ-პოინტი რომ გამოეყენებინა, სეტი პრაქტიკულად მოგებული ექნებოდა, მაგრამ ჩინელმა შეინარჩუნა ერთბრეიკიანი ჩამორჩენა, შემდეგ კი შარაპოვას თამაშში ისევ გახშირდა ორმაგი შეცდომები. თავიდან მან ჩინელს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა, შემდეგ კი კულმინაციურ მომენტში, 5:6-ზე ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა, მათ შორის ერთი მატჩბოლზე.

შარაპოვამ მეორედ ითამაშა როლან გაროსის ნახევარფინალში და მეორედ დამარცხდა (პირველად 2007 წელს). ნა ლიმ კი გააუმჯობესა იაპონელი **კიმიკო დატეს** მიღწევა, ვინც 11 წლის წინ ნახევარფინალში ითამაშა და აზიელთაგან პირველად ითამაშებს საფრანგეთის ღიას ფინალში. სხვათა შორის, ლი წელს ავსტრალიის ღიას ფინალისტიც იყო, მაგრამ გადამწყვეტი მატჩი წააგო ბელგიელ **კიმ კლაისტერსთან**.

■ ■ ■

ჩინელის მეტოქე ფრანგი **მარიონ ბარტოლისა** და იტალიელი **ფრანჩესკა სკიავონეს** მატჩში ირკვევა. ფრანგი პირველად გავიდა ასე შორს როლან გაროსზე. ის მაქსიმალურად საბრძოლო განწყობით გავიდა კორტზე და პირველი გეიმები აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში განვითარდა - მიღებაზე ვერც ერთმა ვერ შეძლო თავის გამოჩენა.

ფრანჩესკამ სასტარტო სეტის ბოლოსკენ მოუმატა და თავისი საფირმო ჩოგბურთით ჩიხში მოაქცია მეტოქე. ადგილობრივი პუბლიკის მხარდაჭერის მიუხედავად, მარიონმა წააგო მერვე გეიმი საკუთარ მოწოდებაზე, რითაც იტალიელს აღარ გასჭირვებია სეტის გამარჯვებამდე მიყვანა.

ასეთი აქტიურობის შემდეგ სკიავონეს თამაშში ლოგიკური ჩავარდნა მოხდა, ბარტოლიმ კი მოახერხა მეორე პარტიის დასაწყისში ბრეიკის გაკეთება. მაგრამ ფრანგი გულშემატკივრების ზეიმი დიდი ხანი არ გაგრძელებულა, ისევე, როგორც იტალიელის მოდუნება. ფრანჩესკა ისევ გააქტიურდა და უკანა ხაზზე ყველა კომპონენტში აჯობა მარიონს. მით უმეტეს, ბარტოლი ოდნავ გადაღლილი ჩანდა, რაც დაღს ასვამდა მის მონდომებას. საბოლოოდ, 6:3, 6:3 - სკიავონეს მოულოდნელად იოლი გამარჯვება და შაბათს იტალიელი შეეცდება როლან გაროსის ზედიზედ მეორედ მოგებას.

ქალები

1/2 ფინალი

ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 5)-მარიონ ბარტოლი (საფ, 11) 6:3, 6:3.; **ნა ლი (ჩინ, 6)**-მარია შარაპოვა (რუს, 7) 6:4, 7:5.

ნადალს პროგნოზი უჭირს

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** განაცხადა, რომ კმაყოფილი დარჩა მეოთხედფინალში შვედ **რობინ სიოდერლინგთან** ნაჩვენები თამაშით. ესპანელმა შეხვედრა სამ სეტში მოიგო - 6:4, 6:1, 7:6(3).

„ორი დღის წინ განვაცხადე, რომ საკმარისად კარგად არ ვთამაშობ წლევანდელი როლან გაროსის მოსაგებად. მაშინ ვთქვი - ორი დღე მოვიცადოთ და ვნახოთ... თურმე შემიძლია გაცილებით უკეთ თამაში. მართლაც მქონდა ისეთი შეგრძნება, თითქოს კორტზე უკეთ ვმოძრაობდი, უკეთ ვმუშაობდი, ვიდრე წინ ორ შეხვედრაში“, - გახარებული იყო პრესკონფერენციაზე რაფაელი.

ახლა ნახევარფინალში ნადალს მოუწევს მსოფლიოს მეოთხე ჩოგანთან, 24 წლის ბრიტანელ **ენდი მიურეისთან** შეხვედრა, რომელმაც, თავის მხრივ, სამ სეტში მოუგო არგენტინელ **ხუან იგნასიო ჩელას** - 7:6(2), 7:5, 6:2. შოტლანდიელი ბოლო მატჩებში ფეხის მცირე ტრავმით თამაშობს, მაგრამ ნადალი დარწმუნებულია, რომ ეს არ დაეტყობა ენდის მოქმედებას.

„ვფიქრობ, ეს არ იმოქმედებს მის თამაშზე. მან უდავოდ დაიმსახურა ნახევარფინალის საგზური. კარგად თამაშობს და რაც მთავარია, ძლიერი მოთამაშეა“, - განაცხადა ნადალმა, რომელმაც მეორე ნახევარფინალზეც გააკეთა პროგნოზი. იმ მატჩში ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან მამაკაცთა რეიტინგის მეორე და მესამე ნომრები - სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**.

„დღეისთვის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე ხვდება ჩოგბურთის ისტორიაში საუკეთესო ჩოგბურთელს. ასე რომ, რთულია გამარჯვებულის გამოცნობა. ვფიქრობ, ორივე იმსახურებს ფინალში თამაშს. ჯოკოვიჩი ამ სეზონში უბრალოდ ფანტასტიკურად თამაშობს, როჯერი კი უშუალოდ ამ ტურნირზეა შესანიშნავ ფორმაში (შეგახსენებთ, რომ ფედერერს ჯერჯერობით სეტი არ აქვს წაგებული)“, - ამბობს ნადალი.

ნადალი და მიურეი აქამდე 14-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ესპანელის უპირატესობა დიდია - 10:4. ფედერერისა და ჯოკოვიჩის დაპირისპირება 22 მატჩს ითვლის და წინ შვეიცარიელია 13:9, თუმცა ნოვაკს ბოლო სამი მატჩი აქვს მოგებული, მათ შორის წელს ავსტრალიის ღიას ნახევარფინალი - 7:6(3), 7:5, 6:4. ასევე უნდა აღვნიშნოთ შარშან ამერიკის ღიას ნახევარფინალში ჯოკოვიჩის გამარჯვება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

რაფაელ ნადალი